პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—60.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— საბჭოთა წარმომადგენლად იაპონიაში დაინიშნა ამხ. ტროიანოვსკი.
— ჩინეთის სამოქალაქო ომში მარტიდან ოქტომბრამდი დაიღუპა 100.000 კაცი.
— ავსტრია და გერმანია იმუშავებენ საერთო სისხლის სამართლის კოდექსს.
— ინგლისის თემთა პალატის სკანდალური სხდომა.
— 17 კომუნისტის პროცესი პეტროკოვში (პოლონეთი).
— ბერლინის მეღითონეებმა უარყვეს ხელფასის გადიდება 5%-ით.
— მოსკოვიდან კავკასიაში გამოემგზავრა ინგლისის მუშათა დელეგაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 18 ნოემბერი 1927წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 261 (2006)

საპადრისი პასუხი დეზორგანიზატორებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წინადადება პარტიის რიგებიდან კ. ცინცაძის, ს. თუმანოვის, დ. ლორთქიფანიძის და სხვების გამორიცხვის შესახებ, რომელიც ყრილობამ ერთხმად მიიღო, მოულოდნელი არ იქნება პარტიის წევრებისათვის. ოპოზიცია იმდენათ შორს წავიდა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მან ისე უხეშად გასთელა ფეხქვეშ ბოლშევიკური დისციპლინა და უკუაგდო პარტიის ინტერესები, რომ ეს დადგენილება შეიძლება დაგვიანებათაც მოეჩვენოს პარტიის წევრების დიდ უმრავლესობას, რომელნიც ოპოზიციის გამოსვლების გამო მიღებულ თავიანთ საპროტესტო რეზოლიუციებში არაერთხელ მოითხოვდენ სასტიკი ზომების მიღებას გაუსწორებელ ოპოზიციონერების წინააღმდეგ, რისთვისაც საჭიროდ სცნობდენ ფრაქციული მუშაობის სათავეშივე ჩახშობას.

პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებმა ყველა საშუალებები ამოსწურეს იმისათვის, რომ ლენინიზმის სწორ ხაზიდან ამცდარ ამხანაგებისათვის მიეცათ თავიანთი შეცდომების გამოსწორების საშუალება. ამ ცდამ თითქოს არაერთხელ გამოიღო თავისი ნაყოფი. ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელებმა, ისე როგორც ეს მოიმოქმედეს საკავშირო კომპარტიის ოპოზიციის ლიდერებმა, მისცეს დაპირება პარტიას იმის შესახებ, რომ ისინი ხელს იღებენ ფრაქციულ მუშაობაზე და მთლიანად ემორჩილებიან პარტიის დადგენილებებს. მაგრამ ეს დაპირებანი ოპოზიციამ თვითვე უსირცხვილოთ გასთელა ფეხქვეშ. „შერიგება" ოპოზიციას მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდა, რომ თავი შეეფარა პარტიის შიგნით, მოეღუნებია ჩვენი სიფხიზლე ფრაქციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამავე დროს უფრო გაეფართოვებია თავისი დეზორგანიზატორული მუშაობა. როცა პარტიამ ამ გაუგონარ თაღლითობას შეთანადი ზომებით უპასუხა, ოპოზიციამ თავზე წამებულის გვირგვინი დაიდგა, და ყველგან გაჰყვიროდა, — „სტალინის ფრაქციის" აპარატი სდევნის პარტიის წევრებს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ საკუთარი შეხედულება აქვთ ამა თუ იმ საკითხზეო.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ოპოზიციის ხელმძღვანელებმა, იმდენათ დაივიწყეს ჩვენი პარტიის დისციპლინის ელემენტარული მოთხოვნილება, რომ არ იციან რა განსხვავებაა არალეგალურ კრებებსა, პროვოკატორულ, ანტიპარტიულ პროკლამაციების გავრცელებასა, საკუთარი არალეგალური კომიტეტის შექმნასა და ბოლშევიკურ პარტიის ისტორიაში გაუგონარ სხვა ასეთ გამოსვლებსა და „საკუთარ შეხედულებათა" გამოთქმის შორის. მათ ეს განსხვავება კარგათ ესმით. გაცილებით უფრო კარგათ, ვიდრე ეს შეიძლება იცის პარტიის ზოგიერთმა ახალგაზრდა წევრმა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ისინი შეუჩერებლივ აღრმავებენ თავის გამხრწნელ მუშაობას და ამავე დროს არ იშლიდენ წუწუნს პარტიულ რეპრესიების აუტანლობის შესახებ.

პარტიამ დიდ ხანს ითმინა. ამ მოთმინებას უკარნახებდა მას საკუთარი რიგების მთლიანობის დაცვის აუცილებლობა. მაგრამ, რაც დრო მიდიოდა, მით უფრო ეშვებოდა ოპოზიცია ტროცკისტულ წუმპეში, რაც უფრო მეტ ლმობიერებას იჩენდა პარტია, მით უფრო მეტ სისაძაგლეს სჩადიოდა გადაგვარების გზაზე შემდგარი ოპოზიცია. ბევრს ეგონა, რომ პარტია უკან დაიხევდა ოპოზიციის ზოგიერთ ლიდერების წარსული დამსახურების წინაშე, რომ პარტია ვისმე მოერიდებოდა მისი „დიდკაცობით". მაგრამ ბოლშევიკური პარტია ამნაირი მასალიდან არაა ჩამოსხმული. ის თავზე ხელს არავის მოუსვამს, თუ საჭიროდ სცნობს ვისიმე დასჯას. ეს ჩვენ ერთხელ კიდევ დაგვანახვა საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრ. საკ. კომ. დადგენილებამ ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. თუ ტროცკი და ზინოვიევი მოექცენ პარტიის გარეთ, მით უფრო ახირებული იყო ადგილობრივი ოპოზიციის კაცუნების მანჭვა და მათი რევოლიუციონური პოზიორობა პარტიის წინაშე.

პარტიას გაცილებით უფრო ძვირათ უღირს რევოლიუციის და მუშათა კლასის ინტერესები, ვიდრე განდიდების მანიით დაავადებული ცინცაძე-ლორთქიფანიძე - ვირაპები, რომელთაც წარსულ მუშაობიდან რევოლიუციონური პრეტენზიების მეტი არაფერი დარჩენიათ და რომელნიც დღეს უკვე მუწუკათ გადაიქცენ პარტიის ჯანსაღ ორგანიზმზე. ოპოზიციამ თავისი ყოვლად შეუწყნარებელი ანტიპარტიული და ანტი-საბჭოთა გამოსვლებით თვითვე დააყენა თავის თავი პარტიის გარეთ. პარტიის სულგძელობით წათამამებული ნეომენშევიკური ოპოზიცია მწარეთ მოსტყუვდა შინაპარტიულ ძალების შეფასებაში. პარტია ოპოზიციას კარგათ იცნობს. მან იცის ვინ და რა ავლა - დიდების ხალხია მოკალათებული ცინცაძე - თუმანოვების კომპანიაში. ეს ის „ასპროცენტიანი" ლენინელებია, რომელნიც ამ 5—6 წლის წინათ თავს ესხმოდენ ცეკას მარჯვნიდან, უარყოფდენ ამიერ - კავკასიის ფედერაციას, ილაშქრებდენ მიწის რეფორმის რევოლიუციონური წესით გატარების წინააღმდეგ და კალთას აფარებდენ საბჭოთა ხელისუფლების უსაძაგლეს და მოსისხლე მტერს — მენშევიკურ პარტიას. დღეს ეს ტროცკიზმის ჭაობში ყურებამდი ჩაფლული ხალხი თითქოს „მარცხნიდან" აკრიტიკებს პარტიის ხაზს. ის დღესაც იმავე „ასპროცენტიან" ლენინელების სახით გამოდის და ცენტრალურ ოპოზიციასთან ერთად თუთიყუშივით მოსთქვამს კულაკური საშიშროების, ტერმიდორის, შინა - პარტიული გადატრიალების შესაძლებლობის და სხვა ამგვარი სისულელეების შესახებ.

პარტიულ მასამ ეს ყველაფერი კარგათ იცის. მთელი პარტია ყოველივე ამის ცოცხალი მოწმეა. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ პარტიის მიერ თავიდანვე გარიყულ და არაერთხელ გაკიცხულ ძველ უკლონისტურ ოპოზიციას არ უშველა ტროცკისტული ოპოზიციის სახელის მიღებამ. მას ძვირათ დაუჯდა ეს ოპოზიციონური კომედიანტობა. პარტიამ მას საბოლოო განაჩენი გამოუტანა.

პარტიისათვის არც ისე ადვილია მოიშოროს თავიდან ესა თუ ის წევრი. მაგრამ როცა ოპოზიცია ნამდვილ ხორცმეტად გადაიქცა, აქ შეჩერება შეუძლებელია, სჯობს მთელი სხეულის მოწამვლას, ხორცმეტის ძირში მოკვეთა.

ცინცაძე-თუმანოვ-ვირაპისა და სხვების პარტიიდან გამორიცხვა მრისხანე გაფრთხილებაა იმათთვის, ვინც კიდევ პარტიის რიგებში დარჩენილა და ფიქრობს განაგრძოს თავისი გამხრწნელი მუშაობა. პარტიას სახუმროთ არ ეცალა. ოპოზიციამ საბოლოოთ აიხადა ნიღაბი. ის შეგნებულათ და შეუჩერებლათ მიემართება მოწინააღმდეგე ბანაკისაკენ. პარტია მათი წასვლით უფრო მოიგებს. შინაურ მტერის, გაუსწორებელი ნაციონალისტურ ოპოზიციის ჩამოშორების შემდეგ, პარტია უფრო მტკიცე ნაბიჯით განაგრძობს სვლას სოციალიზმის აღმშენებლობის გზით.

ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტის მისალმება საბჭ. მთავრობას

სპარსეთის სავაჭრო დელეგაცია მოსკოვში.—რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის სხდომა

ჩან-კაი-ში და ვან-ტინ-ვეი შანხაიში.—გლეხთა აჯანყებები ჩინეთში ფართოვდება

მისალმება ინგლისიდან

ოქტომბრის 10 წლის თავის გამო

ინგლის - რუსეთის კომიტეტის დეპეშა

მოსკოვი, 17 ნოემბ. ამხ. რიკოვმა ინგლის - რუსეთის საპარლამენტო კომიტეტისაგან მიიღო მისალმების დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია.

„ინგლის - რუსეთის საპარლამენტო კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა მთავრობას ათი წლის თავის გამო. კომიტეტი ინტერესით და აღტაცებით ადევნებს თვალყურს რუსეთის მუშების და გლეხების დიად მიღწევებს უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე. უკანასკნელი მუნიციპალური არჩევნები აშკარად მოწმობენ, რომ **ბოლდუინის მთავრობა, რომელმაც ჩაშალა რუსეთ - ინგლისის ურთიერთობა, კარგავს ყოველგვარ გავლენას და მომავალ საყოველთაო არჩევნებში სასტიკ დამარცხებას იგემებს. კომიტეტი მომავალშიაც ეცდება არ დაუშვას კონსერვატიული მთავრობის გამოსვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ენერგიულად განაგრძობს მუშაობას ინგლისის და რუსეთის ერებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის და ნადვილი მეგობრული კავშირის აღსადგენათ**".

ამხ. რიკოვის პასუხი

ამ დეპეშის საპასუხოდ ამხ. რიკოვმა გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

„დიდ მადლობას გიცხადებთ, თქვენი დეპეშისათვის ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის გამო. **საბჭოთა მთავრობა უდიდესი თანაგრძნობით უყურებს ინგლის - რუსეთის კომიტეტის** მოღვაწეობას ინგლისის და საბჭოთა კავშირის ერებს შორის მეგობრულ კავშირის აღდგენის საქმეში და დარწმუნებულია, რომ ორივე ქვეყნის მშრომელ მასების დახმარება უზრუნველყოფს თქვენი დაუღალავი მუშაობის წარმატებით დაგვირგვინებას".

ჯ. ლენსბერის დეპეშა

ჯორჯ ლენსბერისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„ბოუს და ბრომლეის ოლქების მუშათა პარტიის ორგანიზაცია ულოცავს რუსეთის მუშებს და გლეხებს რევოლიუციის ათი წლის თავს, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ინგლისსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ჩაშლის გამო და იმედიანათ მოელის გაერთიანებას და მუშათა ინტერნაციონალის შექმნას. ის აცხადებს, რომ არ დაუშვებს ორ ქვეყანას შორის ომის გამოწვევის არავითარ ცდას. ვაშა ინტერნაციონალს!"

ამხ. რიკოვის საპასუხო დეპეშა

ამ დეპეშის საპასუხოდ ამხ. რიკოვმა ლენსბერის გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„გთხოვთ ბოუს და ბრომლეის ოლქების მუშათა პარტიის ორგანიზაციას გადასცეთ ჩემი მადლობა მისალმებისათვის ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის გამო და აგრეთვე იმისათვის, რომ მან გამოსთქვა სურვილი ყველა ქვეყნების მუშათა კლასის გაერთიანების შესახებ მშვიდობიანობისა და სოციალისტურ საზოგადოებისათვის საბრძოლველად." (ადს)

ამხ. ტროიანოვსკი—საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იაპონიაში

მოსკოვი, 17 ნოემბ. ამხ. ტროიანოვსკი, რომელიც დანიშნულია საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად იაპონიაში, რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა 1902 წლიდან. არა ერთხელ ყოფილა პასუხისგებაში მიცემული მეფის მთავრობის მიერ. 1909 წელს მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება. 1910 წელს გაიქცა საზღვარ გარეთ და 1917 წლამდე ცხოვრობდა საფრანგეთში, შვეიცარიაში, და ავსტრიაში. უკანასკნელ 4 წლის განმავლობაში ის იყო საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის თავმჯდომარე და ამავე დროს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი. (ადს)

ინგლისის პარლამენტის სკანდალური სხდომა

ლონდონი, 16 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ პარლამენტის სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ნახშირის მრეწველობის სერიოზულ მდგომარეობის შესახებ, **შეწყვეტილ იქნა ერთი საათით, ვინაიდან მუშათა პარტიის დეპუტატებმა მოაწყვეს ობსტრუქცია და მოითხოვდენ, რათა ვაჭრობის მინისტრის კენლიფ ლისტერის მაგიერ გამოსულიყო ბოლდუინი.**

როცა სხდომა განახლდა თავმჯდომარემ ხელახლა მისცა სიტყვა ლისტერს, რის გამო ოპოზიციამ სასტიკი პროტესტი განაცხადა და მოითხოვა ბოლდუინის გამოსვლა. თავმჯდომარემ ხელმეორეთ მისცა სიტყვა ვაჭრობის მინისტრს, მაგრამ პროტესტების გამო ლაპარაკი შეუძლებელი იყო. მაშინ თავმჯდომარემ სხდომა შესწყვიტა მეორე დღემდე.

სხდომის დახურვის შემდეგ არც ერთი მხარე არ იშლებოდა და ესვროდენ ერთი-მეორეს შეურაცმყოფელ რეპლიკებს. ბოლდუინი რამოდენიმე წუთს იჯდა და შემდეგ დასტოვა დარბაზი. მუშათა პარტიის დეპუტატებმა ის სტვენით გააცილეს (ადს).

ნორვეგია-ფინეთ-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი

მოსკოვი, 17 ნოემბერი. მოსკოვში ნორვეგიის, ფინეთის და საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშათა კავშირების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ნორვეგია-ფინეთ-საბჭოთა მთლიანობის და მეგობრობის კომიტეტის შექმნის შესახებ. კომიტეტის მიზანია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს მუშებს ლოკაუტებისა და გაფიცვების დროს და იბრძოლოს ერთიან მებრძოლ ინტერნაციონალის შექმნისათვის პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესის წინასწარ მოწვევის საშუალებით იმპერიალისტურ ომების მზადების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნორვეგიის, ფინეთის და საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშათა კავშირებმა მიმართეს მთელი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშებს მოწოდებით, რომელშიაც წინადადებას აძლევენ მათ დასვან კრებებზე, ყრილობებზე და კონგრესებზე საკითხი ნორვეგია-ფინეთ რუსეთის კომიტეტთან შეერთების შესახებ. (ადს).

სპარსეთ-საბჭ. სავაჭრო ურთიერთობა

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის სხდომა

მოსკოვი, 17 ნოემბერი. 15 ნოემბერს რუსეთ - აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში შესდგა პალატის საბჭოს გაფართოვებული სხდომა მოსკოვში ჩამოსულ სპარსეთის სავაჭრო დელეგაციასთან ერთად. სპარსეთის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარეა თეირანის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ამინ-ზარბი.

სხდომას დაესწრენ დაწესებულებებისა და სავაჭრო ორგანიზაციების და აგრეთვე აღმოსავლეთის ვაჭრობის წარმომადგენლები.

ამხ. ლეჟავას სიტყვა

პალატის საბჭოს თავმჯდომარე ლეჟავა მიესალმა ჩამოსულ დელეგაციას და აღნიშნა, რომ **საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის თანდათან მყარდება მჭიდრო ერთიერთობა**. ახლახან დადებული **სპარსეთ - საბჭოთა შეთანხმება არის ახალი ეტაპი ორივე ქვეყნის ურთიერთობაში**. თეირანისა და რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატების მოვალეობაა ყოველმხრივ ხელისშეწყობა აღნიშნულ შეთანხმებათა გატარებისათვის ცხოვრებაში.

„საბჭოთა კავშირი, ძლიერდება რა ეკონომიურად, — განაცხადა შემდეგ ამხ. ლეჟავამ, — **ყოველმხრივ ხელს შეუწყობს სპარსეთის სახალხო მეურნეობის ამაღლებას და განახორციელებს თავის აღმოსავლეთის პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთის ქვეყნების განთავისუფლებას უცხო კაპიტალის ბრჭყალებიდან**".

დასასრულ ამხ. ლეჟავა წინადადებას აძლევს ორივე სავაჭრო პალატას ხელში აიღონ ინიციატივა და დარაზმონ ყველა ძალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ორივე ქვეყნის კულტურულ და სამეურნეო წინსვლას. ამ საფუძველზე უნდა აშენდეს სპარსეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.

ამინ-ზარბის პასუხი

საპასუხო სიტყვაში თეირანის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ამინ-ზარბმა აღნიშნა, რომ **არა მარტო სპარსეთის სავაჭრო წრეები, არამედ მთელი სპარსეთიც სიხარულით შეხვდა სპარსეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას. სავაჭრო კავშირი სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სპარსეთის ეკონომიკისათვის. სავაჭრო დელეგაცია საბჭოთა კავშირში მოვიდა იმ მიზნით, რომ განამტკიცოს სპარსეთ - საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში მოპოვებული მიღწევები.**

შმორგონერის მოხსენება

შემდეგ პალატის მსწავლულმა მდივანმა **შმორგონერმა** გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის და სპარსეთის ეკონომიური ურთიერთობის შესახებ. მომხსენებელმა გააკეთა სპარსეთის სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მიმოხილვა და აღნიშნა, თუ რაში შეიძლება გამოიხატებოდეს საბჭოთა კავშირის დახმარება სპარსეთის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

კომისიის არჩევა

მოხსენების დასრულების შემდეგ ამხ. **ლეჟავას და ამინ-ზარბის** წინადადებით შედგენილ იქნა კომისია საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. მენდიშევის თავმჯდომარეობით და რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ეს კომისია განიხილავს სპარსეთ - საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობისა და ორივე პალატას შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარების საკითხს. (ადს)

ჩინეთის მილიტარისტების ბანაკში

ნანკინელები ხანკოუში

შანხაი, 16 ნოემბ. ნანკინის ჯარების მოწინავე ნაწილები შევიდენ ხანკოუში (ადს).

სისხლიანი ანგარიში

შანხაი, 16 ნოემბერი. მარტიდან ოქტომბრამდე ჩინეთის 19 პროვინციაში მოკლულია 29000 მდე კაცი, დაჭრილია 31.000 კ., ციხეებში ჩამწყვდეულია 32.000 კ. გარდა ამისა, ფინ-იუ-სიანის დამსჯელმა ექსპედიციამ დახოცა 30.000 გლეხი (ადს).

გლეხთა აჯანყება

შანხაი, 16 ნოემბ. მიუხედავად სასტიკი ზომებისა, რომლებიც მიიღო გომინდანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, გლეხთა აჯანყება ვუხის რაიონში გრძელდება. სიუ-ჩოუს რაიონის სოფლებში ვრცელდება კომუნისტების პროკლამაციები. პოლიციას ძალა არ შესწევს ებრძოლოს მათ გავრცელებას. ჩინეთის გაზეთების ცნობით, აჯანყებულთა რიცხვი 6.000 კაცამდე აღწევს. აჯანყებულთა წინააღმდეგ მომქმედი მთავრობის ჯარები დატყვევებულ კომუნისტებს ხვრეტენ ადგილზედ საქმის ყოველგვარ გამოძიების გარეშე (ადს).

ჩან-კაი-შის კარიერა

შანხაი, 17 ნოემბერი. ჩან-კაი-შის შანხაიში ჩასვლის გამო გაძლიერდა ხმები იმის შესახებ, რომ **ის უბრუნდება პოლიტიკურ მოღვაწეობას**. ჩინეთის ზოგიერთ წრეებში ამტკიცებენ, რომ ამ დღეებში ჩან-კაი-ში დანიშნულ იქნება სამხრეთ ჯარების მთავარსარდლათ. შანხაიში კანტონიდან მოელიან ვან-ძინ-ვეის და ლი-ტი-სინს, რომელთა ჩამოსვლის შემდეგ დაიწყება წინასწარი მოლაპარაკება სხვადასხვა ჯგუფებს შორის. გომინდანის ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მეოთხე პლენუმი მოწვეულ იქნება ნანკინში დეკემბრის შუა რიცხვებში. (ადს).

საფრანგეთი და სამხრ.-სლავია იტალიის წინააღმდეგ

ბრიანის განცხადება

პარიზი, 16 ნოემბერი. პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიაში ბრიანმა საფრანგეთ - სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულების შესახებ განაცხადა:

„დადებული ხელშეკრულება - ეს არის დიპლომატიური იარაღი, რომელიც წარმოადგენს ერთა ლიგის პრინციპების მიხედვით დადებულ კონვენციათა სისტემის შემადგენელ ნაწილს. ისე, როგორც სხვა ამგვარი კონვენციები, საფრანგეთ - სამხრეთ - სლავიის კონვენციაც შეიძლება ხელმოწერილ იქნეს სხვა ქვეყნების მიერ, რომელნიც კი მოისურვებენ ამას. იტალიასთან უკვე დაწყებულია მოლაპარაკება".

შეკითხვაზე ტანჟერის მდგომარეობის შესახებ ბრიანმა უპასუხა, რომ ესპანეთთან ამის შესახებ გრძელდება მოლაპარაკება და არის იმედი, რომ ეს მოლაპარაკება დამაკმაყოფილებელ შედეგებს გამოიღებს. (ადს).

ემზადებიან ომისათვის იტალიასთან

ბერლინი, 16 ნოემბერი. „ფოსიშე ცეიტუნგი" კომენტარიებს უკეთებს საფრანგეთ - სამხრეთ - სლავიის ხელშეკრულებას და სწერს:

„საიმედო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, სამხრეთ - სლავიამ იკისრა მოკლე დროში დაასრულოს თავისი სამზადისი მომავალ სამხედრო კონფლიქტისათვის ფაშიზმთან. საფრანგეთმა სამხრეთ სლავიას მისცა სესხი იარაღის შესაძენად. ინგლისის პოზიცია ხელშეკრულების მიმართ მეტად თავდაჭერილია".

მე-15-ე პარტყრილობა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ყველა პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ

მოსკოვი, 17 ნოემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15-ე ყრილობა დანიშნულია მოსკოვში 1927 წლის დეკემბრის 1-სთვის.

ყრილობის დღის წესრიგი: ცეკას ანგარიში—პოლიტიკური და საორგანიზაციო; ცენტრალურ სარევიზიო კომისიის ანგარიში; ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშ. და გლ. ინსპექციის ანგარიში; ანგარიში საკავშირო კომპარტიის (ბ) დელეგაციისა კომინტერნის აღმასკომში; დირექტივები სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმის შესადგენად; სოფლად მუშაობის შესახებ; პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: **ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 1.000 ნამდვილ წევრზე, ერთი დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის 2.000 კანდიდატზე. აღნიშნულ რაოდენობის ზევით სათათბირო ხმები მიცემული არ იქნება.**

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **მოლოტოვი**.

უკანასკნელი ცნობები

საკავშირო პროფსაბჭოს მესამე პლენუმი

მოსკოვი, 17 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა საკავშირო პროფსაბჭოს მესამე პლენუმის მოწვევის ვადად დანიშნოს 1928 წლის 25 თებერვალი.

7 საათის სამუშაო დღე

მოსკოვი, 17 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭომ დაამტკიცა 7 საათის სამუშაო დღის გამტარებელი კომისია 13 კაცის შემადგენლობით. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია

მოსკოვი, 17 ნოემბერი. მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში 14 ნოემბრამდე და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში 1 ნოემბრამდე ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა შეადგენს 192.000.000 მანეთს. 1 ნოემბრისათვის აღურიცხავი რეალიზაციის თანხა უეჭველად გადააჭარბებს გაუსაღებელ ნაშთს და ამრიგად სესხი ზედმეტად იქნება დაფარული. (ადს).

მუსლიმანურ ლიგის განცხადება

ლონდონი, 17 ნოემბერი. ინდოეთის მუსლიმანთა ლიგა თავის დეკლარაციაში აცხადებს, რომ მის წარმომადგენლებს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღონ მთავრობის კომისიაში, რომელიც დაარსებულია ინდოეთში რეფორმების გასატარებლად, თუ კომისიაში ინდუსები არ იქნებიან წარმოდგენილნი მის დანარჩენ წევრებთან თანასწორი უფლებებით. (ადს).

ჩ. ა. შტატების წარმომადგენელი განიარაღების კომისიაში

ბერლინი, 17 ნოემბერი. ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების ელჩმა შვეიცარიაში აცნობა ერთა ლიგის სამდივნოს, რომ ის იქნება შტატების წარმომადგენლად განიარაღების მოსამზადებელ კომისიის მომავალ სესიაზე. (ადს).

კულტურულ ღირებულებათა დაბრუნება

ვარშავა, 17 ნოემბერი. გუშინ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომლის თანახმად პოლონეთს უბრუნდება ევაკუაციაქმნილი კულტურული ღირებულებანი. (ადს).

საბჭოთა კავშირი და განიარაღების კონფერენცია

ლონდონი, 17 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფი"-ს დიპლომატიური მიმომხილველი კომენტარიებს უკეთებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ც.ს.კ. და ც/კ. რეზოლიუციას ტროცკისტულ ოპოზიციის ანტიპარტიულ მოქმედების შესახებ, და სწერს: „გონივრული არ იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ტროცკის გამორიცხვა მოასწავებდეს მოსკოვის პოზიციის არსებითად შეცვლას დანარჩენ მსოფლიოს მიმართ. იმას, ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ჟენევის მოლაპარაკებაში არის ნიშანი მისი მალე შერიგების ლიგასთან, უნდა ახსოვდეს, თუ რა განაცხადა ამის შესახებ სტალინმა". (ადს).

თანამდებობიდან განთავისუფლება

მოსკოვი, 17 ნოემბერი. რ.ს.ფ.ს.რ. სახკომსაბჭომ დაადგინა გაანთავისუფლოს რ.ს.ფ.ს.რ. სახელმწ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრობიდან ზინოვიევი და მურალოვი. (ადს).

მოსკოვი, 17 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაანთავისუფლოს ვ. მ. სმირნოვი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს კოლეგიის წევრის თანამდებობიდან. (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს-აირესი, 16 ნოემბერი. ალიოხინ-კაპაბლანკას მატჩის მე-30 პარტია გადადებულია 40 სვლის შემდეგ. (ადს).

ავსტრია და გერმანია

მთლიანი სისხლის სამართლის კოდექსი

ვენა, 16 ნოემბერი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„დამთავრდა ავსტრია - გერმანიის კომისიების თათბირი სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის შესახებ. უკანასკნელ სხდომაზე უმთავრესად ირჩეოდა საერთო ხასიათის დადგენილებები. ორივე კომისიების თავმჯდომარეებმა აღნიშნეს, რომ ორივე მხარეს სურთ შექმნან მთლიანი სისხლის სამართლის კოდექსი ავსტრიისა და გერმანიისათვის. კოდექსში არ უნდა იქნეს შეტანილი პარტიულ - პოლიტიკური მომენტები". (ადს).

შტრეზემანის განცხადება

ვენა, 16 ნოემბერი. პრესის წარმომადგენელთა მიღების დროს შტრეზემანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სასაცილოდ აიგდო ის ცნობები, რომლებიც მის მოგზაურობას უკავშირებდენ საფრანგეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულების დადებას. შტრეზემანმა ხაზი გაუსვა ავსტრიისა და გერმანიის კულტურულ ერთობას და ორივე ქვეყნის შორის აზრის მუდმივ გაცვლა-გამოცვლის საჭიროებას და აღნიშნა, რომ ტყუილა ნერვიულობენ ისინი, ვინც სასპორტო ვიზების მოსპობაში ავსტრიასა და გერმანიას შორის მგზავრობისათვის და აგრეთვე იმ უფლებრივ ნორმების თანხმობაში, რომლებიც ამ ქვეყნებში ტარდება, ხედავს ავსტრიის თანდათანობით შეერთებას გერმანიასთან. (ადს).

უცხოეთის მუშათა დელეგაციების დეკლარაცია

შვეიცარიის მუშებისაგან

მოსკოვი, 17 ნოემბერი. შვეიცარიის მუშათა დელეგაციამ შვეიცარიაში გამგზავრების დროს საკავშირო პროფსაბჭოს გადასცა დეკლარაცია, რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩვენი უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვიმუშაოთ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პროლეტარული თავდაცვისათვის.

გერმანიის მუშათა მესამე დელეგაციის დეკლარაცია

მოსკოვი, 17 ნოემბერი. საბჭოთა კავშირიდან გამგზავრების წინ გერმანიის მუშათა მე-3 დელეგაციამ საკავშირო პროფსაბჭოს ჩააბარა დეკლარაცია მოსკოვის პროლეტარიატისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებისადმი და წითელი არმიისადმი. „ჩვენ დავრწმუნდით — ნათქვამია დეკლარაციაში,— რომ მხოლოდ მუშათა კლასის ბატონობის დროს, ბურჟუაზიის სრული მოსპობის დროს, არის შესაძლებელი კარლ მარქსის მოძღვრების ცხოვრებაში გატარება. ამ აზრს ჩვენ გადავსცემთ გერმანიის პროლეტარიატს, როგორც ჩვენი მოგზაურობის უმნიშვნელოვანეს შედეგს. საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მიისწრაფიან იმისკენ, რომ მშვიდობიან მდგომარეობაში განაგრძონ სოციალისტურ მშენებლობის საქმე. საბჭოთა კავშირისა და მისი სოციალისტური მშენებლობის დაცვის საქმე უნდა გახდეს მსოფლიო პროლეტარიატის საქმედ. ამიტომ ჩვენს უმთავრეს ამოცანად ჩვენ მივაჩნია გამოვიდეთ გერმანიის მუშათა კლასის წინაშე და მივუთითოთ მას იმპერიალისტურ მძარცველებისა და მოძალადეების წინააღმდეგ შემჭიდროებული ფრონტით ბრძოლის საჭიროებაზე". (ადს).

ხიკსის „მუქარა"

რაც დრო გადის, მით უფრო საგრძნობი ხდება ინგლისის ეკონომიკისათვის ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტის შედეგები. შუბლმაგარნი თავდაპირველად ცდილობდენ თავის ქვეყნის მოსახლეობის და პირველ ყოვლისა სამრეწველო წრეების „დამშვიდებას" იმაზე მითითებით, თითქო აღებ-მიცემობა საბჭოთა კავშირთან სრულებით უმნიშვნელო როლს თამაშობდეს ინგლისის ვაჭრობაში და ამიტომ დამოკიდებულების გაწყვეტას არ შეეძლოს რაიმე საგრძნობი უარყოფითი გავლენის მოხდენა ინგლისის სამეურნეო ცხოვრებაზე. მაგრამ ეს იყო მტკნარი სიცრუე. ჩვენი სავაჭრო ბრუნვა ინგლისთან რამოდენიმე ასეულ მილიონ მანეთს უდრიდა ბოლო წლებში და ის სწრაფად იზრდებოდა.

თვით ინგლისელმა ეკონომისტებმა ციფრებით ხელში გააბათილეს შუბლმაგართა ხსენებული დებულება და ნათელყვეს ინგლისის მეურნეობისათვის საბჭოთა კავშირთან ეკონომიური და, მაშასადამე, პოლიტიკური დამოკიდებულობის შენარჩუნების მთელი მნიშვნელობა.

ჩემბერლენმა ახალი „სანუგეშებელი მოსაზრება" წამოაყენა. როცა მას შეეკითხნენ, რა ბედი ეწევა ინგლის-საბჭოთა ვაჭრობას ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, მან განაცხადა: ურთიერთობის გაწყვეტა ხელს არ შეუშლის საქმიან დამოკიდებულების განვითარებასო და მაგალითისათვის მიუთითა იმ ფაქტზე, რომ სავაჭრო ურთიერთობა არსებობს ამერიკას და საბჭოთა კავშირს შორის, თუმცა მათ შორის დიპლომატიური დამოკიდებულება აღდგენილი არ არისო.

ჩემბერლენს ამ შემთხვევაში ერთი „წვრილი რამ" დაავიწყდა, სახელდობრ ის, რომ, ჯერ ერთი, ამერიკა-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობა კი არ შეწყვეტილა, არამედ მას სულაც არ ჰქონია ადგილი, ხოლო ინგლისმა კი ეს ურთიერთობა უხეშად შეწყვიტა, რაც, ცხადია, ერთი და იგივე არ არის. მეორე, ამერიკაში, მიუხედავად იმისა, რომ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა არა გვაქვს, არ მოუხდენიათ თავდასხმა საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებზე, რომლებსაც საშუალება ეძლევათ თავისი ოპერაციები აწარმოონ, ინგლისში კი არკოსზე ბანდიტური თავდასხმით მთავრობის მხრით, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ჩვენს სავაჭრო მოღვაწეობას იქ შეიძლება ყოველთვის საფრთხე მოელოდეს და რომ მეტად სერიოზული დაბრკოლებები იქმნება ცოტად თუ ბევრად ნორმალურ საქმიანობისათვის. სხვათა შორის, ეს დაამტკიცა შემდეგ ჩვენი პურის გასაღებელ ორგანიზაციის ორი წარმომადგენლის სრულიად უსაფუძვლოდ გაძევებამ.

რომ ჩემბერლენის „ამერიკული სავაჭრო სისტემა" სულ უფრო დიდ ზიანს აყენებს ინგლისს, ეს მეტი სიცხადით აშკარავდება. ინგლისის სამრეწველო-სავაჭრო წრეები ძალზე დააფიქრა იმ ფაქტმა, რომ ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ინგლისის სამრეწველო პროდუქციის გაზიდვა საბჭოთა კავშირში საგრძნობლად დაეცა. ეს იძულებულია აღიაროს თვით ინგლისის ვაჭრობის მინისტრმა. კენლიფ-ლისტერმა. თემთა პალატაში მას ამას წინედ შეეკითხნენ ინგლის - საბჭოთა ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ. კენლიფ-ლისტერმა უპასუხა: უკანასკნელ კვარტალში იმპორტი საბჭოთა კავშირიდან ინგლისში შეადგენდა 7.600.000 გ. სტერლინგს, მაშინ, როცა გასული წლის სათანადო კვარტალში ის უდრიდა 6.400.000 გირ. სტერლინგს; რაც შეეხება ექსპორტს ინგლისიდან საბჭოთა კავშირში, ხსენებულ კვარტალში ის შეადგენდა — 1.022.000 გირ. სტერლინგს, ხოლო 1926 წ. სათანადო კვარტალში— 1.400.000 გირ. სტერლინგს.

როგორც ვხედავთ, ჩვენი საქონლის ექსპორტი ინგლისში იზრდება, ხოლო ინგლისის საქონლის ექსპორტი საბჭოთა კავშირში კლებულობს. აქვე უნდა აღინიშნოს, იმ 1.022.000 გირ. სტერ. საქონლიდან, რომელიც ზევით იყო აღნიშნული, დიდი ადგილი უკავია ურთიერთობის შეწყვეტამდე მოხდენილ გარიგებებს, როცა უკანასკნელი ამოიწურება, მოსალოდნელია ინგლისის იმპორტის უფრო მეტად დაცემა. უაღრესად საგულისხმოა ეს ციფრები. ისინი მოწმობენ, ჯერ ერთი, იმას, რომ ინგლისისათვის გაცილებით უფრო საჭიროა ჩვენი საქონელი, ვინემ ინგლისის ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია ჩვენთვის, მეორე, იმას, რომ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სისტემის საშუალებით სრული შესაძლებლობა გვაქვს შეკავშირებულათ გამოვიდეთ უცხოეთის ბაზარზე, ამ შემთხვევაში იმ მიზნით, რომ სხვა ქვეყნებში გადავიტანოთ ჩვენი სავაჭრო ოპერაციები და ამით გავცეთ პასუხი ინგლისის ანტისაბჭოთა პოლიტიკაზე. აშკარად, ურთიერთობის გაწყვეტას—ეკონომიური მხრით საბჭოთა კავშირისათვის რაიმე საგრძნობი ზიანი არ მიუყენებია, ხოლო ინგლისმა ამით ბევრი იზარალა როგორც გასაღების საბჭ. ბაზრის დაკარგვით, ისე ინგლისის მოქიშპე სახელმწიფოების ეკონომიური გაძლიერებით, სახელმწიფოების, რომლებიც ინგლისის ხარჯზე ჩვენთან გააფართოვეს სავაჭრო ურთიერთობა.

ყველაფერ ამას კარგად ხედავენ ინგლისელი საქმიანი ჯგუფები და იმაღლებენ ხმას ჩემბერლენის ანტისაბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგ., დღეს ვბეჭდავთ ბრეტფორდის სავაჭრო პალატის წარმომადგენელთა საუბარს ინგლისის შ. ს. მინისტრთან, ხიკსთან, პალატამ მიუთითა ხიკს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ზღუდავს საბჭოთა ორგანიზაციებს ინგლისში მათი ყოფნის მხრივ, რაც სავაჭრო გარიგებისათვის დაბრკოლებებს ქმნისო. ხიკსი „მუქარას" მიმართავს: ბრეტფორდის პალატის შენიშვნაზე რომ ხსენებულ შეზღუდვის გამო საბჭოთა მთავრობას უკანასკნელ თვეებში ახალი შეკვეთები არ დაუბანდებია ინგლისში, შ. ს. მინისტრმა განაცხადა: „თქვენ იცით, რომ არკოსის რუსი წარმომადგენლები ინგლისში დაშვებულ არიან სავაჭრო მიზნებისათვის. თუ კი ვაჭრობა ფაქტიურად არ წარმოებს, სრულებით არ შეიძლება მათი ყოფნის გაგრძელების გამართლება ინგლისში. თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ გასტანს რამოდენიმე ხანგრძლივ დროს, ვშიშობ, რომ მთელი საკითხის გადასინჯვა მოგვიხდება".

როგორც ვხედავთ, ხიკსი არ ხუმრობს, ის იმუქრება, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლების გაძევებით, თუ საბჭოთა კავშირი შეკვეთებს არ მისცემს ინგლისს და ამ ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობას არ გააფართოებს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს მუქარა არავითარ გავლენას არ იქონიებს. სასაცილოა, რომ ხიკსი ადმინისტრატიული რეპრესიებით ფიქრობს ინგლისის სასარგებლოდ ინგლის- საბჭოთა ეკონომიურ დამოკიდებულების „მოგვარებას". ის მალე დარწმუნდება, რომ მეტად გადაჭარბებული წარმოდგენისაა თავის ადმინისტრატიულ „ტალანტზე".

რა თქმა უნდა, არა ასეთი გზით შეიძლება ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის მოწესრიგება. ცხადია, ამისათვის არც ის კმარა, რომ ხიკსმა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლებს ნება დართოს ინგლისში ექვსი თვით დარჩენა ამ ვადის გაგრძელების შესახებ მათთვის შუამდგომლობის აღძვრის უფლების მინიჭებით, როგორც იგი შეპირდა ბრატფორდის პალატას. საჭიროა სულ სხვა რამ. საჭიროა საბჭოთა კავშირისადმი მტრული ატმოსფერის მოსპობა და ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანი მუშაობისათვის სრული გარანტიის და შესაძლებლობის მიცემა. აქეთკენ მიუთითებენ ხიკსს ინგლისის სამრეწველო და გონიერი წრეებიც, თვით კონსერვატორთა ბანაკიდან; მაგ., მკითხველი უკვე იცნობს კონსერვატიულ გაზეთ „ობსერვერ"-ის წერილს, რომელიც ამბობს: ინგლისს და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა წარმოადგენს „სასწრაფო პრაქტიკულ აუცილებლობის საქმესო".

მაგრამ ჩემბერლენები, დაბრმავებულნი საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილით, ამ გონიერ ხმას ჯერ-ჯერობით ყურს არ უგდებენ, ისინი განაგრძობენ, თუმცა უშედეგოდ, ჩვენი გარემოცვის ცდას. ასეთმა პოლიტიკამ უფრო გააღრმავა ინგლისის ეკონომიკის კრიზისი და გააძლიერა ფართე მოსახლეობის უკმაყოფილება შუბლმაგართადმი, რასაც არ შეიძლება უკანასკნელთა დამარცხება და მათ მიერ ძალა-უფლების დაკარგვა არ მოჰყვეს. ჩვენ გულდამშვიდებით ვუცდით ამ მომენტს და ამავე დროს ვატარებთ მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკას და ვაფართოებთ სხვა ქვეყნებთან ეკონომიურ ურთიერთობას.

გ. ქ—ლი.

გაუგონარი პროვოკაცია

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს 15 ნოემბრის ცნობამ გადაშალა თეთრგვარდიელთა ემიგრაციის ახალი და გაუგონარი პროვოკაციის სურათი. ეს პროვოკაცია თავისი უტიფრობით სჭარბობს ყველა იმათ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დღემდე.

თეთრგვარდიელები უკვე აღარ კმაყოფილდებიან მკვლელობებით, „ნამდვილ დოკუმენტების" ფაბრიკაციით და ყალბ ჩერვონცების ბეჭდვით. ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ლუტკოვის ხროვამ წამოჰყო თავი და დაადგა თავისი მუშაობის მეთოდების „გაუმჯობესების" გზას.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა ამჟღავნებს ამ „გაუმჯობესებული" ტიპის მუშაობის ერთ-ერთ მხარეს.

ემიგრანტმა-თეთრგვარდიელმა ლუკოვსკიმ, რომელიც მუდმივად რეველში სცხოვრობს, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის (ესტონეთში) ერთ-ერთმა თანამშრომელმა წინადადება მისცა მას, ლუკოვსკის, მოეწყო თავდასხმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე ესტონეთში, ამხ. პეტროვსკიზე.

რომ ეს საზიზღარი პროვოკაცია მოხერხებულიყო, თეთრგვარდიელებს ექნებოდათ ყველა საფუძველი, რომ კმაყოფილი ყოფილიყვნენ. მათ ექნებოდათ შესაძლებლობა ყველა თავიანთი დანაშაული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უკანა რიცხვით დაეფარათ, და მიეწერათ ისინი ვითომ ბოლშევიკებისათვის.

ასეთი ბოროტ-მოქმედებანი, როგორც ამხ. ვოროვსკისა და ვოიკოვის მკვლელობა და სხვა ბოროტმოქმედებანი, რომლებიც იწვევენ უდიდეს აღშფოთებას არამარტო მთელი ქვეყნის მშრომელთა შორის, არამედ ყველა პატიოსან ადამიანთა შორისაც, ასეთი ბოროტმოქმედებანი [illegible] ხსენებულ ვერსიის თანახმად მიეწერებოდა [illegible] იმ ხალხს, რომლებიც დაბრმავებულია [illegible] სიძულვილით საბჭოთა კავშირისადმი, არამედ ბოლშევიკებს, რომლებიც [illegible] თითქოს ცდილობენ გამოიწვიონ საერთაშორისო გართულებანი და რეპრესიები [illegible] ემიგრაციის წინააღმდეგ. უკანასკნელ ემიგრანტულ-ესტონურ პროვოკაციის ავტორები იმდენად გაიტაცა ამ საოცნებო პერსპექტივებმა, რომ [illegible] ვერ გამოიცნობდნენ, რომ ეს პროვოკაცია [illegible] თეთრი ძაფებითაა ნაკერი. საქმე [illegible], რომ ასეთმა „ნაკერმა" გასავალი შეიძლება ჰპოვოს ყველაზე უფრო გულუბრყვილო ხალხის თვალში.

ამ უაზრო და ამავე დროს დაბალი ჯურის პროვოკაციას არ დაუჯერა არც ერთმა კაცმა. [illegible] გამონაკლისს შეადგენს ესტონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გიუნერსონი.

გიუნერსონმა დაუჯერა ლუკოვსკის პროვოკაციულ ჭორებს; ლუკოვსკი დიდი ხანი არაა, რომ [illegible] და შესაძლებელია ახლაც იყოს ესტონეთის ოხრანკის აგენტი, ე. ი. იმ დაწესებულების აგენტი, რომელიც ექვემდებარება შინაგან საქმეთა მინისტრს.

თავისი ნდობა მის უწყებაში მოსამსახურე ოხრანკისადმი მინისტრმა გამოხატა ინტერვიუთი, რომელიც მან მისცა ესტონეთის ჟურნალისტებს. ამ ინტერვიუში მან გააკეთა სენსაციური განცხადება იმის შესახებ, თითქოს ერთი მეზობელი **სახელმწიფო** (იგულისხმეთ საბჭოთა კავშირი. სხვანაირად გაგება, მინისტრის მეტის-მეტად აშკარა გადაკრულ კილოსი შეუძლებელია) სცდილობდა გამოეწვია საერთაშორისო გართულება იმ მიზნით, რომ დაემორჩილებია ესტონეთი (?) თავის გავლენისათვის. შემდეგ გიუნერსონმა დაწვრილებით განმარტა მთელი მექანიკა იმ ამბებისა, რომლებიც უნდა მომხდარიყო.

რით ხელმძღვანელობდა ესტონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, როდესაც გამოდიოდა ამ განცხადებით, რომელიც შეიცავს ოხრანკის ცილისწამებლურ და შეუსაბამო ვერსიას, ვერსიას, რომელიც შეურაცმყოფელია მის ქვეყნის მთავრობასთან ნორმალურ ურთიერთობაში მყოფ მთავრობისათვის.

ჩვენ არა გვაქვს არავითარი განზრახვა ვეძიოთ ამ გამოსვლის ახსნა ესტონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პირად თვისებებში, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ესტონეთის სამინისტროს აქვს „სახელოვანი" ტრადიცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეუსაბამო და უსაფუძვლო ბრალდებების წამოყენებაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გიუნერსონმა ამ საქმეში გადააჭარბა თავის წინამორბედთ, განთქმულ ეინბუნდსაც კი, რომელიც თავის დროზე გულმოდგინეთ აწარმოებდა ასეთ ცილისწამებას.

ჩვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ცნობა, როგორც გიუნერსონის ინტერვიუ, შესაძლებელი გახდა ესტონეთში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში სწორედ ესტონეთი აწარმოებს დაუფარავ მტრულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ არა ერთხელ ჩამოგვითვლია ამ მტრული განწყობილების უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ეს მტრული განწყობილება განსაკუთრებით გამწვავდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ. რეველი გახდა ცენტრალური ადგილი ბალტიის სახელმწიფოებში, ფოკუსი, სადაც ცხოვრებაში ტარდებოდა ის ბრძანებები, რომლებიც მიდიოდა ლონდონიდან ან უშუალოდ, და ან ვარშავის გადამცემ პუნქტის საშუალებით.

განსაკუთრებით გაბოროტებულ კამპანიას ბალტიის სახელმწიფოებში ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების წინააღმდეგ აწარმოებდა სწორედ ესტონეთი, რომელიც ამ მიზნისათვის სარგებლობდა ვარშავის დახმარებით და ეყრდნობოდა ლონდონის პარალელურ მტრულ მუშაობას. სწორედ ესტონეთში გაშალა [illegible] თეთრგვარდიელ ემიგრაციის საქმიანობა, საქმიანობა, რომელსაც გულმოდგინეთ მფარველობენ მთავრობის ყოველგვარი ინსტანციები.

სწორედ ესტონეთში ამოძრავდენ ყოველგვარი შტაბები და ერთეულები და თავი წამოჰყვეს პოლიტიკურმა ლეშებმა, რომლებიც საიდანაც უმზადებენ შურისძიებას საბჭოთა სახელმწიფოს.

მთელი ეს ატმოსფერა, რომელიც გაჟღენთილია ღვარძლიანი გაბოროტებით, [illegible], ინგლისის შეთქმულთა გულის მოგების სურვილით და ესტონეთის ხალხის ჭეშმარიტ ინტერესების სრული შეუგნებლობით, ლოღიკური აუცილებლობით ადგმევინებს ესტონეთის მთავრობას და მის ცალკე წევრებს ისეთ ნაბიჯებს, როგორიც გიუნერსონის ინტერვიუ.

დამახასიათებელია მეორე ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სულ უკანასკნელ დღეებში.

გადადგა ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი აკელი. ამ გადადგომის მიზეზები ჩვენ არ ვიცით, მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ, როგორც ცნობილია, გარეშე საქმეთა მინისტრი არ [illegible] მისი კოლეგის—შინაგან საქმეთა [illegible] „მუშაობის" მეთოდებს, არ ეთანხმებოდა იმ მუშაობას, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა აღნიშნულ ინტერვიუში.

აკელის ადგილზე მოსული ახალი გარეშე საქმეთა მინისტრი გელატი თავის მოღვაწეობას იწყებს ინტერვიუთი, რომელშიაც განაგრძობს თავდასხმას ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაზე, სხვანაირად, რომ ვსთქვათ განაგრძობს მტრულ კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

როგორც სჩანს, ამ გამოსვლის შეუსაბამობა და სრული უტაქტობა თვალში ეცა თვით გელატს, რომელმაც მეორე დღეს თავის ახალ ინტერვიუში ილაპარაკა მეგობრულ ურთიერთობის შესახებ საბჭოთა კავშირთან.

ძნელია რაიმე ღირებულება მისცე ასეთ განცხადებებს, როდესაც ადგილი აქვს ყოველივე ზემოაღნიშნულს.

ვუბრუნდებით რა გიუნერსონის ინტერვიუს ინცინდენტს, ჩვენ საჭიროდ მივაჩნია სერიოზულად მივუთითოთ იმ უდიდეს საშიშროებაზე, რომელსაც წარმოადგენს ასეთი გამოსვლები და აგრეთვე ასეთ გამოსვლებთა მთელი ატმოსფერა, რომელიც საფრთხეს უმზადებს არა მარტო ნორმალურ მეგობრულ ურთიერთობის განვითარებას ორივე ქვეყნის შორის, არამედ ამ ურთიერთობის შენარჩუნებას იმ დონეზე, რომელზედაც ის იმყოფება.

თეთრგვარდიელთა გაუგონარ პროვოკაციას, რომელიც გამოიყენა ესტონეთის მთავრობის წევრმა აშკარა ცილისწამებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ შეიძლება არ ექნეს თავისი შედეგი, ჩვენ ვაფრთხილებთ ესტონეთის საზოგადოებრივ აზრს, რომელმაც დღემდე ვერ შესძლო თავგასული მინისტრის შეჩერება.

ჩვენ მეგობრულად ვართ განწყობილი ესტონეთის ხალხისადმი, მაგრამ მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა უშედეგოდ არ დასტოვებს იმ მტრულ კამპანიას, რომელსაც აწარმოებს ამჟამად საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ესტონეთის მთავრობის ლოცვა-კურთხევით.

თუ ესტონეთის საზოგადოებრივ აზრს აინტერესებს მეგობრულ ურთიერთობის დაცვა და განვითარება ორივე ქვეყნის შორის, ის შესძლებს სათანადო ფორმების გამონახვას იმისათვის, რომ შექმნას ისეთი ატმოსფერა, როდესაც ასეთი გამოსვლები შეუძლებელი იქნება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ საკმაო მოთმინება გამოიჩინა იმ მტრულ განწყობილების მიმართ, რომელიც ასე უხვად მომდინარეობს ესტონეთის მხრივ.

მაგრამ არის მომენტები, როდესაც ყოველგვარ მოთმინებას ბოლო ეღება.

„პრავდა", 17 ნოემბერი.

ნაბიჯი წინ

ლონდონი, 16 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: ლორდთა პალატაში განიარაღების საკითხის გარჩევის დროს, ლორდმა პარმერმა (მუშათა პარტიის წევრი) აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის **მონაწილეობა** განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ **კომისიის** უახლოეს სესიაზე, **არის დიდი ნაბიჯი წინ**. ერთად-ერთი მომენტი, რომელიც საერთაშორისო განწყობილებებში ჰქმნის შიშს, პარმერის სიტყვით, არის საბჭოთა კავშირის გარიყვის ცდა ევროპიელ ერებისაგან, ყოველგვარი შიში საბჭოთა კავშირის წინაშე, განაცხადა პარმერმა,— გაზვიადებულია". (ადს).

მთავრობის დამარცხება

ლონდონი, 16 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება დუბლინიდან:

„ირლანდიის პარლამენტში ყოფილ სამხედრო პირთა მოთხოვნილების გასარჩევად კომისიის დაარსების შესახებ მსჯელობის დროს, მთავრობა დამარცხდა. მთავრობას განზრახული აქვს დასვას საკითხი ნდობის შესახებ, რაც გადასწყვეტს მთავრობის ბედს". (ადს).

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

მოსკოვი, 17 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ს. შ. უ. ს. პრეზიდიუმი ამ უახლოეს ხანში **გადასწყვეტს** საკითხს იმის შესახებ, თუ სად უნდა იქნეს შეკვეთილი მოწყობილობა ბაქო-ბათომის ნავთსადენისათვის—საბჭოთა ქარხნებში, თუ საზღვარგარეთ?

როგორც ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობს „გლავმეტალში", ეხლა ამ საკითხის შესახებ არსებობს ორი თვალსაზრისი: ერთი ემხრობა შეკვეთის გადაცემას საზღვარგარეთის ფირმებისათვის, მეორე—მთელი მოწყობილობის დამზადებას საბჭოთა წარმოებებში; პირველ თვალსაზრისს ემხრობა აზნავთი.

მოსკოვი, 17 ნოემბერი. „გლავმეტალ"-თან შესდგა თათბირი იმის შესახებ, თუ სად უნდა იქნეს შეკვეთილი მოწყობილობა ბაქო-ბათომის ნავთსადენისათვის საბჭოთა ქარხნებში, თუ საზღვარგარეთ? თათბირმა სცნო, რომ დაკვეთები მთლიანად შეიძლება შესრულებულ იქნეს საბჭოთა ქარხნების მიერ.

აზნავთის დაკვეთა შეადგენს დიდ თანხას—15 მილ. მანეთს. ნავთსადენისათვის საჭიროა 42 დიზელი, 42 საქაჩი და 1 მილ. ფუთი მილი.

როგორც თათბირზე გამოირკვა ლენინგრადის სამანქანო ტრესტის ქარხნებს შეუძლიათ პირველი რიგის დიზელების და მილების დამზადება, თუ ნავთსადენის წინა ნაწილის დამთავრების ვადა ცოტათი გადადებულ იქნება. მეორე რიგის დაკვეთების თავის დროზე შესრულება [illegible] უზრუნველყოფილია (ადს).

საქართველოს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის (ბ) მეხუთე ყრილობა

კამათი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენების გარშემო

17 ნოემბრის დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. სილვია თოდრია.

ამხანაგებო,—ამბობს თავმჯდომარე,—იხსნება კამათი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენების გარშემო. სიტყვა ეძლევა ამხ. დ. ნასარიძეს.

ამხ. დ. ნასარიძე
(თბილისი)

ამხანაგებო, სანამ მოხსენებას შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია, აქ განვაცხადო შემდეგი, ზოგიერთები ამბობენ, თითქოს მე როდესმე ვყოფილიყო ბუდუს ჯგუფში, მე კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ეს სრული სიყალბეა. (ამხ. ს. გეგეჭკორი ადგილიდან: მართალია) მე ვიყავი ფილიპეს ჯგუფში და როცა მოხდა უთანხმოების პირველი ლიკვიდაცია, მე სავსებით და მთლიანად დავდექი პარტიის უმრავლესობის პოზიციაზე. მე ყოველთვის მტკიცედ ვიცავდი ახალ ცენტრალურ კომიტეტის ხაზს, აგრარულ რევოლიუციის შესახებ, ანტიპარტიულ ჯგუფებთან და ანტისაბჭოთა პარტიებთან ბრძოლის შესახებ და სხვა.

საკონტროლო კომისიის მოხსენებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საკითხს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ. მე მინდა ვსთქვა, რომ ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას დიდათ უწყობს ხელს მუშათა დაწინაურება, ამიტომ ეს ღონისძიება, რომელსაც ჩვენი პარტია ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ფართედ მიმართავს, კიდევ უფრო უნდა იქნას გაძლიერებული.

მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ბიუროკრატიზმთან ბრძოლისათვის საკონტროლო კომისიის მუშაკების შერჩევას. ეს კი ყოველთვის ასე არ არის. აი მაგალითად, ცენტრალურ საკონტროლო კომისიას რაჭაში ჰყავდა თავის რწმუნებულად გაუსწორებელი უკლონისტი—ილიკო ყრუაშვილი. იქ მან აწარმოვა არალეგალური მუშაობა და პარტიის ბევრი წევრი ჩაითრია დეზორგანიზატორულ მუშაობაში.

მე ვამბობ რომ საკონტროლო კომისიის მუშაკთა შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს (ტაში).

ამხ. კალმახელიძე
(ხაშური)

საკონტროლო კომისიას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. მაგრამ არ შეიძლება ყრილობამ არ აღნიშნოს, რომ პარტკოლეგიის ხაზით მისი მუშაობა მოისუსტებს, გორის მაზრაში ცენტრალურ კომისიის მუშაკები თვეში ორჯერ ჩამოდიოდნენ. მათ არა ერთხელ აღმოუჩენიათ ანტიპარტიულ გამოსვლების ფაქტი, ზოგიერთ ფრაქციონერების მხრივ, მაგრამ დამნაშავე პირები არავითარ სასჯელს არ ღებულობენ.

გორის მაზრაში ოპოზიციაში მოექცა მუდმივი ინტრიგანები და დეზორგანიზატორები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ცენტრში მდგომ ინტრიგანებთან, როგორიც არის მაგალითად კოტე ცინცაძე.

მიშა ოკუჯავამ ბორჯომში მოიწვია არალეგალური კრება. სადაც მან დაანაწილა მუშაკები გორის მაზრაში. ხაშურს მიამაგრა ოპოზიციონერი ფოცხიშვილი, რომელიც რაიკომის აგიტპროპის გამგე იყო. ფოცხიშვილმა გააჩაღა მუშაობა, მისი ცდით გამოწვეულ იქნა თბილისიდან კოლია ოკუჯავა, რომელმაც მოიწვია ხაშურში ოპოზიციონერების თათბირი, აირჩია ბიურო და დაავალა მას, რომ არაფერს მოერიდებოდნენ პარტიის წინაშე ბრძოლაში.

იყო კიდევ ისეთი შემთხვევა, რომ რაიკომის მდივანი,რომელიც ორი დღის წინ გააფთრებით ებრძოდა ოპოზიციას, უეცრივ შეიცვალა და უჯრედების კრებაზე გაატარა რეზოლიუცია პარტიის მთლიანობის შესახებ. შემდეგ ეს რეზოლიუცია, მან და სხვა ოპოზიციონერებმა თავისებურად გაამალაშინეს. მათ მოტყუებით და სხვადასხვა საშუალებებით ხელი მოაწერინეს 28 კაცს 83 განცხადებაზე, შემდეგ ამ 23 კაცისაგან ყველამ უარი განაცხადა თავის ხელმოწერაზე, გარდა 5—6 კაცისა.

ამბობენ, ხაშურის რაიკომი გარეკესო, ფრაქციული მუშაობისათვისო, ეს მორიგი სიყალბეა. ხაშურის რაიკომის მდივანი მოხსნილი იქნა სიყალბის ჩადენისათვის და რაიონის კონფერენციამ აირჩია ახალი მდივანი.

ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ფოცხიშვილმა თავისი ჯგუფით ქეიფობის დროს დახია ამხ. სტალინის სურათი და ზედ ლეკური ითამაშა (ხმები:—რა უქენით მერე მათ?). ხაშურის ორგანიზაციამ გამოიტანა ამის შესახებ შესაფერისი დადგენილება და როგორც ვიცით ცკამ ეს დადგენილება დაამტკიცა.

ამას წინად, ხაშურის სადგურზე ოპოზიციონერებმა კაპანაძემ და სხვებმა გააკრეს პროკლამაცია, სადაც ეწერა: „გაუმარჯოს ტროცკის და ზინოვიევს. ძირს ლენინიზმი"-ო, (ხმები:—რა სისაძაგლეა!). ოპოზიცია გამოდის აგრეთვე გლეხების წინააღმდეგ, ისინი გვეუბნებიან: გლეხს მჭადის ჭამა არ შეუძლია. და თქვენ კი გინდათ მათ სოფლის ბედ-იღბალი ჩააბაროთ (ხმები:—ალბათ ეს მეტი შემარცხენეობით მოსდით!). ბევრია ასეთი გაუსწორებელი ფრაქციონერები, რომელთა გვარი ამხ. შამშე ლეჟავამ კარგად იცის და ეს ხალხი ისევ პარტიის წევრები არის. საკონტროლო კომისიამ არავითარი ლმობიერება არ უნდა დაუშვას მათ მიმართ. (ტაში).

ამხ. ოვსიანი
(აჭარისტანი)

პარტიის დისციპლინის და საბჭოთა კანონების დამრღვეველებს პარტია დაუზოგავად უნდა მოეპყრას, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ამას ყოველთვის ვერ ვამჩნევთ. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე მუშკორების შენიშვნებს, შეიძლება ითქვას, რომ მუშკორთა შენიშვნიდან 90 პროც. სულ სიმართლეს შეეფერება, მიუხედავათ ამისა, მათ ხმას ყოველთვის სათანადო ანგარიშს არ უწევენ. ორი წლის წინად მუშკორთა მოძრაობა ჩვენში დიდი იყო და წინმიდიოდა, ეხლა კი შეიძლება ითქვას, რომ ის თანდათან ეცემა. ამის ერთი მთავარი მიზეზია უყურადღებობა მუშკორთა კორესპონდენციებისადმი.

ორიოდე სიტყვა მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ. ხშირად დიდი ყურადღება ექცევა წვრილმანებს, მაგრამ იქ სადაც შეიძლება ათასების გადარჩენა, ჩვენ შესაფერ ზომებს ვერ ვღებულობთ. გარდა ამისა, პარტიის ერთ-ერთ სენს წარმოადგენს ზოგიერთ კომუნისტების ქრონიკული ლოთობა. რაიც უტეხს სახელს პარტიას მოსახლეობის თვალში. ცენტრალური საკონტროლო კომისია მომავალში ამას მთელი ენერგიით უნდა შეებრძოლოს.

ამხ. ამბერკი ურუშაძე
(ქუთაისი)

ჩვენ აქ მოვისმინეთ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და პარტკოლეგიის მოხსენება. მოხსენების პირველმა ნაწილმა ვერ დასტოვა მაინც და მაინც დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება. ის წარმოადგენდა უმთავრესად, დეფექტების აღრიცხვას, მეორე ნახევარი კი უფრო საყურადღებოა. აქ ჩვენ გავიგეთ, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მომჭირნეობის რეჟიმმა და ზედმეტ ხარჯების შემცირებამ მოგვცა 5 მილიონი მანეთის დაზოგვა.

ხშირად ვამბობთ, რომ ჩვენ მუშაობას ვსწავლობთ შეცდომებზე, მაგრამ უკვე დროა, რომ ასეთ სწავლას ბოლო მოეღოს. აი, მაგალითად, მომხსენებელმა აქ გვითხრა, რომ მეტეხის ხიდი, რომლის აგება შეიძლებოდა ასი ათას მანეთად, დამჯდარა ოთხასი ათას მანეთზე მეტი (ხმები: სამაგიეროთ ძალიან ძვირფასი ხიდია!). საქმეც იმაშია ამხ. კალანდაძე, რომ ჩვენ ეხლა არ გვცალია ძვირფასი ხიდისათვის (ხმები: მართალია).

აიღეთ, თუნდაც, მარილისის ქარხანა, ჯერ იქ ქარხანაც აგებული არ იყო და ნედლი მასალის 40 პროც. უსარგებლოთ დალპა. ზარალი ჰქონია აგრეთვე 168ათასი მანეთით თამბაქოს ტრესტსაც.

აი ასეთი დეფექტებს ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ აქ გავიგეთ აგრეთვე, რომ სახკინმრეწვმა ნახა ოთხასი ათას მანეთზე მეტი ზარალი. თუ ეს მართალი არის და მე ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ასე უნდა იყოს,რატომ ხდება რომ სახელმწიფოს ერთი ორგანო, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახით აცხადებს ეს ფაქტია და რესპუბლიკის პროკურორი კი სპობს საქმეს? აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი, დამნაშავე უსათუოდ დასჯილი უნდა იყოს (ხმები: მართალია). აქ საკმაოდ ვრცლად შეეხენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხს.

ბიუროკრატიზმი სახელმწიფო აპარატის თანდაყოლილი სენია, სანამ არსებობს სახელმწიფო —იარსებებს ბიუროკრატიზმიც, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ მას არ უნდა შევებრძოლოთ. მთავარი საშუალება ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში არის შინაპარტიულ დემოკრატიის განვითარება, როდესაც პარტიული მასა და ორგანიზაცია გამომამჟღავნებს ამა თუ იმ პასუხისმგებელ მუშაკის რაიმე ბოროტებას და სასტიკად დასჯის დამნაშავეს. ეს აღმზრდელობით გავლენას იქონიებს სხვებზეც.

მინდა კიდევ შევეხო პასუხისმგებელ ამხანაგების ყოფა-ცხოვრებას, რა მასშტაბისაც არ უნდა იყვენ ისინი. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ უპარტიო მშრომელი მასა, ჩვენი პარტიის შესახებ მსჯელობს არა მარტო იმის მიხედვით, თუ როგორია ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური მოღვაწეობა, არამედ თვითეული პასუხისმგებელი ამხანაგის პირადი ცხოვრების მიხედვითაც (ხმები: მართალია). კომუნისტის კერძო ცხოვრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის ავტორიტეტისათვის (ხმები: მართალია). ეს არ უნდა დაივიწყოს ამხანაგებმა თავის ყოველდღიურ მუშაობის დროს.

როგორც წეღან აღვნიშნე, აქ იყო ნათქვამი, რომ ჩვენ დაგვიზოგავს 5 მილიონ მანეთამდე,მე გამოვსთქვამდი სურვილს, რომ ეს თანხა გადადებული ყოფილიყო ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (ტაში).

ამხ. სიმონ ცუცქირიძე.
(შორაპნის მაზრა)

ამხანაგებო, წარსული ორი წლის განმავლობაში მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ჩვენ საკონტროლო კომისიას უთუოდ დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ არშეიძლება არ აღინიშნოს ის დეფექტებიც, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ამ ორგანოს მუშაობაში. ეს მდგომარეობს ერთგვარ უყურადღებობაში ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხებისადმი. მე-4 ყრილობაზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენებას ჰქონდა უმთავრესად აღრიცხვის ხასიათი, დღეს კი ჩვენ ვხედავთ, რომ გადამჭრელი ზომებია მიღებული მთელ რიგ დიდ მნიშვნელოვან საკითხების მოსაგვარებლად. ჩვენ უკვე მიგვიღია 5 მილიონი მანეთი დაზოგვა, თუ წინად საკითხს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ არ იცნობდენ ფართო მშრომელი მასები, ეხლა ეს მასები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მე მინდა აქ შევეხო დაუდევრობისა და უყაირათობის საკითხს. აქ დიდი სტატისტიკური ცნობები მოგვაწოდეს იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით რესპუბლიკის მასშტაბით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ცოტაა გაკეთებული პროვინციაში. კერძოთ ჩვენს მაზრაში იყო რამდენიმე მძლავრი სამეურნეო ორგანიზაციები, როგორიც მაგალითად მეღვინეთა საზოგადოება, ამ ორგანიზაციას თავის დროზე ვერ მიექცა ჯეროვანი ყურადღება და გასულ წელს [illegible] ლიკვიდაცია უყო, რადგან მან იზარალა 20—27 ათასი მანეთი.

ასეთი ბედი ეწვია მეღვინეთა კოოპერატიულ საზოგადოებას, როგორც მოგეხსენებათ მეღვინეობა ერთ-ერთი მთავარი სამეურნეო დარგია შორაპნის მაზრაში. ეს საზოგადოება არ იქნა შესწავლილი თავის დროზე. არ იყო გამოკვლეული მისი ფუნქცია, მოვალეობანი და აპარატი. ამიტომ მოხდა, რომ ამ საზოგადოებამ გადახარჯა ბანკის ვალი და ზედვე მიაყოლა საწევრო გადასახადიც. მის არსებობასაც ბოლო მოეღო.

რატომ ხდება ეს მე მინდა ვსთქვა, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციას არა აქვს საშუალება უშუალოთ დაუკავშირდეს პროვინციას და აწარმოვოს იქ მუშაობა. მას ჰყავს პროვინციაში თავის რწმუნებულები, როგორიც მაგალითად, ჩვენს მაზრაში ამხ. შარიქაძე, მაგრამ ეს ამხანაგი ვერ სწვდება მთელ იმ სამუშაოს, რომელიც მას დაკისრებული აქვს. გარდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის საქმეებისა მას ბევრი მოვალეობანი აქვს დაკისრებული და ამიტომ, ცხადია, არ შეუძლია მიაქციოს სათანადო ყურადღება კონტროლის საკითხებს. ის ასრულებს მხოლოდ გამომძიებლის ფუნქციებს.

გადავდივარ რა ოპოზიციის მუშაობაზე, უნდა აღვნიშნო შემდეგი, ის გადამჭრელი ზომები, რომელსაც ეხლა პარტია იღებს გაუსწორებელი ფრაქციონერების წინააღმდეგ, დროზე უნდა მიგვეღო. ეს რომ ასე მომხდარიყო, დღეს ადგილი არ ექნებოდა იმდენ გაუგებრობას, რომლის მოწმეც ჩვენ ეხლა ვართ. შინაპარტიულ უთანხმოებაზე ჩვენ არ დავკარგავდით ამდენ ძვირფას დროს, რამაც თავისი გავლენა მოახდინა აღმშენებლობაზე. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ოპოზიციასთან ბრძოლა ძირიდან დაიწყო, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ სათავეში უნდა ჩაგვეხშო ოპოზიცია. ჩვენ დროზე უნდა მოგვეშორებინა ის პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელნიც დიდ თანამდებობაზე დავსტოვეთ და ამრიგად საშუალება მივეცით ბოროტად გამოეყენებიათ სახელმწიფო აპარატი.

აი მაგალითად, ლადო დუმბაძე, დღეს უკვე ყოფილი ჩვენი ამხანაგი, თითქოს წითელი ჯვრის საქმეებზე ჩამოვიდა ჩვენს მაზრაში, მოახდინა იქ არალეგალური კრება, მისცა დირექტივები ადგილობრივ ოპოზიციონერებს და წამოვიდა თბილისში. ამას სჩადიოდა ცინცაძეც. ისინი მიდიოდნენ მუშებთან და ეუბნებოდნენ: ჩვენ ძველი მუშები ვართ, ერთად გვიბრძოლნია, ხომ კარგად გვიცნობთ, ცკაში კი ბევრი ისეთებია, რომელნიც თქვენ წინად არ გინახავთ.

გარდა ამისა, ისინი ეუბნებოდნენ ძველ მუშებს: თუ გინდათ ჯამაგირის გადიდება, დაუჭირეთ მხარი ოპოზიციას. ამნაირად მათ, მართლაც, შესძლეს რამდენიმე კაცის გადაბირება და ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს ჭიათურის ორგანიზაცია ოპოზიციის მომხრე იყოს.

შორაპნის მაზრაში, ვინც კი წინად ოპოზიციონერი იყო, ყველამ აღიარა თავიანთი შეცდომები. დარჩა მხოლოდ 8 კაცი, რომელთაც არ მოუხსნიათ თავიანთი ხელმოწერა ანტიპარტიულ განზრახვებზე და ესენიც უმთავრესად იმიტომ არიან ოპოზიციონერები, რომ მათ ხელფეხს უბორკავს ნათესაური და ნაცნობ - მეგობრული კავშირი, რაიც არ ეპატიება, რასაკვირველია, ბოლშევიკს. მაზრის ძველმა ოპოზიციონერ ხელმძღვანელმა ამ მხრივ თავის კვალი დასტოვა. ეს 8 კაცი ამხ. ვაშაძის და მისი მიმდევრების მსხვერპლია.

გარდა ამისა, ამხანაგებო, მე მინდა შევეხო შორაპნის მაზრის მდივნების საკითხს. ჩვენმა მაზრამ უკვე მე-17-ტე მდივანი გამოიცვალა. ეხლა ჩვენთან გამოგზავნილია მდივნათ ამხ. პავლე საყვარელიძე. მე ვფიქრობ, როცა ცკა აგზავნის კაცს მაზრაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, მან უნდა მხედველობაში მიიღოს ის გარემოება, რომ ამ კაცს შეეძლოს იქ დარჩენა ერთი წლით მაინც. რადგან ყოველი ახალი მდივანი სამ თვეს მხოლოდ მაზრის შესწავლას ანდომებს.

ამხ. როჩიევი
(თბილისი)

მომხსენებელმა აქ სთქვა, რომ ზოგიერთი ჩვენი ბანკები დიდ თანხას და გრძელვადიანი კრედიტით აძლევენ კერძო პირებს. ეს ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ბანკები ხელს უწყობენ კერძო ვაჭარს კოოპერაციასთან და სახელმწიფო ვაჭრობასთან ბრძოლაში.

აქ ბევრი ითქვა აგრეთვე ბიროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მე უნდა განვაცხადო რომ ბიუროკრატიზმთან წინააღმდეგ ბრძოლამ შეიძლება ვერ მოგვცა ისეთი ნაყოფი, რომელსაც ჩვენ მოველოდით. წელს შეიძლება ითქვას, ზოგიერთ დაწესებულებებში ჩვენ ვამჩნევთ ბიუროკრატიზმის ზრდას. აიღეთ, თუნდაც რკინის გზის სამმართველო. ვინც ამ დაწესებულებას იცნობს, ის დამეთანხმება, რომ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ბიუროკრატიზმის დასაძლევათ. ამ სენის წინააღმდეგ უებარ საშუალებას წარმოადგენს მუშების დაწინაურება. ჩვენ მუშებით უნდა შევსცვალოთ სამეურნეო და ადმინისტრატიულ მაღლობებზე მდგომი პიროვნებები. ამ მხრივ იყო გადადგმული ნაბიჯები, მაგრამ მუშათა დაწინაურება სათანადო ენერგიით არ ტარდება. საჭიროა ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება.

შემდეგ უნდა მოვახსენოთ სასამართლოების მუშაობის შესახებ. მე ამ დარგში მიმუშავნია და საკუთარი დაკვირვებით ვიცი, რომ აქ მთელ რიგ ნაკლულოვანებებს აქვს ადგილი. საჭიროა თბილისი დაიყოს 12 რაიონად. ეს უთუოდ გამოაცხოველებს და ხელს შეუწყობს სასამართლოების მუშაობას.

ამხ. ბუხრიკიძე
(ხაშური)

ადგილობრივი მუშები გამოსთქვამენ თავიანთ გულისწყრომას ცენტრალურ კომისიის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი ლმობიერებით საქმე აქამდი მიიყვანა. ამან დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენს მუშაობაზე. გორის სამაზრო პარტიულ კონფერენციაზე ამხ. დოლიძეს უთხრეს მუშებმა: რატომ არ გარეკავთ იმ ხალხს, რომელნიც გაუსწორებელი ფრაქციონერებიაო. ჩვენ ასეთი პასუხი მივიღეთ:—ჯერ ჯერობით მათი გარეკვა არ ივარგებსო.

ამ გაუსწორებელ ელემენტებმა აიყოლიეს ისეთი ელემენტები, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვთ პარტიასთან. გარდა პარტბილეთისა ისინი მხოლოდ თბილ ადგილებს ეძებდნენ. ასეთ ხალხს დაეყრდნო ხაშურის გაუსწორებელი ოპოზიციონერები კაპანაძე, ლაცაბაძე, ძაძამია, ბარბაქაძე და სხვები. ისინი აცხადებდნენ, რომ ოთხკაციანი ხაშურის ორგანიზაცია ჩვენს მხარეზე არისო. მაგრამ დღეს ამ ოთხმა კაცმა ერთხმად უკუაგდო ფრაქციონერები. კერძოთ, ძაძამია გაუსწორებელი ძველი უკლონისტია, რომელიც არა ერთხელ ყოფილა გამორიცხული პარტიიდან. საკონტროლო კომისიამ არა თუ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, არამედ ძაძამიას სტაჟიც კი გაუდიდა 1903 წლამდე. ჩვენ ორგანიზაციის წევრებზე ამან თავის უარყოფითი გავლენა მოახდინა. ძაძამია კი უფრო წაათამამა ფრაქციულ მუშაობაში. მან მოიყვანა თავის სახლში თბილისიდან კოლია ოკუჯავა. მან მოახდინა ბარბაქაძის წისქვილში არალეგალური კრება. შეკრიბა ყველა გარიყულები და პარტიის ნაძირალები. მე უნდა ვსთქვა, რომ ტროცკის და ზინოვიევის გარიცხვა პარტიიდან სრულიად მიზანშეწონილი ზომა არის. ჩვენ მათ უნდა გავაყოლოთ ოპოზიციის აქაური მიმდევრები. მაშ როგორ შეგვიძლიან სხვანაირად მოვექცე ისეთ ხალხს, რომელიც ხელს აწერს განცხადებაზე:—ხელს ვიღებთ ფრაქციულ მუშაობაზეო და ამავე დროს განაგრძობს არალეგალურ მუშაობას. (ხმები: მართალია). მუშები ამბობენ, რომ რევოლიუცია შევქმენით ჩვენ, ის გვეკუთვნის ჩვენ და არა ოკუჯავებს და კოტე ცინცაძეებსო (ტაში). ოპოზიციას საქმე ისე წარმოუდგენია, თითქოს ჩვენ ვიყოთ ბრბო, რომელიც უსიტყვოთ ემორჩილება ზედაფენებს. ის უკვე დარწმუნდა თავის თავით, რომ ეს ასე არაა. ჩვენ წავათამამეთ ბევრი ოპოზიციონერი. ვირაპი, რომელიც ასე ყოყოჩობს დღეს თავის ოპოზიციონერობით, დასახვრეტ ქალთან იჭერს კავშირს (ამხ. ამბერკი ურუშაძე ადგილიდან: ის დაშნაკელია). მით უფრო, თუ ის დაშნაკელია, უნდა მიგვეღო გადამჭრელი ზომები მის წინააღმდეგ, პარტიამ კი ათასები მისცა კოტე ცინცაძეს და სხვებს და ამით თითქოს უთხრა—გაისეირნე გამოისეირნე და უკეთესად დაანგრიე ჩვენი რიგებიო. რამდენი ფულები გვაქვს დახარჯული მათზე? ყოველივე ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. მოვითხოვთ ხაშურის ორგანიზაციის ოთხასი კაცის სახელით გამორიცხულ იქმნან პარტიის რიგებიდან ყველა დეზორგანიზატორები და ტროცკისტები (ტაში).

ამხ. კალანდაძე
(ქუთაისი)

ჩვენი აპარატის ერთ-ერთ მტკივან მხარეს წარმოადგენს ხშირი გაფლანგვები. ხელისუფლებამ ამას მიაქცია ყურადღება და საჭიროდ სცნო უმაღლესი სასჯელი გავრცელებინა ყველა მფლანგველებზე. ამან კარგი შედეგი მოიტანა. უკანასკნელ ხანებში გაფლანგვა ისევ იწყებს ზრდას აქა იქ. საჭიროა გაძლიერებული იქნას ბრძოლა ამ ბოროტების წინააღმდეგ.

მომხსენებელმა სთქვა აქ იმ ბოროტმოქმედების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონია ქუთაისისის სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიაში. ის კაცი, ვინც ეს ბოროტება ჩაიდინა, დღესაც დაუსჯელად დასეირნობს.

ამხანაგებო აქ პარტკოლეგიას უსაყვედურებენ ლმობიერებას ფრაქციონერების მიმართ. ეს ასე არ არის. პარტკოლეგია არ წარმოადგენს დამსჯელ ორგანოს, ის სცდილობს აღზარდოს პარტიის წევრები. არ შეიძლება ყოველ დანაშაულისთანავე დავსვათ საკითხი ამა თუ იმ წევრის გაძევების შესახებ პარტიიდან. ამიტომ საკონტროლო კომისიის ღონისძიებები ოპოზიციის წინააღმდეგ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. ამნაირი საშუალებით საკონტროლო კომისიამ ბევრი ამხანაგი გადაარჩინა საბოლოოთ დაღუპვას. რომ საკონტროლო კომისიის ასეთი ზომა არა, ფრაქციონერები ასობით არ მოვიდოდნენ ჩვენთან არ დაგმობდნენ თავიანთ ძველ მუშაობას.

კერძოთ ქუთაისის ორგანიზაციის შესახებ, უნდა გითხრათ, რომ ის არასოდეს ესე მთლიანად არ წამომდგარა პარტიის ყრილობის წინაშე, როგორც დღეს (ხმები მართალია) და ყოველნაირად უნდა შევეცადოთ, ოპოზიციონერ ამხანაგების პარტიის რიგებში დაბრუნებას და იდეურათ გაჯანსაღებას. თუ ეს ცდა ნაყოფს ვერ გამოიღებს, უნდა ვსთქვათ—შორს ჩვენი რიგებიდან ასეთი დეზორგანიზატორები (ტაში).

ამხ. იორდანიშვილი
(დუშეთის მაზრა)

მე არა ერთხელ ვყოფილვარ მოწმე გლეხებისადმი უხეში მოპყრობისა ქალაქის აღმასკომის ბუხჰალტერიაში. თიანეთიდან ჩამოსულ გლეხებს უთხრეს: დღეს არ გვცალია ,ხვალ მოდით. თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა გავლენას ახდენს ეს გლეხზე. ერთი გლეხი ამის შესახებ უამბობს ასს და ამრიგათ ყოველგვარ დეპეშაზე უკეთესად გავრცელდება უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ.

ამას წინათ, დუშეთში ჩამოვიდა სასამართლოს გამსვლელი სესია, რომლის წევრებიც დაითვრენ და თოფის სროლით გადააქუხეს იქაურობა. სამაზრო კომიტეტმა მათ შესახებ აღძრა საკითხი ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში. ჩვენ დღემდე არ ვიცით რა ბედი ეწვია ამ საქმეს.

მომხსენებელი აქ შეეხო აგრეთვე მიწების ყიდვა გაყიდვას. ეს სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხს წარმოადგენს, მაგრამ ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა ბრკოლდება იმით, რომ სასამართლოში გადაცემული საქმეები მიწების ყიდვა გაყიდვის შესახებ, მთელ რიგ თვეების განმავლობაში გაურჩეველი რჩება. ეს კი ახდენს გავლენას გლეხობაზე და ხელს უწყობს მიწის ყიდვა-გაყიდვის გაძლიერებას. საჭიროა ასეთი საჭირბოროტო საქმეები თავის დროზე და დაუყოვნებლივ ირჩეოდეს.

ორიოდე სიტყვა ოპოზიციაზე, მე მინდა ერთი პატარა ანეკდოტი გითხრათ: ერთი გაკოტრებული აზნაურიშვილი ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში და დაიწყო ხორცით ვაჭრობა, მან გამოჰკიდა საქონელი და იძახოდა: „მობრძანდით, გვარიანი ხორციაო". ჩვენში გვარიანს ჭირიან ხორცს ეძახიან. რასაკვირველია, ასეთ გვარიან ხორცს არავინ მიეკარა. ოპოზიციაც გამომდგარა დღეს და იძახის: მიიღეთ ჩემი პლატფორმა—გვარიანი არისო, ნურას უკაცრავად თუ ეს გვარიანი პლატფორმა ჭირიანათ იცნოს პარტიამ და უარჰყოს ის (სიცილი). ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა უფრო მაგარი კურსის აღება ოპოზიციასთან ბრძოლაში. ძირს ოპოზიციონერები, ძირს პარტიის გამთიშველები! (ტაში).

ამხ. სამსონ მამულია
(სენაკის მაზრა)

ამხანაგებო, პირველყოვლისა, მე უნდა უარვყო ის ბრალდება, რომელიც აქ ამხ. დოლიძემ წამოაყენა თავის მოხსენებაში სენაკის მაზრის ორგანიზაციის წინააღმდეგ. მან სთქვა, რომ გარდა ოპოზიციასთან ბრძოლისა, თითქოს სენაკის მაზრაში ადგილი ჰქონდეს უთანხმოებას პარტიის მუშაკთა შორისაც. მე კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ სენაკის მაზრის პარტიულმა აქტივმა არ იცის არავითარი ბრძოლა, გარდა ბრძოლისა ოპოზიციის წინააღმდეგ. სენაკის მაზრის პარტიის ხელმძღვანელი აქტივი ერთსულოვანი იყო ოპოზიციასთან ბრძოლაში და ის ახლავ ერთსულოვნებით განაგრძობს მუშაობას აღმშენებლობის დარგში.

ეხლა რამოდენიმე სიტყვა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენების შესახებ. ამ ორგანოს მუშაობაში უთუოდ ჩვენ ვამჩნევთ გაუმჯობესებას. ამის მაჩვენებელია მთელ რიგ ბოროტებათა გამოაშკარავება. მაგრამ არ კმარა მარტო ბოროტმოქმედების და უყაირათობის მხილება. საჭიროა მიღებულ იქნას ისეთი ზომები, რომელნიც მოსპობენ ბოროტმოქმედების ჩადენის შესაძლებლობას. ერთი მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს ბოროტმოქმედებას, არის ის, რომ ცენტრალური სამეურ. ორგ. ადგილობრივ მუშაობას ატარებენ სპეციების საშუალებით ისინი არ აბამენ ამ მუშაობაში ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს, რომელნიც საქმეს უკეთ იცნობენ და უკეთ წაიყვანენ. (ხმები მართალია). მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე რომ არ იყოს, ბოროტმოქმედება მაზრებში მნიშვნელოვნად შემცირდებოდა.

გარდა ამისა, ამხანაგებო, არ კმარა დანაშაულის გამომჟღავნება და დამნაშავის გადაცემა პროკურორისათვის. საჭიროა, ინსპექციის ორგანოებმა ადევნონ თვალი იმასაც, თუ რამდენად სწრაფად ტარდება მათი დადგენილება ამა თუ იმ დამნაშავის დასჯის შესახებ (ხმები: მართალია).

აქ მომხსენებელმა სთქვა, რომ რაციონალიზაციის და მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების მეოხებით ჩვენ დავზოგეთ 5 მილიონი მანეთი. მან ეს თანხა საჩუქრად მიართვა ყრილობას მაგრამ ამხ. დოლიძემ თვითვე ეჭვი შეიტანა ამ თანხის რეალობაში. ნება მოგვეცით ჩვენც დავეჭვდეთ ამაში, რომ ეს თანხა მართლაც რეალური ყოფილიყო, საჭირო იყო დაზოგილი თანხიდან განსაზღვრული ფონდის შექმნა, სადაც გადაირიცხებოდა ყველა დაზოგილი თანხები და დღეს ჩვენ დაბეჯითებით გვეცოდინებოდა, რომ მართლაც დაზოგილია ამდენი თანხა. შემდეგ კი ამ თანხას დავანაწილებდით გადაუდებელ საჭიროებებზე. ეხლა კი ჩვენ არ ვიცით რამდენათ შეეფერება ეს თანხა დასახელებულ ციფრს და თუ შეეფერება, არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ის ისევე უკან არ წავიდა ძველი არხით.

გარდა ამისა, ერთი ძირითადი ნაკლი, რომელიც ახასიათებს ჩვენს მუშათა და გლეხთა ინსპექციას. ერთი ის, რომ მისი ხელი და თვალი არ არის იმდენათ საგრძნობი პროვინციაში, როგორც ეს საჭიროა. რატომ ხდება ეს? ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციას არ გააჩნია სათანადო მუშაკები, ამიტომ მუშაკების შერჩევა ერთ მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ამ ორგანოს შემდგომ მუშაობაში. არ კმარა მარტო რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციას სათავეში ედგნენ შესაფერი ხელმძღვანელები, საჭიროა მთელი აპარატის გაძლიერება. ამხანაგი დოლიძე ამბობდა, რომ მუშაობაში ხელს გვიშლის მატერიალური სივიწროვე. მართალია, საშუალებების არქონება აბრკოლებს მუშაობას, მაგრამ საქმე, როგორც მოგეხსენებათ, მარტო მატერიალურ საშუალებებზე არ არის დამოკიდებული. საჭიროა კიდევ შესაფერი მუშაკების ყოლა.

ეხლა რამოდენიმე სიტყვა ოპოზიციის შესახებ. არც ჩვენი ორგანიზაცია იყო კმაყოფილი ოპოზიციის წინააღმდეგ მიღებული ზომებით. ისინი იმდენათ გაიხრწნენ, იმდენად ჩამოშორდნენ პარტიას, რომ დღეს ჩვენთვის არ გამოდგებიან. ერთ ერთი ოპოზიციონერმა სენაკის მაზრაში განაცხადა, რომ ოქტომბრის ზეიმი არის არა პროლეტარიატის, არამედ ბურჟუაზიის ზეიმი. ამაზე მეტი დაცემა და გახრწნა განა კიდევ შეიძლება? (ხმები—სირცხვილია!).

მეორე ოპოზიციონერმა ხონელიძემ განაცხადა: „მარქსმა დასწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით", მაგრამ მას არ უთქვამს რუსებო მიატოვეთ თქვენი ქვეყანა, სომხებო მიატოვეთ თქვენი ერევანი და თბილისში მოგროვდითო! (ხმები—რა სისაძაგლეა!) ეს არის ნაციონალიზმის და შოვინიზმის უსაზიზღრესი განხორციელება.

პარტიიდან გამორიცხულნი ეწევიან მუშაობას პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ არა ერთხელ მიმართეს პარტიას განცხადებით, რომ ხელს იღებენ ფრაქციულ მუშაობაზე. მაგრამ ეს იყო მხოლოდ მანევრი, მათ უნდოდათ პარტიაში დარჩენა, იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაეძლიერებიათ პარტიის შიგნივ თავიანთი დამრღვევი მუშაობა. ოპოზიცია ეხლაც მიმართავს ასეთ საშუალებებს. ჩვენმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა უკვე აიღეს მტკიცე კურსი ოპოზიციასთან საბრძოლველად. ჩვენ ვისურვებთ, რომ ეს კურსი ბოლომდის მტკიცე დარჩენილიყოს და ბოლო მოღებოდეს მათ გამთიშველ მუშაობას ლენინური ორგანიზაციების რიგებში (ტაში).

ამხ. ჯავახიძე
(კომკავშირი)

ამხანაგებო, აქ გამოსული ორატორები და არც თვით მომხსენებელი არ შეხებიან ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის საკითხი პარტიის წევრთა გამდიდრების შესახებ. თქვენ იცით, რომ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის კომუნისტი, რომელიც სხვა მატერიალურ პირობებში იწყებს ცხოვრებას, ვიდრე დანარჩენები, სოციალურად უკვე ველარ ეგუება პარტიის ჩარჩოებს და იდეიას. აი, მაგალითად, გურიაში პარტიის ზოგიერთ წევრებმა აიშენა სახლები ქალაქის ყაიდაზე. დღეს ის ამხანაგები ვერ ეგუებიან ჩვენს რეჟიმს და უკვე ოპოზიციონერობენ. მე ვფიქრობ, რომ საკონტროლო კომისიამ საკითხის ამ მხარეს უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

ეხლა ადმინისტრატიულ ხარჯების შესახებ. ბევრ შემთხვევაში იმისათვის, რომ ჩვენ შეგვემცირებინა ხარჯები მოვახდინეთ შტატების შემოკლება, მაგრამ ხშირად ვხედავთ ისეთ ფაქტებს, როდესაც შტატების შემოკლების შემდეგ ხდება თანამშრომლების ხელახალი აყვანა და შტატი ძველ დონემდე ადის. გარდა ამისა შტატის შემცირებას ბევრი ადმინისტრატორი იყენებს იმისათვის, რომ მოიშოროს ბევრი მისთვის არა სასურველი ელემენტი და შემდეგ მის ადგილას მიიღოს სხვა. ეს ზედმეტად აღიზიანებს ინტელიგენციას. რაკი შემცირებაა, შემცირება უნდა იქნას მიყვანილი ბოლომდი და ის არ უნდა ხდებოდეს დაწესებულებების საზარალოთ.

აქ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხს. ამას წინათ მე ორგანიზაციის საქმეებზედ შემიხვდა სამტრედიაში ყოფნა. იქ მე ვიყავი მოწმე კვერცხების ექსპორტის. ჩვენ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას ხელი მიუყვია კვერცხების საზღვარგარეთ გაზიდვისათვის. იქ სამტრედიაში სხედან ქალიშვილები, რომელნიც დღეში სინჯავენ 180 ცალ კვერცხს და ამისათვის დღიურად იღებენ ორ მანეთს. მაშასადამე თითო კვერცხს, მხოლოდ გასინჯვისათვის ედება 1 კაპეიკზე მეტი ზედნართი ხარჯი. მე ვფიქრობ, „სოფლის კავშირს" შეეძლო უფრო მეტი სარფიანი საქონლის გაზიდვა საზღვარგარეთ. ეს გაცილებით უფრო მეტ სარგებლობას მისცემდა „სოფლის კავშირს".

ეხლა რამოდენიმე სიტყვა ოპოზიციის შესახებ კომკავშირში. საინტერესოა ვიცოდეთ, რა სოციალურ ბაზისზე აღმოცენდა ოპოზიცია კომკავშირში, მას ნიადაგი აქვს ჩვენი ორგანიზაციის ყველაზე უფრო მჭლე ფენებში. ეს არის მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდა, არ გამოდგა წარმოებაშიც და, ერთი სიტყვით, წარმოადგენს ცხოვრების ზედმეტ ბარგს. კონტრ-რევოლიუციონური ინტელიგენციაც ახდენს მათზე სათანადო გავლენას. აი ამ ფენებიდან მოდის ოპოზიცია კომკავშირში. აი, მაგალითად, ლეჩხუმის მაზრაში ოპოზიციამ მისცა პირდაპირი დირექტივა თავის მიმდევრებს—შეკრიბეთ ყველა უკმაყოფილონიო. ასეთები იქ, რასაკვირველია, აღმოჩნდა და ასეთ ელემენტებში გააჩაღა ოპოზიციამ თავისი დამრღვეველი მუშაობა, გარდა ამისა ქუთაისში კომკავშირის ოპოზიცია გაითქვიფა ახალგაზრდა მარქსისტებში და მათთან ერთად აწარმოებდა ბრძოლას კომკავშირის წინააღმდეგ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდა მარქსისტებიც იმავე სოციალურ ბაზისზე აღმოცენდნენ, რომლებზედაც კომკავშირის ოპოზიცია. აქედან თქვენ ხედავთ თუ რას წარმოადგენს დღეს ჩვენი ოპოზიცია.

ამხ. გოგია

ორატორის გამოსვლას ტრიბუნაზე კრება ტაშით ეგებება. ამხანაგებო, დაიწყო ამხ. გოგიამ, იმ საპასუხისმგებლო მომენტში, რომელსაც ეხლა განიცდის ჩვენი პარტია, ყველა შეგნებული ვალდებულია გამოსთქვას თავის აზრი. რას ფიქრობს ის, ჩვენი პარტია არასოდეს არ მალავდა თავის ნაკლს. ჩვენ ყოველთვის ვამბობთ ჩვენი უარყოფითი მხარეების შესახებ და ეს იმიტომ, რომ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ სცდებიან არაფრის მკეთებლებიც კი, მით უფრო შესცდებათ ის, ვინც ასეთ დიდ საქმეს აკეთებს, როგორიცაა ჩვენი პარტია (ხმები—მართალია). მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავეხარდეთ, როცა ჩვენ ნაკლს ვხედავთ, როგორც ამას შვრება ოპოზიცია.

ჩვენ გვქონდა ერთ დროს ბრძოლა პარტიაში, მე მაშინ ვამბობდი, რომ ეს გვართმევს ძალას, ჩვენი პარტია იზრდებოდა დისციპლინის მტკიცე შეგნებაზე. ის, რასაც ადგენს უმრავლესობა, სავალდებულოა უმცირესობისათვის და უსიტყვოთ უნდა იქნეს შესრულებული.

ჩვენ მხოლოდ ჩვენი რკინის დისციპლინით ვარსებობთ, უამისოთ შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება.

ეს ძველი [illegible]. პარტია თითქოს ჩადგა მშვიდობიან მუშაობის პირობებში, მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენ გვეგონა, რომ ბოლო მოეღო უთანხმოებას ადგილობრივ, მოსკოვში გაჩნდა ახალი ოპოზიცია. ისევ დაიწყო ბრძოლა. ოპოზიციამ ჩაითრია თავის ბანაკში ძველი ქართველი უკლონისტები, რომელთაც გამოიცვალეს ფერი და ოპოზიციის სახით დაუწყეს ბრძოლა პარტიას. როდესაც ბევრი ამხანაგები მათ არ გაჰყვა, დაიწყეს ცილისწამება და დამცირება: თქვენ მოიქანცეთ, თქვენ მოგისყიდეს და სხვა, ვისაც ბოლშევიკური პარტიის რეჟიმი არ მოსწონს ის სჯობს გავიდეს ჩვენი რიგებიდან. მართალია, ჩვენ ასე ადვილად არ ვრიგდებით ძველი ამხანაგების დაკარგვას, მაგრამ ჩვენთვის ერთი აშკარაა—სჯობს დაიკარგოს ნაწილი, მთელის დაღუპვას (ტაში).

ამხ. აკაკი ენუქიძე
(თბილისი)

მე მინდა შევეხო სასამართლოს მუშაობას, სადაც დაგროვილია საქმეები და მთელი თვეობით გაურჩეველი რჩება, ხშირად შეხვდებით მუშას, რომელიც ამბობს—მე უკვე დამავიწყდა კიდეც, თუ რაზე შევიტანე საჩივარი, ასეთ რამეს ბოლო უნდა მოეღოს.

გარდა ამისა ხშირად ხდება, რომ ძირითადი ორგანიზაცია ადგენს: გამორიცხულ იქნას ესა თუ ის ამხანაგი პარტიიდან პასსიურობისა თუ სხვა რაიმე მიზეზით, მაგრამ ცენტრალური საკონტროლო კომისია მას ისევ აბრუნებს პარტიაში. მომავალში ძირითად ორგანიზაციების ხმას ცენტრალური საკონტროლო კომისიამ უფრო მეტი ანგარიში უნდა გაუწიოს.

საქართველოში არის ლოტოინტრესტი, რომლის მუშაობაც შეფერხებულია. ამის მიზეზი არის ის, რომ ლოტოინტრესტს არ გააჩნია სათანადო საბრუნავი თანხა. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო თათბირების მუშაობა ხშირად ვერ იძლევა სასურველ ნაყოფს და ეს იმით აიხსნება, რომ მათ მუშაობას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ამხ. გულისაშვილი
(ცაგერი)

ჩვენს მაზრაში ამიერ-კავკასიის რკინის გზას აქვს სატყეო განყოფილება, რომელიც ბოროტმოქმედების ბუდეს წარმოადგენდა. დღეს ამ განყოფილებაში 5-6 თვის გაუსტუმრებელი ვალი აქვს გლეხობის. ფულის აღებაში გლეხობას უფრო მეტი ეხარჯება ზედმეტი სიარულის დროს, ვიდრე მას ეკუთვნის საერთოდ სატყეო განყოფილებიდან. ჩვენ ვიცით გამოცდილებით, რომ გორის მაზრაში საკონსერვო ქარხანამ 18 პატრონი გამოიცვალა, ჯერ ცკავშირი, შემდეგ წარმოკავშირი და სხვა. როდესაც ეს ქარხანა გადავიდა ადგილობრივ აღმასკომის ხელში, მისი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. მე ვფიქრობ, რომ ასევე გამოსწორდება ა.-კ. სატყეო განყოფილების მუშაობა ჩვენს მაზრაშიაც, რომ ამ განყოფილებას [illegible] მაზრის ადგილობრივი ხელისუფლება.

ადგილობრივი ორგანიზაციები ზოგჯერ უკმაყოფილონი არიან ცენტრალური საკონტროლო კომისიით იმის გამო, რომ ის ანგარიშს არ უწევს ამ ორგანიზაციების ხმას, ასე მაგალითად, ხუთჯერ მოსწერა ჩვენმა მაზრამ მღვდლის შვილის ლეშკაშელის შესახებ, რომ ის ჩვენთვის უცხო ელემენტიაო, მაგრამ ის დღესაც პარტიაში არის.

ლეჩხუმელი ოპოზიციონერი გორგასლიძე თავიდანვე არ არჩევდა ჩვენს მტრებსა და მეგობრებს და ყველას ერთნაირ დახმარებას უწევდა, როდესაც ის იყო მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ. მისგან დატოვებული ვალები დღესაც გაუსტუმრებელი აქვს აღმასკომს. ჩვენი ორგანიზაციის დაბეჯითებითი თხოვნაა, რომ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებმა გადამჭრელი კურსი აიღონ ოპოზიციასთან ბრძოლაში. პარტიის გამთიშველებს და დეზორგანიზატორებს ადგილი არა აქვთ ჩვენს რიგებში (ტაში).

17 ნოემბრის საღამოს სხდომა

გრძელდება კამათი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენებათა გარშემო.

ამხ. მარკაროვი

აქ იყო ნათქვამი, თითქოს კულტუროსნობა მიზეზია ბიუროკრატიზმის. ეს არაა, ამხანაგებო მართალი. კულტურა ზრდის მასის აქტივობას და უფხიზლებს მას ტაქტიკის უნარს, კულტუროსნობა საჭიროა პარტიის ყველა წევრისათვის.

მე მინდა შევეხო კიდევ მუშკორების ხელმძღვანელობის საკითხზე. უნდა გამომუშავებულ იქნას ღონისძიებები მუშკორთა ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დასაჭერად. როგორც ვიცით მუშკორთა მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი სახის ბოროტმოქმედებათა და აგრეთვე ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საჭიროა მომავალში ყურადღება მიექცეს მრეწველობის თვითღირებულების შემცირებას. გარდა იმისა, რომ ჩვენი პროდუქცია ძვირი ჯდება, ის მეტად დიდი ხნის განმავლობაში მზადდება. ამას უნდა მიაქციონ ყურადღება მომავალში პარტიამ და ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა.

ამხ. მირიანაშვილი

მომჭირნეობა და უყაირათობა ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არაა ჩვენ სინამდვილეში. აიღეთ მაგალითად წნორის წყალის ტყეებში წარმოებული მუშაობა. აქ მასალა იმდენად გაფუჭებულია, რომ შეშადაც აღარ გამოდგება. ჩვენი აპარატის ერთ-ერთ ბოროტებას წარმოადგენს ავანსები. ცენტრალური საკონტროლო კომისია უნდა შეებრძოლოს ავანსებს. მან უნდა მიიღოს ზომები, რათა ავანსებით არ სარგებლობდენ არც ადმინისტრატორები და არც თანამშრომლები.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ შტატების შემცირებაზე, შემცირება უნდა გატარდეს ყველგან, მაგრამ ზოგჯერ ეს ასე არ არის. მაგალითად ცეკავშირი კატეგორიულ უარს აცხადებს ამაზე. საჭიროა ხარჯების შემცირება ყველგან ერთნაირი სიმტკიცით ტარდებოდეს.

გაფლანგვებსა და გადახარჯვებს ჯერაც არ ედება ბოლო. მომხსენებელმა სთქვა, რომ ჩვენ დავზოგეთ ხუთი მილიონი მანეთიო. შეიძლება ითქვას, რომ ეს თანხა 15 მილიონამდე ავიდოდა, რომ გაფლანგვებს და გადახარჯვებს არ ჰქონოდეს ადგილი.

ორიოდე სიტყვა პარტკოლეგიის მუშაობის შესახებ. ჩვენ დღეს განვიცდით საპასუხისმგებლო მომენტს. საჭიროა უფრო გადამჭრელი ზომების მიღება ოპოზიციის წინააღმდეგ. ზოგჯერ ამას ადგილი არ ჰქონდა, რადგან ცენტრალურ საკონტროლო კომისიის აპარატში თვითვე იყვნენ გასაწმენდი ამხანაგები. მომავალში ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ამხ. თოფაძე
(სამტრედია)

ოპოზიციონერები ამბობენ, რომ პარტიის ძველი წევრები ჩვენთან არიანო, მაგრამ შეხედეთ გიორგის, პავლეს და სხვებს (მიუშვერს ხელს პარტიის ძველ წევრ დელეგატებზე). უკვე ლანი აქ არ არიან? მე კარგად მიცნობს კოტე ცინცაძეც და დათიკო ლორთქიფანიძეც. მე ვეუბნები მათ, რომ არა ვართ ძველი მუშები მათთან. ოპოზიციაში არის ისეთი ხალხი, რომელთაც სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაული მიუძღვით. ერთ დროს იძახოდენ დღევანდელი ოპოზიციონერები ფილიპე მახარაძეზე გენიოსი კაციაო, დღეს, როდესაც ამხ. ფილიპე ატარებს პარტიის უმრავლესობის ხაზს, ამ ოპოზიციონერებმა მას გვერდი აუქციეს და სადღაც სხვაგან გარბიან. ერთი მითხარით სად გარბიხართ ეხლა თქვე ოჯახქორებო. (სიცილი).

მეათე ყრილობაზე, სადაც ზინოვიევი თავმჯდომარეობდა, ლენინმა შეიტანა რეზოლიუცია პარტიის დისციპლინის შესახებ, დღეს ზინოვიევი ამ დადგენილებას თვითვე არღვევს. ნუ თუ ეს არის ძველი ბოლშევიზმი. ჩვენ ასეთ ხალხთან არაფერი საერთო არა გვაქვს (ტაში).

ამხ. გუბინი
(წითელი არმია)

ზოგიერთი ამხანაგები ცენტრალურ საკონტროლო კომისიას არ აკუთვნებენ სათანადო მნიშვნელობას. ის აზრი ერთხელ და საბოლოოდ უნდა გაიდევნოს ჩვენი შეგნებიდან. საკონტროლო კომისიამ უნდა იქონიოს ასი თვალი და ასი ყური. ამიტომ ამ ორგანოების მუშაკების შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

წითელ-არმიას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული ცენტრალურ საკონტროლო კომისიასთან. აქ ამბობენ ზოგიერთი ამხანაგები, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია ლმობიერად ეკიდებოდა ოპოზიციას. ეს არ არის მართალი. შეიძლება ცალკე შეცდომები იყო, მაგრამ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის საერთო ხაზი უთუოდ სწორია.

ამხ. ზაკომოლდინი
(ლენრაიონი)

გაფლანგვას და სხვა ბოროტმოქმედებას ჩვენი დამსჯელი ორგანოები ზოგჯერ ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას. გამფლანგველები ხშირად დაუსჯელად დაიარებიან. არის შემთხვევები, როცა პარტუჯრედები ადგენენ ამა თუ იმ დამნაშავე პირის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, მაგრამ ცენტრალური საკონტროლო კომისია ამას არ ამტკიცებს და არც საინფორმაციო კავშირს აბამს პარტუჯრედთან. ეს რასაკვირველია არ ვარგა. საჭიროა მეტი ინფორმაცია საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ. აქ ლაპარაკი იყო აგრეთვე ოპოზიციონერებისადმი ლმობიერად მიდგომის შესახებ. ამხანაგური მიდგომა საქმისადმი ყოველთვის კარგია, მაგრამ ცუდია, როცა ის იღებს ქრისტიანულ ხასიათს სამეურნეო მუშაკთა სასტიკი დასჯა, როცა ისინი სჩადიან ამა თუ იმ ბოროტებას, აუცილებელი პირობაა, რომ ეს ბოროტება ავაშოროთ. ასეთ შემთხვევაში ამხანაგური მიდგომა არაფრად არ ვარგა. (ხმები: მართალია. ტაში).

ამხ. ვარძიელი

მომხსენებელი აქ შეეხო სახკინმრეწვის საკითხებს. მე მინდა ავუხსნა ყრილობას, თუ რატომ მოსპო რესპუბლიკის პროკურორმა რეჟისორ პერესტიანის წინააღმდეგ აღძრული საქმე. რომ პერესტიანს გაფლანგვა ჩაედინა არავითარ შემთხვევაში მას ეს არ შერჩებოდა, მაგრამ აქ გაფლანგვასთან საქმე არ გვქონია. სურათებმა ვერ მისცა იმდენი მოგება სახკინმრეწვს, რამდენსაც თავიდან მოელოდნენ. პერესტიანი იყო სურათების ტეხნიკური მხარის შემსრულებელი, ზარალი უმთავრესად გამოიწვია სურათების სიუჟეტის გამოუსადეგრობამ. პერესტიანი ამ შემთხვევაში იყო ტეხნიკური ამსრულებელი. სურათებმა საშუალოდ მოგვცა ასი ათასი მანეთი, მაგრამ მთელი ასი პროცენტით მათ ვერ გაამართლეს იმედები.

ეხლა რამდენიმე სიტყვა რაციონალიზაციის შესახებ. ამ დარგში მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ცოტა გააკეთა, რადგან ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ისე ადვილი საქმეა. ხშირად ბიუროკრატის აღმოჩენა უფრო ძნელია, ვიდრე გამფლანგველის. (ხმები: მართალია). მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მომავალში უნდა გააძლიეროს ამ მიმართულებით თავისი მუშაობა.

აქ ლაპარაკი იყო გაფლანგვების შესახებ. უკანასკნელ ხანებში დიდი თანხების (10—15 ათასი მანეთის) გაფლანგვის შემთხვევები დიდად შემცირდა. სამაგიეროდ გავრცელდა უფრო საშიშარი და უფრო საზიანო გაფლანგვა, წვრილი გაფლანგვების სახით, რომელიც თითქოს შესამჩნევი არ არიან. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამ სენთან ვერ აწარმოებს სათანადო ბრძოლას. მას არ აქვს მჭიდრო კავშირი ადგილობრივ სარევიზიო კომისიებთან ,რომ ამ კომისიების მუშაობა თავის სიმაღლეზე იდგეს, ჩვენ დიდად შევამცირებდით წვრილ გაფლანგვების სენს.

ორიოდე სიტყვა სასამართლოს მუშაობის შესახებ. სასამართლოს ჩვენ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს. ის სწყვეტს დავას სახელმწიფო და კერძო კაპიტალს შორის, კულაკსა და ღარიბი გლეხის შორის, დამქირავებელსა და დაქირავებულის შორის.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეისწავლა სასამართლოს აპარატი, რომ მთელი რიგი საყურადღებო პრაქტიკული ნაბიჯები გამოიმუშაონ საქმის გასაუმჯობესებლად სასამართლოების დარგში. საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას კი ამ მხრივ ჯერ ნაბიჯი არ გადაუდგამს. მე ვისურვებდი, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციას მეტი ყურადღება მიექცია სასამართლოს ორგანოების გამოკვლევა-შემოწმებისათვის. (ტაში).

ამხ. შ. ლეჟავას საბოლოო სიტყვა

აქ გამოსული ორატორები ეხებოდნენ შემდეგ საკითხებს: ერთნი უსაყვედურებდნენ პარტკოლეგიას „ქრისტიანობას", მეორენი ამბობდნენ საკონტროლო კომისიის რწმუნებულების უვარგისობაზე და მესამენი ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ.

ამხ. ჯავახიძემ აქ განაცხადა, რომ კომუნისტები სახლებს აშენებენ და ამას უნდა შევებრძოლოთო. აქვს თუ არა უფლება კომუნისტებს აიშენოს სახლი. აქ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ: თუ ავიღებთ თბილისს—ერთი მდგომარეობაა, თუ კი ავიღებთ სამაზრო ქალაქებს და დაბებს ან კიდევ სოფლებს—სულ სხვა მდგომარეობაა. ჩვენ ვიცით მაგალითად, რომ რკინისგზელებს ნაძალადევში აგებული აქვთ ოროთახიანი სახლები. ცხადია ვერც ასეთ პარტიის წევრს, ვერც იმ გლეხს, რომელიც აშენებს სახლს მეურნეობისათვის ჩვენ ამას ვერ აუკრძალავთ. ჩვენ მათხოვრობის კომუნიზმს არ ვქადაგებთ. ამიტომ უსახლობა კომუნისტობის ნიმუშად არ ჩაითვლება. მთავარი აქ ისაა, რომ პარტიის წევრმა სახლი არ გამოიყენოს ექსპლოატაციის მიზნით ასეთ შემთხვევაში რასაკვირველია, ზედმეტია ლაპარაკი სახლის აგების უფლებაზე.

ჩვენი მიდგომა საკითხებისადმი არ არის მარტო ჩვენი მიდგომა. ესაა მთელი პარტიის ხაზი. ასეთივეა საკავშირო კომპარტიის საკონტროლო კომისიის ხაზი.

ზოგიერთები ჩვენ კეტს გვეძახიან. ჩვენ არა ვართ კეტი, მაგრამ თუ დაგვჭირდა, ისე დავკრავთ ზოგიერთებს თავში, რომ საკუთარ თავს დავავიწყებთ. (სიცილი, ტაში). ჩვენ ვუფრთხილდებოდით ამხანაგებს, ჩვენ გვინდოდა პარტიისათვის შეგვენარჩუნებია ძველი, რევოლიუციონური წარსულის მქონე ამხანაგები, მაგრამ ამავე დროს რაც მეტი წარსული ჰქონდათ მათ, უფრო მეტსაც მოვითხოვდით მათგან, სამწუხაროდ შთაგონებისა და აღმზრდელობის მეთოდმა ინტელიგენტ ოპოზიციონერებზე იმდენად ვერ გასჭრა, როგორც მუშებზე. აი მაგალითად ხაშურელი ოპოზიციონერი მუშა ამხ. ვანო ძაძამია. როცა ის კომინტერნის მესამე კონგრესზე იყო, ლენინს გაეცნო. როცა ის ჩვენ დავიბარეთ საკონტროლო კომისიაში მე შევეკითხე, იცნობს თუ არა ის ტროცკის, მან მიპასუხა: ტროცკი მარტო სურათებში მინახავსო, მაშინ მე ვკითხე იცნობდა თუ არა ის ლენინს, როგორ არა მესამე კონგრესზე მან მე ხელი ჩამომართვაო. მე შევეკითხე, რა გაქვს შენ საერთო ტროცკისთან-თქო. მეო—მიპასუხა ამხ. ძაძამიამ—ტროცკიზმთან არაფერი საერთო არა მაქვსო, სამაგიეროდ მთლიანად ვდგევარ ლენინიზმის პოზიციაზეო. ამის შემდეგ ამხ. ძაძამიამ დასწერა განცხადება ოპოზიციიდან გასვლის შესახებ. ასეთი იყო ამხანაგებო ძაძამიას „ისტორია". და ამიტომ მე მიკვირს, როდესაც აქ გამოდიან ხაშურელი ამხანაგები და გაკვირვებას გამოსთქვამენ, რატომ არ არის გამორიცხული პარტიიდან ძაძამიაო, ჩვენ ძაძამიას ვერ შევადარებთ ისეთ დეკლასიურ ტიპებს, როგორიცაა ფოცხიშვილი.

საერთოდ ჩვენ გვისაყვედურებდნენ აგრეთვე, რომ ლმობიერად ვეკიდებით მფლანგველებს. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ 49 კაცი მივეცით პასუხისგებაში გაფლანგვების გამო.

აქ გამოვიდა ამხ .სიმონ ცუცქირიძე შორაპნის მაზრიდან, რომელმაც განაცხადა, რომ რწმუნებული ვერ ერევა თავის სამუშაოს, ვინაიდან მას სხვა ფუნქციებიც აქვს. ჩვენ არა გვაქვს საშუალება, რომ სპეციალური რწმუნებულები ვიყოლიოთ ჩვენს საკუთარ ხარჯზე ყველა ადგილებში. ამით არის გამოწვეული, რომ ჩვენი რწმუნებული შორაპნის მაზრაში ვერ ანდომებს საკმაო დროს საკონტროლო კომისიის საქმეს.

ვათავებ რა ჩემს სიტყვას, მე კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენი ხაზი სწორია. ცენტრალური საკონტროლო კომისია კიდევ უფრო მტკიცედ განაგრძობს ამ გზით სვლას და კომუნისტურ პარტიის რიგებიდან განდევნის ყველა ჩვენთვის უცხო და მიუღებელ ელემენტებს. (ტაში).

ამხ. ა. დოლიძის საბოლოო სიტყვა

როდესაც აქ ამხანაგები გვისაყვედურებენ ლმობიერ მოპყრობას ზოგიერთ დამნაშავესადმი, მათ მხედველობიდან ეპარებათ ერთი გარემოება, ეს ის, რომ არის ზოგჯერ დანაშაული, რომელიც გამოწვეულია ობიექტიური პირობებით და პერსონალურად ვერავის დასდებთ ბრალს. აი მაგალითად, შემთხვევა სახკინმრეწვში. აქ ჩვენ მივიღეთ ასი ათასი მანეთის ზარალი, მაგრამ პირადათ დამნაშავის აღმოჩენა ძნელი საქმეა.

გარდა ამისა, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყვეს, რომ მისი თვალი ყველგან სწვდებოდეს, საჭიროა ადგილობრივი ორგანიზაციები ენერგიულ დახმარებას უწევდენ მას. აქ გამოსულ ამხანაგების სიტყვები საქმიანი იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სიტყვებს ახლდა ზოგიერთი ნაკლიც. მაგალითად, ბევრი ჩვენ გვეუბნება, რომ მეტად ლმობიერად ეკიდებოდით დამნაშავე პარტიის წევრებს. ეს გაუგებრობაა. პირიქით მე ვამბობ, რომ ჩვენ შეიძლება უფრო სასტიკადაც ვეკიდებით, ვიდრე საჭიროა. ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გამოვრიცხეთ 706 კაცი. პარტიის ამდენი წევრების დაკარგვა ხუმრობა საქმე არაა. გვესაყვედურებიან, რატომ დღემდი არ შემოიტანეთ ეს წინადადება, როგორიც ეხლა შემოგაქვთ ადგილობრივ ოპოზიციის ლიდერების პარტიიდან გარიცხვის შესახებ. თქვენ იცით, რომ ტროცკი და ზინოვიევი ამ დღეებში გარიცხეს პარტიიდან. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საკითხი იდგა მათი ცეკას შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ, ცეკას წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი—დაჟინებით მოითხოვდა ამას: მაგრამ პოლიტბიურო წინააღმდეგ წავიდა. მას სურდა ამ ამხანაგების შენახვა პარტიისათვის. გარდა ამისა ჩვენ რომ ერთი წლის წინად გამოგვერიცხა ტროცკი და ზინოვიევი პარტიის მასისათვის იმდენად გასაგები არ იქნებოდა ასეთი ნაბიჯი, როგორიც ის დღეს არის. (ხმები: მართალია). დღეს ოპოზიციამ სავსებით აიხადა ნიღაბი და მთელი პარტია აამხედრა თავის წინააღმდეგ.

ამხ. ანდრო დოლიძე ამის შემდეგ აქვეყნებს საკონტროლო კომისიის წინადადებას კოტე ცინცაძის, სანდრო თუმანოვის, ნაზარიანის, ვირაპის და სხვების ფრაქციულ მუშაობისათვის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ყრილობამ საკონტროლო კომისიის ეს წინადადება ერთხმად მიიღო და წინადადება მისცა საკონტროლო კომისიას იქონიოს მსჯელობა უახლოეს დროის განმავლობაში ყველა დეზორგანიზატორ გაუსწორებელ ფრაქციონერთა შესახებაც და გააძევოს ისინი პარტიიდან.

ამის შემდეგ ყრილობა ამხ. ა. ურუშაძის წინადადებით ერთხმად ღებულობს შემდეგ დადგენილებას ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენების შესახებ:

„საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მეხუთე ყრილობა, მოისმინა რა მან მოხსენება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ, სცნობს, ამ ორგანოების პოლიტიკურ და საორგანიზაციო ხაზს სრულიად სწორად და მუშაობას დამაკმაყოფილებლად".

—:—

ამის შემდეგ ყრილობამ აირჩია კომისია რეზოლიუციის გამოსამუშავებლად ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მომავალი მუშაობის შესახებ.

ამით დასრულდა 17 ნოემბრის საღამოს სხდომა.

ყრილობის დადგენილება

ფრაქციონერების გამორიცხვის შესახებ პარტიიდან

ყრილობამ ერთხმად მიიღო ს. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის შემდეგი წინადადება

გაეცნო რა დოკუმენტებს და მასალებს ადგილობრივ უკლონისტურ-ტროცკისტულ ოპოზიციის ხელმძღვანელთა ფრაქციულ მუშაობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია საჭიროდ სთვლის გააცნოს საქართველოს კომპარტიის მეხუთე ყრილობას შემდეგ გამთიშველ ფრაქციონერთა ანტი - პარტიული მუშაობა:

1. **ცინცაძე კოტე**, მოსამსახურე, საქართველოს კომპარტიაში ოპოზიციონური ფრაქციის აქტიური ორგანიზატორი. თავისი სისტემატიური ფრაქციული მუშაობით რამოდენიმე წელიწადია სცდილობს პარტიის რიგების გახრწნას, რისთვისაც 1924 წელს მას საყვედური გამოუცხადა საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ. არა ერთხელ ხელმძღვანელობდა და მართავდა არალეგალურ ფრაქციულ კრებებს. მოატყუა პარტია წერილობითი დაპირებით, რომელიც მან შეიტანა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში 1926 წლის ნოემბერში, იმის შესახებ, რომ თავს დაანებებს ფრაქციულ მუშაობას. მატერიალურ დახმარების და იმ ზომების სამაგიეროთ, რომელიც პარტიამ მიიღო მისი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლათ, უარს ამბობდა პარტიის საპასუხისმგებლო დავალებათა შესრულებაზე იმ დროს, როცა აქტიურად ასრულებდა სხვადასხვა ფუნქციებს ტროცკისტულ ფრაქციის სასარგებლოთ. 15-ის განცხადებაში, რომელიც შეტანილ იქნა საქართველოს კომპარტიის ცეკაში, ის თავის თავზე კისრულობს სრულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას პარტიიდან გამორიცხულ ოპოზიციონერთა მოღვაწეობისათვის. თავის პირად განცხადებაში საქართველოს კომპარტიის ცეკას სახელზე ქართველ მენშევიკების აგვისტოს ავანტიურას აწერს კომუნისტურ პარტიას, როგორც მისი პოლიტიკის შედეგს, რითაც აჟღავნებს თავის სრულ სოლიდარობას ქართველ მენშევიკებთან ამ საკითხში და, ამრიგათ, ეწევა ისეთ იდეების პროპაგანდას, რომლებიც შეუთავსებელია პარტიის რიგებში დარჩენასთან.

2. **თუმანოვი სანდრო**, მოსამსახურე — ინტელიგენტი, ყოფილი მენშევიკი, ამჟამად აქტიური ფრაქციონერი—ტროცკისტი. უკანასკნელ დროს განსაკუთრებულის აქტივობით აწარმოებს ფრაქციულ მუშაობას, მონაწილეობას ღებულობს ფრაქციულ არალეგალურ კრებებზე, ანტიპარტიულ დოკუმენტების შედგენაში, ტროცკისტულ ოპოზიციის შეხედულებათა არალეგალურ საშუალებებით გავრცელებაში. ბოლშევიკური პარტიის წევრის ნიღაბ ქვეშ ცდილობს შეიტანოს ლენინურ პარტიის რიგებში მენშევიკური შეხედულებები. 15-ის ანტი-პარტიულ განცხადებაში საქართველოს ცეკას სახელზე კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას პარტიიდან გამორიცხულ ოპოზიციონერთა „მოღვაწეობისათვის".

3. **ვირაპი** — მოსამსახურე — ინტელიგენტი, რომელიც თავის სტაჟს უჩვენებს 1915 წლიდან, ნამდვილათ კი, საკონტროლო კომისიის ცნობით, 1917 წლამდე აქტიურათ იზიარებდა „დაშნაკცუტუნის" პარტიის შეხედულებებს და მხოლოდ 1917 წელს შევიდა კომპარტიის რიგებში. პასუხისგებაში იყო მიცემული ავტომობილის კატასტროფისათვის, რომელიც მოხდა მისი ბიუროკრატიულ მოქმედების წყალობით, რისთვისაც მიიღო სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. მონაწილეობას იღებდა საქართველოს უკლონისტურ - ტროცკისტულ ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობაში და არაერთხელ მონაწილეობდა არალეგალურ კრებებზე, მისი უკანასკნელი დროის მუშაობა ტროცკისტულ პარტიის ჩამოსაყალიბებლად გამოიხატა იმაში, რომ თვითონ უშუალოდ ხელმძღვანელობდა არალეგალურ ფრაქციულ კრებას, რომელზედაც მან წამოაყენა საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის არალეგალური კომიტეტის სია 6 კაცის შემადგენლობით.

ფრაქციული ბრძოლით გატაცებული, შეეცადა გაეყვანა კრებიდან პარტიული წითელარმიელი უხეშ ფიზიკური ძალადობის საშუალებით:

4. **ნაზარიანი პატვაკან** — მოსამსახურე, აწარმოებს აქტიურ ფრაქციულ მუშაობას, მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ფრაქციულ კრებებზე, მონაწილეობას იღებდა არალეგალურ კრებაზე, რომელზედაც ოპოზიციონერ ვირაპის ხელმძღვანელობით ირჩეოდა ტროცკისტულ პარტიის მესამე არალეგალურ რაიკომის შემადგენლობის სია. დასთანხმდა მიეღო თავის თავზე არალეგალურ კომიტეტის წევრის ფუნქციები, რაც სჩანს იქიდან, რომ პარტორგანოებისათვის მიმართვის გზით არ გაიმიჯნა ფრაქციონერებისაგან და არ განაცხადა უარი ოპოზიციის მიერ შედგენილ არალეგალურ რაიონულ კომიტეტში მუშაობაზე.

5. **ლორთქიფანიძე დავით**—მოსამსახურე, სხვა ფრაქციონერებთან ერთად აწარმოებს მუშაობას, რომელიც მიმართულია პარტიის მთლიანობის დარღვევისაკენ, რის გამოც მიღებული აქვს საყვედური საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიისაგან. მისი უკანასკნელი ფრაქციული ნაბიჯები გამოიხატა იმაში, რომ 1927 წლის 29 სექტემბერს მონაწილეობა მიიღო არალეგალურ ფრაქციულ კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო კონსპირაციის ყველა წესების თანახმად და რომლის ორგანიზატორები მასთან ერთად იყვენ ლადო დუმბაძე და ბენო კალანდაძე. ამ კრებაზე არჩეულ იქნა ტროცკისტული პარტიის გურიის კომიტეტი, გაცემულ იქნა დირექტივები მუშაობის ფორმების შესახებ და აგრეთვე დარიგდა 13-ის პლატფორმა.

6. **ჯღამაძე რაჟდენ** — შინამრეწველი,

7. **ლაფანაშვილი გიორგი**—გლეხებიდან,

8. **მიროტაძე ლეონტი** — შინამრეწველი და

9. **კალაძე რაჟდენ** — მოსამსახურე — ინტელიგენტი, აწარმოებენ განუწყვეტელ ფრაქციულ მუშაობას რამოდენიმე წლის განმავლობაში, სცდილობენ პარტიის მთლიანობის დარღვევას და პარტიის რიგებში დეზორგანიზაციის შეტანას; სცდილობენ სახელი გაუტეხონ პარტიის ხელმძღვანელებს და ავრცელებენ მათ შესახებ ყალბ პროვოკაციულ ხმებს, სცდილობენ თავი მოუყარონ ოპოზიციის მომხრეებს, ავრცელებენ ნაციონალ - უკლონიზმისა და ტროცკისტულ ოპოზიციის შეხედულებებს. მონაწილეობას ღებულობენ ფრაქციულ არალეგალურ კრებებზე და ამით საბოლოოდ ჩამოშორდნენ ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციულ და იდეურ საფუძვლებს. 15-ის ანტიპარტიულ განცხადებაში რომელიც მათ შეიტანეს საქართ. კომპარტიის ცეკაში, ისინი აგრეთვე ღებულობენ სრულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას გამორიცხულ ოპოზიციონერების მუშაობისათვის. შუამდგომლობა ლაფანაშვილის გამორიცხვის შესახებ პარტიიდან აღძრულია დუშეთის პარტიულ ორგანიზაციის მიერ.

ზემოთ ჩამოთვლილი ფრაქციონერები მიწვეულ იქნენ საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-5 ყრილობის პრეზიდიუმის სხდომაზე იმ მიზნით, რათა საბოლოოდ გამორკვეულიყო მათი დამოკიდებულება ოპოზიციის ფრაქციულ, დეზორგანიზატორულ მუშაობისადმი; გამოწვეულთაგან სრულებით არ გამოცხადდენ ცინცაძე კოტე, ლორთქიფანიძე დავით და მიროტაძე ლ., რომლებმაც ზედმეტად ჩასთვალეს რაიმე განმარტების მიცემა საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-5 ყრილობის პრეზიდიუმისათვის. გამოცხადებულმა ფრაქციონერებმა ვირაპმა, თუმანოვმა, კალაძემ, ჯღამაძემ და ლაფანაშვილმა კი განაცხადეს, რომ თავის შეხედულებებს არ უარჰყოფენ და მათ განკარგულებაში მყოფი საშუალებებით დაიცავენ მათ. ამრიგად მათ არ უარჰყვეს ფრაქციულ მუშაობის წარმოება.

უდგენს რა განსახილველად საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-5 ყრილობას ჩამოთვლილ უკლონისტ - ტროცკისტების ფრაქციულ მუშაობის აღნიშნულ დახასიათებას, პარტიის მთლიანობის დაცვისა და ოპოზიციის გამთიშველ ნაბიჯების საბოლოოდ აღკვეთის მიზნით და აგრეთვე პარტიის მე-10 ყრილობის დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას შემოაქვს წინადადება ზემოთ ჩამოთვლილ პირების კომპარტიის რიგებიდან გამორიცხვის შესახებ, რისთვისაც სანქციას სთხოვს სრულიად საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციების მე-5 ყრილობას.

რაც შეეხება პარტიის წევრ და ადგილობრივ ოპოზიციის ხელმძღვანელ მიხეილ ოკუჯავას, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მიაჩნია, რომ ის ღირსია პარტიიდან გამორიცხვის, და ამიტომ შეაქვს წინადადება მე-5 ყრილობაზე, რათა ყრილობამ სთხოვოს ამიერ - კავკასიის საკონტროლო კომისიას, რომ საკითხი მისი გამორიცხვის შესახებ კომპარტიის რიგებიდან დაუყოვნებლივ იქნას დასმული.

ლენინიზმის სადარაჯოზე—ტროცკიზმის წინააღმდეგ

დღემდე საქ. კომპ. ცეკას თეზისები გაირჩა თბილ. ორგანიზაციის 78 უჯრედში.—კრებებს დაესწრო 4.188 კაცი. კამათში გამოვიდა 357 კაცი, მათ შორის 42 ოპოზიციონერი.—თეზისების სასარგებლოთ ხმა მისცა 4.126 კაცმა, თავი შეიკავა 20,—თეზისების წინააღმდეგ ხმა მისცა 39 კაცმა,—ხმა არ მიუცია 62 კაცს

მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული ყრილობები და კონფერენციები, აგრეთვე პარტიული ორგანიზაციები, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში იწონებენ საკავშ. კომპ. ცეკას. გადაწყვეტილებას ზინოვიევისა და ტროცკის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. რეზოლიუციებში ნათქვამია, რომ ოპოზიციის წინააღმდეგ აღებული მტკიცე კურსი, პარტიამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

ლტოლვა პარტიისაკენ

არტემოვსკი, 17 ნოემბერი. პარტიაში შემოსვლელ მსურველთა რაოდენობამ მიაღწია 2.200-მდე. განცხადებათა უმრავლესობა მიღებულია სამრეწველო რაიონის უჯრედიდან. პარტიაში შესვლის სურვილს გამოსთქვამენ უმთავრესად ძველი კვალიფიციური მუშები (ადს).

ლენინურ გადაწყვეტილების დასაცავად

ლენინგრადი, 17 ნოემბ. ლენინგრადის კომუნარები ერთსულოვნად იწონებენ ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას ტროცკის და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. დიდი ქარხნების—„კრასნი პუტილოვეც“-ის, „კრასნი ტრეუგოლნიკ“-ის, ბალტიის ქარხნის და სხვ. კოლექტივები ამ გადაწყვეტილებას სწორად და ლენინურად სთვლიან.

მოსკოვი, 17 ნოემბ. მოსკოვის სამხედრო ოლქის პარტკონფერენციაზე კამათიდან გამორკვა, რომ სამხედრო პარტორგანიზაციის არც ერთი უჯრედი არ იზიარებს ოპოზიციის შეხედულებებს. კონფერენცია სავსებით სწორად სთვლის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას ტროცკის და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ და საჭიროდ მიაჩნია ასეთივე ზომის მიღება ოპოზიციის დანარჩენ ხელმძღვანელთა მიმართ.

იაროსლავი, 17 ნოემბ. ზინოვიევის სახელობის ავტოქარხნის მუშათა საერთო კრებამ დაადგინა უწოდოს ქარხანას ძერჟინსკის სახელობის ავტოქარხანა.

მინსკი, 17 ნოემბ. ვიტებსკის, მოზირის და მინსკის საოლქო პარტკონფერენციები ერთხმად მიღებულ რეზოლიუციებში სავსებით იწონებენ ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას ტროცკის და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის და ოპოზიციის სხვა ბელადების ცეკას შემადგენლობიდან გამორიცხვის შესახებ (ადს).

ლენინგრადის საოლქო პარტკონფერენცია

ლენინგრადი, 17 ნოემბ. 16 ნოემბერს გაიხსნა ლენინგრადის პირველი საოლქო პარტკონფერენცია.

ამხ. კიროვის განცხადებას ოპოზიციონერების პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, კონფერენცია ტაშით შეხვდა. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულია პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა და აგრეთვე ამხ. კუიბიშევი, უგლანოვი, კრუპსკაია, იაროსლავსკი, მიქოიანი, კაგანოვიჩი და სხვ.

კონფერენცია მქუხარე ტაშით შეხვდა ამხ. ტომსკის, რომელმაც გააკეთა მოხსენება ცეკას მუშაობის შესახებ. კამათის შემდეგ ამხ. ტომსკიმ საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ არსებულ მდგომარეობაში არის მხოლოდ ორი გამოსავალი: ან პარტიისათვის სრული დამორჩილება საქმით, ნამდვილად, ან საბოლოო გათიშვა მასთან (ადს).

ამხ. ტომსკის მოხსენება

ლენინგრადი, 17 ნოემბერი. ლენინგრადის საოლქო კონფერენციაზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტომსკი, რომელმაც თავისი სიტყვა დაიწყო საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებით.

კაპიტალიზმის ზრდის და განმტკიცების მიუხედავათ, ევროპაში პარალელურად იზრდებიან რევოლიუციონური ძალები. სანიმუშოდ ამხ. ტომსკის მოჰყავს ინგლისი—სახელმწიფო ყველაზე უფრო გარკვეული იმპერიალისტური ტენდენციებით. ინგლისის პოლიტიკაში არის ორი მთავარი ფაქტორი—ჩინეთი და ნახშირი. ნახშირის პრობლემის სიმწვავე სჩანს მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვიდან. ამ კონფლიქტში რუსეთის მუშებმა აიღეს კურსი ინგლისის მემაღაროეთა დასახმარებლად. ინგლისის ბურჟუაზიამ შესძლო გაფიცვის ჩაქრობა, მაგრამ ეხლა უკვე მწიფდება ახალი უთანხმოება, ახალი შეტაკების შესაძლებლობა. ჩინეთში ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ძლიერი იერიშები მიაქვს იმპერიალიზმზე. ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს კაპიტალიზმის სტაბილიზაციის მერყეობას.

შემდეგ ამხანაგი ტომსკი ახასიათებს კლასთა ბრძოლის საერთო მდგომარეობას ევროპაში.

— ერთი მხრით ჩვენ ვხედავთ,—ამბობს ამხ. ტომსკი,—„ფოლადის მუზარადი“-ს დემონსტრაციებს, ხოლო მეორე მხრით მემაღაროეთა გაფიცვას. ფაშისტური გადატრიალებანი მთელ რიგ სახელმწიფოებში და ამათ გვერდით—ვენის აჯანყებას, საკოსა და ვანცეტის მკვლელობის საწინააღმდეგო გრანდიოზულ დემონსტრაციებს და გერმანიის კომპარტიის გამარჯვებას უკანასკნელ არჩევნებში.

ძლიერდებიან მებრძოლი კაპიტალიზმის ძალები, იზრდება საერთაშორისო პროლეტარული ფრონტი, იზრდებიან რევოლიუციონური ძალებიც.

რა პოზიცია უჭირავს ცეკას საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში?

ჩვენი პოლიტიკაა—საკითხების გადაწყვეტა მუშათა კლასის თვალსაზრისით და არა სხვაგვარად. ჩვენი პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა,—მშვიდობიანობის პოლიტიკაა.

როგორ ვუპასუხეთ ჩვენ ომის თავზე მოხვევის ცდას? პირველ ყოვლისა ცეკამ საჭიროდ დაინახა გაეფრთხილებია ქვეყანა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ამასთან ერთად მიღებულ იყო ყოველგვარი ზომები მოსალოდნელი ომის თავიდან ასაცილებლად და ჩვენი თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად.

გადადის რა შინაპარტიულ საკითხებზე, ამხ. ტომსკი არჩევს ოპოზიციის შეხედულებებს კულაკის, ფასების, დემოკრატიზმთან ბრძოლის, მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის და სხვ. საკითხებში.

ამხ. ტომსკის სიტყვის უკანასკნელი ნაწილი შეეხებოდა შინაპარტიულ მდგომარეობას:

„ოპოზიციონერები ჩვეულებრივ სიტყვა-სიტყვით ასე ლაპარაკობენ: „ილიჩის დროს ასე არ იყო“-ო.

ამხ. ტომსკი ადასტურებს, რომ ლენინის დროს მართლაც ასე არ ყოფილა. ლენინის დროს არ შეიძლებოდა გამოსვლა ქუჩაზე და მსვლელობის დასადებათ უპარტიოებისათვის მიმართვა. პარტიის ყოველ წევრს ჰქონდა უფლება ეკამათა ცეკასთან, მაგრამ ვერც ერთი წევრი ვერ გაბედავდა არა პარტიულ კრებებზე გამოსვლას ცეკას წინააღმდეგ. მუშაობის ასეთ პირობებში, რომელიც შექმნა ოპოზიციამ ცეკასათვის, ჩვენ არ დაუშვით მთელი რიგი შეცდომები მხოლოდ იმ გარემოების წყალობით, რომ მთელი პარტია მჭიდროთ იყო დარაზმული ცეკას გარშემო ამ პატარა ჯგუფის წინააღმდეგ.

ეხება რა რეპრესიებს ყრილობის წინ, ტომსკი აბათილებს ოპოზიციონერების საყვედურებს, და ამტკიცებს, რომ პარტიას ერთი წუთითაც არ შეუძლია არსებობა უდისციპლინოთ.

რაკი ირღვევა დისციპლინა ყოველ წუთში მზად ბრძანდებოდეთ პასუხი აგოთ ამისათვის. ერთად-ერთი საყვედური, რომელიც შეიძლება ცეკას ეთქვას,—ეს არის საყვედური მისი ხანგრძლივი მოთმინებისათვის,—აცხადებს ამხ. ტომსკი კონფერენციის მქუხარე აპლოდისმენტის ქვეშ.

ცეკას უკანასკნელი დადგენილება არის შინაპარტიული საკითხის ამოწურვა-ლიკვიდაცია. რა იქნება შემდეგ, თუ ახალი მენშევიკები გააგრძელებენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ—კითხულობს ამხ. ტომსკი და უპასუხებს:

— თავაზიანად მოვითხოვთ „დაბრძანდეთ“, რადგან პროლეტარიატის დიქტატურის დროს შეიძლება არსებობდეს ორი, სამი და კიდევ მრავალი პარტიებიც, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობით: ერთი მათგანი უნდა იქნეს ხელისუფლების სათავეში, ხოლო დანარჩენები,—მის წინააღმდეგ მებრძოლნი,—ციხეში—(მქუხარე ტაში).

მოხსენების დასასრულ ამხ. ტომსკი ამბობს: „თუ კი ცეკა მიდის ყრილობაზე პარტიის წევრთა 99 პროცენტთან ერთად უვარგის წევრთა ერთი პროცენტი—დასაშვები პროცენტია, რადგან ეს პროცენტი ყოველ შემთხვევაში ნორმაზე ნაკლებია.

მოწინავე მუშათა ახალი კადრები, რომელნიც პარტიაში მიისწრაფვიან, გვიჩვენებენ, რომ ჩვენი პარტია წინანდებურად მუშათა კლასის მედროშედ რჩება“. (ადს).

ხონის პარტკონფერენცია

ხონი, 17 ნოემბერი. (საკუთ. კორესპ.) 16 ნოემბერს შესდგა ხონის რაიონის კომუჯრედთა გაერთიანებული კრება. ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ—საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნადარეიშვილი. კრებამ აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას გამთიშველთა გამორიცხვის შესახებ პარტიის რიგებიდან. მიღებულ რეზოლიუციაში კრება იწონებს ცეკას ხაზს და სავსებით უერთდება საკ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

ხონის რაიონის კომუჯრედთა კრება მიზანშეწონილად სთვლის აგრეთვე საქ. ც. ს. კომ. პრეზიდიუმის დადგენილებას ლადო დუმბაძის, ბენო კალანდაძის და სხვათა პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ხონის რაიონის კომუჯრედთა გაერთიანებული კრება მიღებულ რეზოლიუციაში კატეგორიულად მოითხოვს მიმდინარე მეხუთე ყრილობისაგან მ. ოკუჯავას, დ. ლორთქიფანიძის და სხვა გამთიშველების დაუყოვნებლივ გამორიცხვას პარტიის რიგებიდან; „პარტიის გარეთ ყველა ისინი, ვინც ვერ ურიგდება პარტიის წესდებას და ბოლშევიკურ ლენინურ ტრადიციებს“—ნათქვამია ხონის რაიონის კომუჯრედთა კრების მიერ მიღებულ რეზოლიუციაში.

ფალავა.

მხარს უჭერენ ცეკას თეზისებს

თბილისში

კამპანიის დაწყებიდან საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისები სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ გაირჩა თბილისის ორგანიზაციის 78 კომუჯრედში. კრებებს დაესწრო 4.188 კაცი (ზოგიერთ უჯრედებში გაირჩა აგრეთვე თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ). კამათში გამოვიდა 357 კაცი, მათ შორის 442 ოპოზიციონერი. საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისებს ხმა მისცა 4.126 კაცმა. თავი შეიკავა 20, სრულიად არ მიუცია ხმა 3 და თეზისების წინააღმდეგ ხმა მისცა 39 კაცმა.

ბაქოში

საკ. კომ. ცეკას თეზისები 15 ნოემბერს გაირჩა ბაქოს პარტიულ ორგანიზაციის 40 კომუჯრედში. კრებებზე მონაწილეობას იღებდა 3.152 კაცი. კამათში ჩაეწერა 402 კაცი. სიტყვა სთქვა 294 კაცმა, მათში ოპოზიციის სასარგებლოდ—8. სულ კამპანიის დაწყებიდან საკავშირო კომპარტიის თეზისების სასარგებლოდ ბაქოს პარტიულ ორგანიზაციაში ხმა მისცა 6.345 კაცმა. თავი შეიკავა 46, წინააღმდეგ ხმა მისცა 27.

ერევანში

9 ჯგუფურ პარტიულ კრებებს, რომლებიც აერთიანებენ ერევნის პარტიულ ორგანიზაციის 44 კომუჯრედს, დაესწრო 944 კაცი. საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისებს ხმა მისცა 895 კაცმა, თავი შეიკავა 2 და წინააღმდეგ ხმა მისცა 47 კაცმა.

ოპოზიცია სასტიკად დამარცხდა

სულ ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქების პარტორგანიზაციებში (ბაქო, თბილისი, ერევანი) საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისების გარჩევაში მონაწილეობა მიიღო 11.538 კომუნისტმა. თეზისებს ხმა მისცა 11.364 კაცმა (98,4 პროც.), თავი შეიკავა 68 (0,6 პროც.), სრულიად არ მიუღია მონაწილეობა 3. თეზისების წინააღმდეგ ხმა მისცა 113 კაცმა (1 პროც.)

შორდებიან ოპოზიციას

ამხანაგმა იაკოვლევამ, გაბრიაძემ (მუშა, პარტსტაჟი—1924 წლ.), ნიკოლოზ ესაკიამ და მაქსიმე ბასილაიამ შეიტანეს განცხადებები, პირველმა ორმა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონულ კომიტეტში, იმის შესახებ, რომ ისინი იმიჯნებიან ოპოზიციიდან და ხსნიან თავის ხელმოწერას 83-ის განცხადებაზე.

ამხანაგები აღნიშნავენ თავის განცხადებაში, რომ ისინი დარწმუნდნენ, რომ ოპოზიციის შინაარსი არის ანტიპარტიული და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა ატარებს ნამდვილ ლენინურ ხაზს.

ამას გარდა შემოსულია განცხადებები: გორის კომიტეტში—ნიკოლოზ ქველიძის (პარტსტაჟი—1917 წ.); ფოთის კომ.—ე. ვაჩეიშვილის, თელავის—ა. კარჭულის, ლენხუმის—გ. ჭანტურიასი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონულ კომიტეტში—არტემ მირზოევის (პარტსტაჟი 1919 წ.); იაგორ მახარაძის (პარტსტაჟი 1918 წ.); ვალენტინა ჯიქიასი, ვლადიმერ დუმბაძის (პარტსტაჟი 1917 წ.), ალექსანდრე პოპოვის (პარტსტაჟი 1919 წ.); პავლე ჩილინგარიდის (პარტსტაჟი 1920 წ.); არშალუის არუთინოვის (პარტსტაჟი 1918 წ.), ა. კოზირევის (პარტსტაჟი 1925 წ.); ჭიჭინაძის, ბ. კლიჩკოვის, აკაკი ლომაიასი, მიხეილ რუდიკოვის, ფ. ზიმინის და ნიკოლოზ ქორიძის—იმის შესახებ, რომ, როგორც გამოირკვა, მათი ხელმოწერა 83-ის განცხადებაზე ყალბია, ვინაიდან მათ არა თუ არ მიუციათ თავისი ხელმოწერა, არამედ არასოდესაც არ ყოფილან ოპოზიციონერები.

ამხ. ვლადიმერ დუმბაძე თავის განცხადებაში საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონულ კომიტეტის პრეზიდიუმის სახელზე სწერს: „მე ღრმად აღშფოთებული ვარ იმით, რომ ჩემი გვარი ითვლება იმ პირთა სიაში, რომლებმაც ხელი მოაწერეს 83-ის განცხადებას. ვაცხადებ, რომ მე ვარ პარტიის წევრი 1917 წლიდან, აღზრდილი ვარ ლენინიზმის პრინციპებზე, არასოდეს არ გადამიხვევია ლენინის ხაზიდან, არავითარი მერყეობა არ გამომიჩენია და არ ვიზიარებ როგორც უკლონისტების შეხედულებებს, ისე ეხლანდელ ოპოზიციონერების შეხედულებებსაც“.

„ის გარემოება, რომ ჩემი ხელმოწერა არის 83-ის განცხადებაზე—სწერს ამხ. დუმბაძე—შეიძლება აიხსნას მხოლოდ ადგილობრივ ოპოზიციის იმ უტიფრობით, რომელიც ახასიათებს ყველა მის გამოსვლებს. რა თქმა უნდა, ოპოზიციის ჩემისთანა მსხვერპლი ცოტა არ იქნება და გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებსაც ბრალად ედება ყალბ ხელმოწერების შედგენა“. (ადს).

კომკავშირის აქტივის კრება

გუშინ, წითელარმიელთა და მეზღვაურთა კლუბის შენობაში ამხ. სილაძის თავმჯდომარეობით შესდგა ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რ. კ. წევრების და თბილისის ორგანიზაციის აქტივის თანდასწრებით. კრებაზე გამოცხადდა 600-ზე მეტი კაცი. დღის წესრიგში იდგა მოხსენება საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას და ც. საკ. კომ. გაერთიანებულ პლენუმის შედეგებზე. რაზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. რუბენი. მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ლოჩუაშვილმა, ბარათელიამ (ყოფილი ოპოზიციონერი) ანანოვმა, ჭიჭინაძემ, გიორგობიანმა და სხვებმა.

ბარათელიამ, საწყენად მიიღო, რომ მომხსენებელმა სთქვა: „ოპოზიცია დაექანა მენშევიზმისაკენო“. იგი ალბად კარგად ვერ მომზადებულა და ამიტომ, როდესაც ამოიღო ერთ-ერთ ლენინის ციტატა, სულ არ დაამთავრა, თორემ, ხუიტყვით, ეს ციტატა მათივე საწინააღმდეგო ყოფილა.. ახ რას იტყოდა ახალ ბარათელია? გაიმეორა თუთიყუშივით „ბრძენი“ თედორე კალანდაძის სიტყვები—„უმრავლესობა ქმნის ფრაქციასო“.

დანარჩენი მუშა ახალგაზრდები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პარტიამ მიიღო ის ზომები, რომელიც აქამდე უნდა მიეღო დეზორგანიზატორ ფრაქციონერების წინააღმდეგ.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც ის გმობს ოპოზიციას.

ფოთის ჭაობების ამოშრობა

ფოთის ჭაობებათ ცნობილია შავი ზღვის სანაპირო რაიონი 100.000 დესეტინის სივრცით. ეს რაიონი მდებარეობს მდინარე სუფსასა და ინგურს შორის და გრძელდება სამტრედია-სენაკამდე. ამ რაიონში გადის მდინარე რიონი, ხობი და აგრეთვე მთელი რიგი პატარა მდინარეები.

ტოპოგრაფიის მხრივ ფოთის ჭაობები შეიძლება გაიყოს ორ კატეგორიათ: 1) დაბლობი ნაწილი, რომლის დონე ცოტათი განსხვავდება შავი ზღვის საშუალო დონისაგან; ეს რაიონი წარმოადგენს ტიპიურ ჭაობებს და 2) მაღლობი ადგილებია.

ამ ორი რაიონის ძირითად დამახასიათებელ თვისებებთან შეფარდებით განზრახულია გამოყენებული იქნეს ჭაობების ამოშრობის ორი სხვადასხვა საშუალება.

აღმოსავლეთ ნაწილისათვის ყველაზე უფრო მისაღები იქნება არხების მოწყობა, მდინარეების კალაპოტის გაწმენდა და სხვა.

ფოთის ჭაობების დასავლეთ ნაწილის ამოშრობა შეიძლება კოლმატაჟით (ამოვსება). მარტო მდინარე რიონს ყოველწლიურად მოაქვს ერთი მილიონი კუბიკური საჟენი ნალექი.

ქიმიური ანალიზი ამტკიცებს, რომ თავისი შემადგენლობით ეს ნალექი მეტად ნაყოფიერია და ფოსფორის და ზოტის მარილის შემადგენლობის მხრივ არ ჩამოუვარდება ნილოსის ნალექს. უკანასკნელი ანალიზის მიხედვით მდინარე რიონის ნალექი შეიცავს 0,29 პროც. აზოტს და 0,64 პროც. ფოსფორს. ასეთი ნალექისაგან შემდგარი ნიადაგი კარგ მოსავალს მოგვცემს განუნოყიერებლად 70—80 წლის განმავლობაში.

ფოთის ჭაობების ამოშრობის შემდეგ გლეხთა მიწების ფონდი გაიზრდება 60.000 დესეტინა მაღალ ნაყოფიერი მიწით; ეს მიწები გამოსადეგი იქნება არა მარტო ხორბლეული კულტურისათვის, არამედ ისეთი ინტენსიური კულტურებისათვისაც კი, როგორიც არის მანდარინა, ლიმონი, ფორთოხალი და სხვა სუბტროპიკული მცენარეები.

ამას გარდა ფოთის ჭაობების ამოშრობა დადებით გავლენას მოახდენს დასავლეთ საქართველოს ჰავაზე. უხსოვარ დროიდან ეს რაიონი განთქმული იყო მალარიით. თითქმის ნახევარი მილიონი მოსახლეობა დაზარალდა მალარიისაგან. ეს უკანასკნელი კი იწვევს ჯანმრთელობის საერთო დაცემას და ტუბერკულიოზის გავრცელებას.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ფოთის ჭაობების ამოსაშრობათ, განსაკუთრებით მდინარე ხობსა და რიონს შუა, სადაც ამოშრობილი იქნება 6.000 დესეტინა ჭაობი.

შეკეთებულ იქნა რიონის და ხობის კალაპოტი ექვსი ვერსის მანძილზე.

ამას გარდა 35 ვერსის მანძილზე გაყვანილი იქნება მაგისტრალური არხები და 50 ვერსზე დამხმარე არხები.

განზრახულია აგრეთვე მთლიანად გაიჩეხოს ის ტყე, რომელიც ამ რაიონში მდებარეობს.

რკ. გზ. მმართველ აპარატის რეორგანიზაციის გარშემო

როგორც აღნიშნული გვქონდა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ შედგენილია საბჭოთა კავშირის რკინის გზებზე მუშაობის რაციონალიზაციის პროექტი.

ამ პროექტის მიხედვით, საექსპლოატაციო განყოფილებაში უნდა მოისპოს იმ მატარებლების დაგვიანებათა აღრიცხვა, რომლებიც საბოლოო სადგურებზე მიდიან 10 წუთის დაგვიანებით. სადისპეჩერო აპარატი უნდა განთავისუფლდეს წვრილმან ცნობების შეკრებისაგან, რომლებიც არ არის დაკავშირებული გზის საოპერაციო მუშაობასთან; ამასთანავე იგი უნდა განთავისუფლდეს მრავალ მოხსენებებისაგან, რომლებიც შეეხება გზების მუშაობას დამ-დამობით.

განყოფილების სტატისტიკურ ნაწილში უნდა დარჩეს მხოლოდ მატარებლების მგზავრებით ვსების, მატარებლების დაგვიანების, სამანევრო მუშაობის, კონდუქტორთა გუნდების მუშაობის და სხვათა აღრიცხვა. მატარებლების დაგვიანების მთავარ მიზეზების გამორკვევა დაეკისრებათ უბნების უფროსებს.

წევის განყოფილების ხაზით,—მთავარი სახელოსნოები გამოიყოფა ცალკე დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულებად და წევის განყოფილებას ისინი დაექვემდებარებიან მხოლოდ ტექნიკურის მხრივ.

ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაზე თვალყურის დევნება ეკისრება სახელოსნოების მომწყობ სპეციალურ ნაწილს, ხოლო ამ ღონისძიებების ცხოვრებაში უშუალოდ გატარება ხაზებზე მომუშავე ადმინისტრაციას. მათსავე განკარგულებაში გადადის სახანძრო საშუალებათა შეკეთების საქმე. სრულიად ისპობა ფასით გაცემული წყალის აღრიცხვა და ჯილდოების გაცემა წყალის ფასის შეკრებაზე.

სალიანდაგო განყოფილებაში სამკურნალო, კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების შენობების ასაგებად და შესაკეთებლად საჭირო კრედიტები გადადის ამავე დაწესებულებების განკარგულებაში, ხოლო იმ პირობით, რომ ყველა ეს სამუშაოები მათ უნდა გადასცენ შესასრულებლად სალიანდაგო განყოფილებას, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

მატერიალურ განყოფილებას გადაეცემა, როგორც სამმართველოს, ისე ხაზის აპარატების მომარაგება საჭირო საკანცელარიო ნივთებით.

ამასთანავე, მუშაობის გასაუმჯობესებლად შედგენილი იქნება გზების საგასავლო ხარჯთაღრიცხვის ისეთი ახალი ნომენკლატურა, რომელიც უფრო ნათლად გამოხატავს რკ. გზ. მეურნეობის მოთხოვნილებებს.

უფრო ფართოდ იქნება გამოყენებული სახელმწიფო ბანკის და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის აპარატები.

ხაზებზე ფულების შეკრება და მათი დაგზავნა დანიშნულებისამებრ იწარმოებს ფოსტა-ტელეგრაფის აპარატის საშუალებით.

ხაზებზე მომუშავე განყოფილებებს უფროსებს უფლება ეძლევათ დამოუკიდებლად აწარმოონ ხარჯები ხარჯთაღრიცხვის და სალაროს გეგმების ფარგლებში.

უპატრონო ბავშვთა სამდღიურისათვის

ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთ და მუშურ-გლეხური საბჭოთა ქვეყნის ყველა მოქალაქეთ

წყეული პირველი იმპერიალისტური ომისა და ჩვენი დიდი სამოქალაქო ომის შემდეგ, რომლებსაც შედეგათ მოჰყვა ჩვენი დიდი საბჭოთა სახელმწიფოს, დაარსება, მისი განვითარება და განმტკიცება, ლენინური საკავშირო კომ. პარტ. (ბ) ხელმძღვანელობით — ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში გაჩნდა ქუჩის ბავშვის, „უპატრონო ბავშვის“ ტიპი, რომელიც ყველას უნახავს და ყველასათვის მეტად ცნობილია.

უპატრონო ბავშვებს, რომლებსაც არ ახსოვთ თავისი ვინაობა, არ ყავთ მშობლები და ნათესავები — ჩვენ ვხედავთ ყველგან, ყველა სადგურებზე, ხიდ ქვეშ, ყველა ბაზარზე და სოფლის და ქალაქის ყველა ბნელ შესახვევებში.—ძონძებში, ტიტვლები, ფეხშიშველა, პირდაუბანელნი, თმა აწეწილნი, მკბენარებით სავსე—ასეთი არიან ეს ბავშვები...

მაგრამ უპატრონო ბავშვები იბრძვიან სიცოცხლის შენარჩუნებისათვის... და მიუხედავათ იმისა, რომ ამ ბავშვებზე კარგ გავლენას ახდენს ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა, თავისი ახალი დღესასწაულებით, დემონსტრაციებით, კლუბებით, რევოლიუციონური სიმღერებით და სხვა, მიუხედავათ ჩვენი მეგობრული დამოკიდებულებისა მათდამი, **რასაც ისინი ხედავენ და გრძნობენ** — ეს ბავშვები მაინც ხდებიან მცირეწლოვან „ბოროტმოქმედებათ“ ქურდებათ და სხვა.

რასაკვირველია... ყველა არა... მაგრამ შესაძლებელია ეს ბავშვები ფიზიკურადაც განადგურდნენ სიმშილთან, სიცივესთან და უბინაობასთან ბრძოლაში.

ისინი ვინც გადარჩება, ე. ი. ისინი ვინც უფრო გამძლეა, შეიძლება გადაიქცნენ ბოლოს არა - სასურველ, ანტი-საზოგადოებრივ და ანტი - საბჭოთა ელემენტებათ... ასეთ მოქალაქეებს კი საბჭოთა ქვეყანა არ უნდა ზრდიდეს. საჭიროა დაუყოვნებლივ თავი მოუყაროთ ამ ბავშვებს ყველა სოფლიდან და ქალაქებიდან, ყველა ბნელ ქუჩებიდან და მოვათავსოთ ისინი საერთო საცხოვრებლებში, კოლონიებში; საჭიროა აღვზარდოთ ისინი, როგორც საბჭოთა მოქალაქენი და შევაყვაროთ მათ შრომა, კოლექტიური შრომა... საჭიროა ეს ბავშვები დავაბანოთ, შევმოსოთ და აღვზარდოთ ისე, როგორც ყველა სხვა ბავშვები, როგორც ის ბავშვები, რომლებსაც მშობლები ყავთ.

რასაკვირველია ეს ბავშვები უპირველესად ყოვლისა უნდა იქნენ განკურნებული იმ დეფექტებისა და „ფიზიკურ და სულიერ“ სენისაგან, რომელიც მათ მოიპოვება, ან შთამომავლობით, ან თავის ტრაღიკულ ხეტიალის გამო. ბევრმა ამ ბავშვებში მოიპოვა ინიციატივის და გამომგონებლობის მნიშვნელოვანი თვისებები, სიმარდე, ბრგე აგებულობა და ხასიათის და ნებისყოფის სიმტკიცე;. ეს ბავშვები ამ მხრივ ბევრათ უფრო საინტერესო მასალას წარმოადგენენ პედაგოგებისა, ექიმების და მეცნიერებისათვის, ვიდრე მრავალი სხვა ბავშვები მეშჩანური წრიდან, განსაკუთრებით ფუფუნებაში აღზრდილი ბავშვები.

მშრომელების საბჭოთა ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ეს ბავშვები.

დღემდე, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში, ჩვენ შეძლების და გვარად ვზრუნავდით ამ ბავშვებზე, — მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გავანთავისუფლეთ ქალაქის ქუჩები ამ ბავშვებისაგან...

მაგრამ ჩვენი დიდი ოქტომბრის დიდი ათი წლის თავის აღსანიშნავად, ჩვენ დღესვე, ოქტომბრის მეორე ათეულის წლის დასაწყისშივე, უნდა შევუდგეთ ამ მნიშვნელოვან საქმეს — უნდა ვიზრუნოთ ამ ბავშვებისათვის, ვინაიდან, ჩვენ — საბჭოთა ხელისუფლება, მუშები და გლეხები ამ უპატრონო ბავშვების, ამ ქუჩის „ინტერნაციონალისტების“ მშობლები და ძმები ვართ. — ჩვენ უნდა მოვაშოროთ ისინი ბნელ, ბინძურ შესახვევებს და მოვათავსოთ ელექტრონით განათებულ ადამიანურ სადგომებში.

ჩვენ ძვირფასო ამხანაგებო და მოქალაქენო, მუშა და გლეხ - ქალებო, — მუშებო და გლეხებო, ჩვენ შევასრულებთ ამით დიად სახელმწიფოებრივ და კომუნისტურ მოვალეობას. ჩვენ გადავარჩენთ კაცობრიობის შეიძლება საუკეთესო ტიპებს, ტიპებს, რომლებიც ყველა თავისი დეფექტებით, რომლებიც მათ მოპოვებული აქვთ ტრაღიკული ცხოვრების დროს, განთავისუფლებული არიან მაძღარი და უაზრო მეშჩანობის „ცოდვებისაგან“...

და ამასთანავე ამით ჩვენ გზას დაუხშობთ მომავალ არასასურველ, ანტისოციალურ და ანტი - საბჭოთა ელემენტების გაჩენას...

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამდღიური — 1927 წ. 18, 19 და 20 ნოემბერი — სათანადო გამოძახილს ჰპოვებს; მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევასრულებთ ჩვენს დიდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, დიდი ლენინის და მისი დიდი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ქვეყნის მოქალაქის მოვალეობას!.

გაუმარჯოს უპატრონო ბავშვთა სამდღიურს!

ძირს უპატრონობა და უთავშესაფრობა საბჭოთა კავშირში!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებრიობას ყველა სოციალურ სენთან ბრძოლაში!

გზა, სინათლე და სითბო ჩვენს ძმას —„უპატრონო“ ბავშვს — ქუჩის თავისებურ „ინტერნაციონალისტს“!

დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა უპატრონო ბავშვებს, ჩვენსკენ, ჩვენ გზისაკენ, ჩვენი პიონერების და კომკავშირის აღზრდის გზისაკენ!

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო, მუშა და გლეხ - ქალებო და ყველა პატიოსანო მოქალაქენო შევუდგეთ საქმეს,—შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და ხელი შევუწყოთ ქუჩის უპატრონო ბავშვებისაგან პატიოსანი მოქალაქეების შექმნის საქმეს და გვახსოვდეს, რომ ეს ჩვენზე არის დამოკიდებული! ,

უსურვებ სრულ გამარჯვებას სამდღიურის ინიციატორებს და ყველას, ვინც თანამშრომლობს მათთან ამ დიად საქმეში—ქუჩის ბავშვების ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო მოქალაქეებათ გარდაქმნის საქმეში!

დავეხმაროთ უპატრონო ბავშვებს!

მიხა ცხაკაია

17 ნოემბერი 1927 წ.
ქ. თბილისი.

დაეხმარეთ უპატრონო ბავშვებს!

იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა ერთობ ბევრი უმწეო და უპატრონო ბავშვები დაგვიტოვა. ჩვენი ხელისუფლება ასეთი ბავშვებისათვის არაფერს არ ზოგავს: აარსებს საბავშვო ბაგებს, თავშესაფარებს, სახლებს და ყოველივე საშუალებით ცდილობს უპატრონო და ობოლი ბავშვები არ დარჩეს მისი მზრუნველობისა და მფარველობის გარეშე. იმის მიუხედავათ, რომ მთავრობა ძალიან ბევრს ხარჯავს ობლათ და უპატრონოთ დარჩენილ ბავშვების მოვლა-პატრონობაზე, ჩვენში მაინც ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი ისეთი უმწეო ბავშვები, რომლებიც მშიერ ტიტველნი დაეხეტებიან ქუჩებში და აცრემლებულნი გამვლელ - გამომვლელთ დახმარებას თხოვენ. იმ მიზნით, რომ ასეთი ბავშვები ქუჩას გამოსტაცოს, თვალებიდან ცრემლები მოსწმინდოს, უპატრონოს და თბილი კერა მიუჩინოს, უმწეო ბავშვთა დამხმარე საზოგადოება, დღეს თბილისში უმწეო ბავშვთა სასარგებლოთ აწყობს სამდღიურს. დანიშნულება ამ სამდღიურისა ფრიად მნიშვნელოვანია. გვჯერა, ყველა მამა, დედა, ძმა, და, ბიძა, რომელთაც-კი განუცდია თავიანთ პაწიათადმი მშობლიური და ნათესავური სიყვარული არც სხვის ობლებს დაივიწყებენ და ამ სამდღიურის ჩატარების დროს მათ უხვად აღმოუჩენენ დახმარებას. გვჯერა, არც ის ბავშვები, რომლებიც დღეს მაძღარი და კმაყოფილი არიან, თავიანთ წვლილს არ დაიშურებენ უპატრონო და უმწეოთ ქუჩაში დარჩენილ პაწია ბავშვების დასახმარებლათ. სამდღიური უკვე დაიწყო. სამი დღის განმავლობაში უპატრონოთ დარჩენილ პაწია ბავშვებს თავისი პაწია ხელები თქვენსკენ ექნება გამოწვდილი. ნუ გააწბილებთ, ყველამ დაეხმარეთ უპატრონოთ და უმწეოთ დარჩენილ ბავშვებს.

ქ. ხომერიკი

სამდღიურის ქრონიკა

სამდღიურის ჩატარება დაიწყო

დღეიდან თბილისის ქუჩებში და წარმოება-დაწესებულებებში იწყება ყულაბებით ფულის შეგროვება უპატრონო ბავშვთა სასარგებლოთ. სამდღიური დასრულდება კვირას.

სამდღიურის გეგმა

გუშინ შესდგა უპატრონო ბავშვთა დაცვის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც განხილული იყო სამდღიურის ჩატარების გეგმა.

პლენუმმა გადასწყვიტა სამდღიური ჩატარდეს 18, 19 და 20 ნოემბერს. სამდღიურის ჩასატარებლათ საჭირო ყოველგვარი წინასწარი სამზადისი უკვე დასრულებულია.

600 ყულაბა

სამდღიურის მომწყობი ცენტრალური კომისიის ცნობით სამდღიურის განმავლობაში ქუჩებში შემოწირულებათა შეგროვება იწარმოებს 600 ყულაბით. გარდა ამისა მთავარ ქუჩებზე და მოედნებზე მოეწყობა სპეციალური მაგიდები, სადაც იწარმოებს ნივთებით შემოწირულებათა მიღება.

სალამო - წარმოდგენები

დღეს, სალამოს თბილისის მუშათა კლუბებში გაიმართება სალამო - წარმოდგენები და კინოსეანსები უპატრონო ბავშვთა სასარგებლოთ.

სამდღიურის შემდეგ დღეებში მოეწყობა აგრეთვე რამოდენიმე დიდი კონცერტი.

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია

წარმატებით ჩატარდა

15 ნოემბერს დამთავრდა ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე.

წინასწარი ცნობებით, რომელიც ა. კ. ფინსახკომს მოეპოვება, ამიერ - კავკასიაში გასაღებულია 3.600.0000 მანეთის ობლიგაცია, რაც საკონტროლო ციფრებს 20 პროცენტით აღემატება.

კოლექტივებს შორის პირველი ადგილი უჭირავს ამიერ - კავკასიის რკინის გზას, სადაც მხოლოდ თბილისის კვანძზე გასაღებულია 225.500 მანეთის ობლიგაცია.

სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ კომიტეტი

ა.-კ. ფინსახკომმა გადასწყვიტა დასტოვოს კოლექტივებში ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი კომიტეტი. კომიტეტს დაევალება კავშირის მოწესრიგება ობლიგაციის მქონებელთა და საკრედიტო დაწესებულებებს შორის. კომიტეტის საშუალებით ობლიგაციის მქონებელნი მიიღებენ პროცენტებს კუპონებით, მოახდენენ დასაწინდრებელ ოპერაციებს და სხვ.

ინდუსტრიალიზაციის ობლიგაციები ბირჟაზე

16 ნოემბრიდან თბილისისა და სხვა ქალაქების ბირჟებზე ნებადართულია ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების კოტიროვკა.

დასაწინდრებელი ოპერაციები სესხის ობლიგაციებით

ა.-კ. ფინსახკომმა ნება დართო საკრედიტო დაწესებულებებს საწინდრად მიიღონ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები. ობლიგაციების დაწინდრების დროს დამწინდრებელთ ეძლევათ ობლიგაციების ღირებულების 60 პროცენტი 12 პროცენტიანი წლიური სარგებლით. ე. ი. დაწინდრების დროს ობლიგაციის მქონებელნი იღებენ უპროცენტო სესხს, რადგან უნდა გადაიხადონ იგივე პროცენტი, რომელსაც ობლიგაციებით ღებულობენ.

თანხები მრეწველობისათვის

მოსკოვიდან ს. მ. უ. ს. სახელზე მოსულია ცნობა, რომ უმაღლესმა საკავშირო ორგანოებმა ა.-კ. რესპუბლიკათა მრეწველობის საჭიროებისათვის (მიმდინარე საანგარიშო წლის 1-ლი მეოთხედისათვის) გადადებული თანხა (3.000.000 მან.) გაადიდეს 600.000 მანეთით. საკავშირო ს. მ. უ. ს. და ა.-კ. ფინსახკომის მიერ აღნიშნული თანხა 3.600.000 მანეთი ა.-კ. რესპუბლიკებს შორის განაწილებულია ასე: აზერბეიჯანს — 1.348.000 მანეთი, სომხეთს — 890.000 მან. და საქართველოს — 1.362.000 მანეთი.

საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის ეს თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: ლითონის მრეწველობას — 50.000 მან., ქვანახშირის დამმუშავებელ მრეწველობას — 75.000 მან. სამთო მრეწველობას—57.000 მან. სატყეო მრეწველობას — 620.000 მანეთი. ქიმიურ მრეწველობას — 10.000 მანეთი. საფეიქრო მრეწველობას — 350.000 მანეთი. საკვებ მასალათა წარმოებებისათვის (საკონსერვო ქარხ. და სხ.) — 45.000 მან. და ტყავის მრეწველობას — 20.000 მან.

აღნიშნული თანხები მრეწველობას ეძლევა სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშში.

თოფარავანის ჰიდრო-ელსადგური

ამჟამად ტოპოგრაფიული და ჰიდრო-გეოლოგიური გამოკვლევები თოფარავანის მიდამოებში ჰიდრო-ელსადგურის ასაგები პროექტის დასამუშავებლად უკვე დამთავრებულია.

როგორც ამ გამოკვლევებით გამოირკვა ტბების სიუხვე (თოთროვანი, თუმანის ღელე, ხოზაპინის ღელე, მადათათის ღელე და სხვ.) და მდ. თოფარავანის წყლის ძალზე დაქანებული მდინარება წყლის დიდი მარაგის მიღების სრულს შესაძლებლობას იძლევა; წყლის მარაგი იქნება იმდენი, რომ ძალზე გვალვიან წლებშიდაც კი აკმარებს სადგურის ასამუშავებლად.თოფარავან წყლის დაქანებული მდინარების გამოყენებით შეიძლება მიღებულ იქნეს 500 მეტრი წყლის ვარდნა, რაც იშვიათია მთელს ამიერ-კავკასიაში. სადგურის აგება განზრახულია მდ. მტკვრის ხეობაში სოფელ ხერთვისის ან სოფელ კუმურდოს ახლოს იმის მიხედვით თუ რომელი ვარიანტი იქნება ამორჩეული. ერთი ვარიანტით კაშხალი აგებული უნდა იქნეს მდ. ახალქალაქის ხეობაში სოფელ დამბალთან. მდ. კორხას წყალი არხით შეუერთდება ახალქალაქის, რომელიც განიერი არხით გაყვანილი იქნება სოფელ ქვარშამდე. აქედან მიღებული წყალი დაექანება სადგურისაკენ, რომელიც უნდა აშენდეს ხერთვისის ახლო.

მეორე ვარიანტით—კაშხალი უნდა აშენდეს ქალაქიდან 8 ვერსისდაშორებით. წყალი გვირაბის საშუალებით გადაგდებული იქნება მდ. კირბულაღჩაიში, რომელზედაც უნდა გაკეთდეს მეორე კაშხალი. ამგვარად ორი მდინარის წყალი ერთს არხში შეერთებული სოფ. ვაჩიანზე დენით მიყვანილი იქნება სოფელ კუმურდამდე. ამ სოფლის ხეობაში აშენდება სადგური, რომელიც წყალს მიიღებს 480 მეტრ სიმაღლიდან. წინასწარი გამოანგარიშებით თოფარავანჰესის ძალოვნება მიაღწევს 100 ათას ცხენის ძალას და იქნება ყველაზე უძლავრესი სადგური მთელს ამიერ-კავკასიაში.

ზოოტექნიკური სადგური

ყოფ. სემინარიის შენობაში სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტთან, მიწადმოქმედების კომისარიატი სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად აწყობს ზოოტექნიკურ სადგურს, სადაც იწარმოებს მეცნიერული ცდები საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად. მიწსახკომმა გადასწყვიტა ამ სადგურისათვის შეიძინოს ხევსურული ჯიშის ძროხები, რომლებიც ამიერ-კავკასიაში ითვლებიან საუკეთესო მეწველ ძროხებათ.საქონლის შესაძენად დაარსებული იქნა კომისია, რომელშიაც შედიან პროფ. ჟანდიერი და მიწსახკომის საცდელ განყოფილების და ზოოტექნიკურ სადგურის გამგეები. კომისიას დავალებული აქვს შეიძინოს არა მარტო ხევსურული ჯიში, არამედ სხვა ჯიშის საქონელი საქართველოსა, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთ. კომისიამ ხევსურეთში უკვე შეიძინა 28 ძროხა, აქედან 18 ძროხა გადაეცემა ზოოტექნიკურ სადგურს, ხოლო 10 ძროხა ტაბახმელის საცდელ სადგურს.

ამჟამად კომისია აწარმოებს მიწერ-მოწერას საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის სათანადო ორგანიზაციებთან საჭირო ჯიშის საქონლის შესაძენად.

ვენახების აღდგენა

მუშაობა ვენახების აღსადგენად კახეთში დიდი წარმატებით მიმდინარეობს. ამ მიმართულებით ყველაზე მეტ მუშაობას აწარმოებს სახალხო მამულების ტრესტი, რომელსაც მოწყობილი აქვს სპეციალური სატბურები იყალთოსა, კონდოლსა, ნაფარეულსა, წინანდალსა, ჩუკუზანსა, ჩუმლაყსა და კარდანახში. ყოველწლიურად ეს სატბურები კახეთის გლეხობას აწვდიან 3,5—4 მილიონ ამერიკულ ლერწზე დამყნილ ვაზს. ვენახების აღდგენის საქმეში ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დიდ როლს თამაშობენ აგრეთვე საგლეხო შრომის არტელები. ასეთ კოლექტივების რიცხვი თვიდან თვეობით იზრდება. ამჟამად თელავის და სიღნაღის მაზრებში აღრიცხულია 20-მდე ასეთი არტელი. გასულ სამეურნეო წლის განმავლობაში არტელებმა დაამზადეს 900.000 ცალი ნამყენი. მომავალი წლისათვის განზრახული აქვთ დაამზადონ 1.500.000 ცალი.

ადგილობრივი მრეწველობა

საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, რამოდენიმე შესწორებით მიიღო, ს. მ. უ. ს. მიერ დამუშავებული ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობის გეგმა 1927-28 წლისათვის. მუშაობის გეგმა ითვალისწინებს პირველ რიგში 1. 167.000 მანეთის, ხოლო მეორე რიგში 784.800 მანეთის დახარჯვას.

პირველ რიგში განზრახულია ამ თანხებით აშენდეს ხე-ტყის სახერხი ქარხნები აფხაზეთსა, აჭარისტანსა, და სამხრეთ-ოსეთში, ღვინის სარდაფი თელავის მაზრაში, საკონსერვო ფაბრიკა გორის მაზრაში და ორი აგურ-კრამიტის ქარხანა (თვითეული ხუთ მილიონ ცალ აგურ-კრამიტის ნაყოფიერებით), შორაპნისა და სენაკის მაზრებში.

საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით პირველ რიგში გათვალისწინებულ მშენებლობაზე გასაწევი ხარჯები დაიფარება მოსალოდნელ შემოსავალით და გადარჩება კიდეც. სულ მოსალოდნელია 1.198.650 მანეთის შემოსავალი. ამ თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტით და გრძელვადიანი კრედიტის სახით გადადებულია 425.000 მანეთი, 855 ათასი მანეთი შემოვა ადგილობრივ მრეწველობის ფონდის გასაძლიერებლათ დანიშნულ მარგანეცის რეალიზაციით, 145 ათ. გაღებულია გრძელ და მოკლევადიან კრედიტის სახით, 75 ათასი მან. შემოვა სახკინმრეწვიდან, რომელსაც ეს თანხა მიეცა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სესხის სახით, 130 ათასი მანეთი დარჩენილია 1926-27 წლის ადგილ. მრეწველობის მშენებლობისათვის გადადებულ თანხებიდან.

მეორე რიგში აღნიშნული სამუშაოები დაიწყება საშუალებათა და იმ ნარჩენების გამორკვევის შემდეგ, რომელიც გადარჩება პირველ რიგში განზრახულ მშენებლობას.

მუშა ს. ტორონჯაძის გამოგონება

„საქართველოს აბრეშუმის“ სამტრედიის ძაფსახვევ ქარხნის მუშამ სერგო ტორონჯაძემ ხელობით მექანიკოსმა) გამოიგონა ახალი პარკის სახმობი მანქანები.

ცდებმა დაამტკიცეს, რომ ახალი მანქანები მეტად გამოსადეგია აბრეშუმის მრეწველობაში და იძლევა რამოდენიმე ათასი მანეთის ეკონომიას.

ტორონჯაძის მიერ გამოგონებული მანქანები დადგმულია ზუგდიდის, სენაკის, აბაშის, ხონის, ლანჩხუთის და თელავის პარკის სახმობ ქარხნებში.

უპირატესობა ახალი მანქანისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი საჭიროებს ნაკლებ მუშახელს.

ხუთი დღის წინათ ოზურგეთის ძაფის სახვევ ქარხანაში დადგმული იქნა ახალი პარკის სახმობი მანქანები. მუშაობამ უფრო მეტი ნაყოფი გამოიღო.

ტორონჯაძის გამოგონების შესამოწმებლად დაინიშნა სპეციალისტთა კომისია და „საქართველოს აბრეშუმის“ ტრესტმა მანქანის შესამოწმებლად ოზურგეთში მიავლინა ინჟ. კობაძე.

სპეციალისტთა კომისიამ დაადასტურა ახალი მანქანების უპირატესობა ძველ მანქანებთან შედარებით.

ს. ტორონჯაძე საფეიქრო წარმოებაში მუშაობს 1914 წლიდან.

ბავშვთა შრომის პირობები

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ შრომის ინსპექციის, ხელოვნების მუშაკთა კავშირის და სახ. კინომრეწველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით განიხილა კინო-სურათებში მონაწილე ბავშვთა შრომის პირობების დაცვის საკითხი და დაადგინა: ბავშვთა მიღება სურათებში მონაწილეობის მისაღებად ხდებოდეს შრომის დაცვის ინსპექციის ნებართვით, სურათების გადაღების დროს მოწვეული უნდა იქნეს ექიმი, რამე უბედური შემთხვევების დროს ბავშვისათვის სამედიცინო დახმარების გასაწევად; ბავშვებს წარმოებამ უნდა მისცეს საუზმე.

ამავე თათბირმა ბავშვებისათვის სამუშაო დრო განსაზღვრა შემდეგი სახით: 5—7 წლიანი ბავშვები დღეში მუშაობენ ორ საათს, იმ პირობით, რომ ყოველ ნახევარ საათის შემდეგ მათ მიეცემათ დასვენების დრო 10 წ. რაოდენობით; 7—14 წლიანი ბავშვები იმუშავებენ 3 საათს, ყოველ ნახევარ საათის შემდეგ 10 წ. დასვენებით.

სურათების გადაღება ბავშვების მონაწილეობით უნდა სწარმოებდეს დილის 10 ს: საღამოს რვა საათამდე. ბავშვთა მუშაობა ღამით აკრძალულია. ტრიუკებიან სურათებში ბავშვთა მონაწილეობა დასაშვებია მხოლოდ შრომის ინსპექციის განსაკუთრებული ნებართვით; ბავშვთა სურათებში მონაწილეობა უნდა ხდებოდეს მშობელთა ან ზედამხედველთა თანდასწრებით.

ბავშვთა, ხელფას აწესებს შრომის კომისარიატი ხელოვნების მუშაკთა კავშირთან და პროფსაბჭოს სატარიფო განყოფილებასთან ერთად.

როგორ ტარდება სასამართლო აპარატის რეორგანიზაცია

(საუბარი უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე [illegible]ჭარავასთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. კაჭარავამ სასამართლო აპარატის რეორგანიზაციის შესახებ განაცხადა შემდეგი:

იუსტიციის კომისარიატის სტრუქტურის შეცვლის საკითხი ჯერ კიდევ 1924 წელს დაისვა. მას შემდეგ ა-წ. სექტემბრამდე სწარმოებდა ამ საკითხის შესწავლა. უკანასკნელად უზენაესი ორგანოები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იუსტიციის კომისარიატის არსებული სტრუქტურა საქართველოს სინამდვილესთან ვერ იყო სავსებით შეფარდებული.

საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებებს იუსტიციის კომისარიატის სტრუქტურაში შეაქვს დიდი ცვლილებები, რაც შემდეგში გამოიხატება.

პირველ ყოვლისა გაუქმებული არიან: არსებული ოლქის სასამართლოები, სანოტარო განყოფილებები, დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი, უფროს გამომძიებელთა ინსტიტუტი და ოლქის პროკურატურა. მათ მაგიერ დაარსებულ იქნენ და მუშაობენ: შემდეგი ორგანოები: უზენაესი სასამართლო მთლიანი საკასაციო ინსტანციით, სამაზრო სასამართლოები სასამართლო ფუნქციებით, სანოტარო ქვე-განყოფილება სასამართლოს მომწყობ განყოფილებასთან, რომელსაც ევალება ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სანოტარო დაწესებულებებს.

რაც შეეხება პროკურატურას, — თუ რეორგანიზაციამდე მაზრებში გვყავდა თითო პროკურორი, ამიერიდან განზრახულ გვაქვს ვიყოლიოთ ორ - ორი პროკურორი თითო მაზრაში. ამ პროკურორებს ევალებათ, როგორც ადმინისტრატიული ზედამხედველობა, ისე ზედამხედველობის გაწევა სამაზრო სასამართლოების, საგამომძიებლო ორგანოებისა და სახალხო სასამართლოებისათვის ოლქის პროკურორების ფუნქციების ნაწილი გადაეცა ცენტრალურ პროკურატურას. უფროს გამომძიებელთა ინსტიტუტი შეიცვალა სახ. გამომძიებელთა ინსტიტუტით. უფროს გამომძიებლის შტატისა და პირადი შემადგენლობის ნაწილი გადაიგზავნა მაზრებში, სამი გამომძიებელი დატოვებულ იქნა იუსტიციის კომისარიატთან განსაკუთრებული საქმეების გამოსაძიებლად.

დამცველთა კოლეგიის სისტემაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

თუ დღემდე დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი არსებობდა ოლქის სასამართლოებთან, ეხლა ასეთი არსდება უზენაეს სასამართლოსთან და თან უნდა უხელმძღვანელოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ დამცველთა კოლეგიის წევრებს. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს თვითეულ მაზრაში ეყოლება სამაზრო ბიურო, რომელიც აგრეთვე უხელმძღვანელებს სამაზრო სასამართლოს.

ამ რიგად ახალი სტრუქტურა და სახე, რომელიც მიიღო იუსტიციის კომისარიატმა უეჭველია, სავსებით მისაღებია და საქმისათვის სასარგებლოა. წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რადგან დღემდე არსებული შუა ორგანოები: ოლქის სასამართლოები, ოლქის პროკურატურა და განყოფილებები, მხოლოდ ხელს უშლიდენ კომისარიატს მაზრებთან უშუალოდ დაკავშირებაში, მოსახლეობასთან დაკავშირებაში დღეს კი იუსტიციის კომისარიატს და უზენაეს სასამართლოს საშუალება აქვთ უშუალო კავშირი იქონიონ მაზრასთან და ყოველივე მოთხოვნილებები მაზრისა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოლქის სასამართლოების არსებობა საკასაციო ფუნქციებით, ხელს უშლიდა და საგრძნობლად აფერხებდა რევოლიუციონ. კანონიერების განმტკიცებას, საბჭოთა კანონიერების სწორ გაგებას კლასიური ხაზის სწორად გატარებას, ვინაიდან რამოდენიმე არსებულ საკასაციო კოლეგიებს თავის მუშაობის პროცესში ჰქონდა სხვადასხვა პრაქტიკა. დღეს კი საკასაციო ფუნქცია მიენიჭა უზენაეს სასამართლოს და ამით განმტკიცდა ერთი მთლიანი საკასაციო ორგანო, რაც უსათუოდ დიდი მიღწევაა. ყოველივე იმ დეფექტებს, რაც საკასაციო ინსტიტუტს ჰქონდა, მთლიან საკასაციო ორგანოს მუშაობაში ადგილი აღარ ექნება.

ოლქის სასამართლო, როგორც პირველ ინსტანციის სასამართლო, არ აკმაყოფილებდა მშრომელთა ფართო მასების მოთხოვნილებებს. ის დაშორებული იყო ფართო მოსახლეობას, ვერ არჩევდა თავის დროზე საქმეს და ამის გამო ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო საქმეს ეკარგებოდა მნიშვნელობა. ამით ფართო მასაში სასამართლოს პრესტიჟი ეცემოდა.

დღეს კი ასეთი საქმეების გარჩევა იწარმოებს მაზრებში და, ცხადია, არავითარ საქმის გაჭიანურებას, დაგვიანებას ადგილი არ ექნება, როგორც კი აღიძრება საქმე, ის დაუყოვნებლივ განხილული იქნება, ბოროტმოქმედების ჩადენის ადგილას. ამით მშრომელებს საშუალება ექნებათ უშუალოდ დაესწრონ პროცესს და თავის დროზე მიიღონ დაკმაყოფილება. საქმეში მონაწილე პირებსაც ზედმეტი ხარჯების გაწევა არ დასჭირდებათ.

კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის გაუქმებამ დამოიწვია თვით დამცველთა კოლეგიის პირადი შემადგენლობის დაშლაც. უზენაეს სასამართლოსთან დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის შესაქმნელად დაარსებულ იქნა საუწყებო კომისია, რომელსაც დაევალა ახალი შემადგენლობის შერჩევა ძველი შემადგენლობიდან. კომისიას დაევალა დამცველთა კოლეგიის ახალ შემადგენლობაში მიიღოს ისეთი პირები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის მისაღები არიან.

სამწუხაროდ, ძველ შემადგენლობაში ბევრი იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც მუშურ - გლეხურ სასამართლოს ხელს კი არ უწყობდენ, არამედ პირდაპირ [illegible] იყენებდენ დამცველთა კოლეგიის [illegible]. ზოგიერთი მათგანი ცდილობდა [illegible] სასამართლო შეცდომაში შეეყვანა კანონების არასწორად ახსნით, არასწორი საბუთის წარმოდგენით, საქმის გაჭიანურებით და სხვ. იმის მაგიერ, რომ იურიდიული [illegible] აღმოეჩინათ მოსახლეობისათვის, [illegible] არსებული კანონი აეხსნათ არა სწორად, ოღონდ კი თავისი პირადი ანგარება დაეკმაყოფილებიათ.

მოვიყვანთ ფაქტებს.

იყო შემთხვევა, როცა ტუსაღი თავისუფლდებოდა სასამართლოს მიერ, თვით სასამართლოს ინიციატივით, ამას სხვადასხვა საშუალებით გებულობდა დამც. კოლეგიის წევრი, ერთი დღით ადრე, სანამ განთავისუფლების ფაქტი მოხდებოდა. ის მიმართავდა ტუსაღის მშობელს და ეუბნებოდა: „თუ ამდენს და ამდენს მომცემ სასამართლოს გავანთავისუფლებიებ თქვენს ტუსაღსო“. იღებდენ უდლესად დიდ ჯილდოს. იღებდენ სხვადასხვა პირუტყვის, ფულის და სხვ. სახით. ასეთი შემთხვევაც იყო: პატიმარი ამნისტიით თავისუფლდებოდა, ამას დამც. კოლეგიის წევრი მშობლების თვალში თავის ცდას მიაწერდა. ადგილი ჰქონდა მევახშეობას (ასესხებდენ ფულს), ჰყავდათ აგენტები და სხვ.

როდესაც ფაქტი ბოროტმოქმედებისა, ყველასათვის უდავო და ბრალდებული არის ღარიბი გლეხი, ზოგიერთი დამცველი არწმუნებს ბრალდებულს და მის მშობლებს, რომ შესძლებს მის განთავისუფლებას, რის გამო ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ ღარიბი გლეხი იძულებული ხდება უკანასკნელი სამუშაო საქონელი გაყიდოს და ჯილდოდ მისცეს დამცველს. იყო შემთხვევები, რომ საშუალო გლეხიდან ჯილდოდ მიუღიათ 1.000, 800, 500 მანეთი.

სხვა ბევრ უამრავ ფაქტების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ საკმარისია რაც ითქვა.

იუსტიციის კომისარიატს სრული უფლება ჰქონდა დაევალებია კომისარიატისათვის, რომ ახალ შემადგენლობაში არ ყოფილიყო მიღებული არც ერთი ისეთი პირი, ვინც უნდობლობა დაიმსახურა დაუშვებელი და შეუფერებელი საქციელით. კომის. მიმართა სახ. სასამართლოებს, გამომძიებლებს, პროკურორებს და უზენაეს სასამართლოს წევრებს, სამაზრო აღმასკომებს თხოვნით, რათა დაწვრილებითი ცნობები მიეცათ ამა თუ იმ დამც. კოლ. წევრის შესახებ, იმის გამოსარკვევად, ღირსია ესა თუ ის დამცველი კოლეგიაში მიღების.

უნდა ითქვას, რომ დამც. კოლეგიის პატიოსანი ელემენტები დიდი კმაყოფილებით და თანაგრძნობით შეხვდებიან ამ ნაბიჯს. კომისიის მიერ მასალების შეკრების და სათანადო დასკვნის გამოტანის შემდეგ დამცველთა კოლეგიაში მიღებაზე უარი ეთქვა 60 კაცს.

მართალია, ზოგიერთ არასასურველ ელემენტების წყალობით დამც. კოლეგიის კორპორაციას სახელი გაუტყდა, მისი პრესტიჟი დაეცა, მაგრამ ამ ოპერაციის შემდეგ,იმედი გვაქვს დამც კოლეგია დაიკავებს საპატიო ადგილს.

დამც. კოლეგიის ინსტიტუტი, როგორც ასეთი, აუცილებელია ჩვენს სინამდვილეში და მას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია, როგორც იუსტიციის კომისარიატისათვის, ისე მცხოვრებთა ფართო მასებისათვის რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

შაქარი ამიერ-კავკასიისათვის

1180. ვაგონი შაქარი ა.-კ. კოოპერაციისათვის

ამ - კავკასიის სამომხმარებელ კოოპერატივთა კავშირმა („ზაკსოიუზი“) საკავშირო შაქრის ტრესტთან დახდო გენერალური ხელშეკრულება ამიერ - კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციისათვის შაქრის მიწოდების შესახებ 1927—28 წელში.

ამ ხელშეკრულების თანახმად შაქრის ტრესტმა კოოპერაციას უნდა ჩააბაროს 1.180 ვაგონი ფხვნილი და ნატეხი შაქარი. აქედან — 406 ვაგონი ფხვნილი შაქარი იქნება და 774 ვაგონი რაფინადი.

გარიგების საერთო თანხა უდრის 12.200.000 მანეთს.

ამიერ - კავკასიის ცალკე სამომხმარებლო კოოპერატივებს შორის შაქარი განაწილდება შემდეგნაირად:

ცეკავშირი მიიღებს — 90 ვაგონ რაფინადს და 110 ვაგონ ფხვნილ შაქარს; „აზერიტიფაკი“ (აზერბეიჯანი) — 423 ვაგონ რაფინადს და 33 ვაგონ ფხვნილს; „აიკოპი“ (სომხეთი) — 90 ვაგონ რაფინადს და 30 ვაგონ ფხვნილს; აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირი — 18 ვაგონ რაფინადს და 42 ვაგონ ფხვნილს; ნახიჩევანის მხარე — 52 ვაგონ რაფინადს და ერთ ვაგონ ფხვნილს; თბილისის მუშკოოპი — 60 ვაგონ რაფინადს და 120 ვაგონ ფხვნილს; ამ.-კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო კოოპერაცია — საქართველოში და სომხეთში — 28 ვაგონ რაფინადს და 45 ვაგონ ფხვნილს, აზერბეიჯანი — 13 ვაგონ რაფინადს და 14 ვაგონ ფხვნილს. შინა-მრეწველთა კოოპერაცია მიიღებს 8 ნახ. ვაგონ ფხვნილ შაქარს.

შაქრის ასე განაწილების შემდეგ „ზაკსოიუზი“-ს განკარგულებაში რჩება მარაგად ორ-ნახევარი ვაგონი ფხვნილი შაქარი.

შაქარი მოდის

ამ უკანასკნელ ხანებში თბილისში შემჩნეული იყო შაქრის კრიზისი, რაც აიხსნება წმინდა ტექნიკური დაბრკოლებებით შემოტანის დროს და არა შაქრის საერთო ნაკლებობით. პირიქით წელს, როგორც შაქრის ტრესტის ადგილობრივ განყოფილებაში იუწყებიან შაქრის ჭარხლის მოსავალმა შარშანდელს 71,2 პროცენტით გადააჭარბა. გეგმით წელს განზრახულია 80 მილიონი ფუთი—ე. ი, თითქმის 50 პროცენტით მეტი შაქრის დამზადება, ვიდრე გასულ წელს, როცა დამზადებული იყო 43 მილიონი ფუთი. ამგვარად მიმდინარე წლისათვის შაქრის ტრესტი არა თუ დააკმაყოფილებს კავშირის ბაზრის მოთხოვნილებას, არამედ გაზიდავს უცხოეთში შარშანდელზე გაცილებით მეტს.

შარშან შაქრის ტრესტმა ამიერ-კავკასიაში შემოიტანა 2,686 ვაგონი შაქარი, მიმდინარე წლის გეგმით შემოტანილი იქნება 3.430 ვაგონი —ე. ი. 744 ვაგონით მეტი. რესპუბლიკებს შორის შემოსატანი შაქარი ასე ნაწილდება: საქართველოსათვის—886 ვაგონი, აზერბეიჯანისათვის—2.238 ვაგონი, სომხეთისათვის—306 ვაგონი. შემოტანილი შაქრის 60 პროც. მეტი გადაეცემა გასასაღებლად კოოპერაციას, 30 პროც. სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებსა და მხოლოდ 10 პროც. კერძო ვაჭრებს. კოოპერაციასთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით შაქრის ტრესტი ვალდებულია მიაწოდოს შაქარი დანიშნულ დროზე კოოპერაციას საკუთარ საწყობებში. სექტემბერში შაქრის ტრესტის ადგილობრივმა კანტორამ თბილისისათვის მიიღო 34 ვაგონი, ოქტომბერში—28 ვაგონი. აქედან ორი მესამედი ვაგონი წარმოადგენდა ახალი მოსავლის ჭარხლიდან დამზადებულს. ნოემბერში ჯერ-ჯერობით მიღებულია 17 ვაგონი, რომელიც ეყოფა ქალაქს თვის დამლევამდე. ამ 17 ვაგონიდან 8 ვაგონი გადაეცა მუშკოოპს, 4 ვაგონი ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციას. დანარჩენი სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს. დეკემბრისა და აგრეთვე შემდეგი თვეებისათვის შაქრის მიწოდება თბილისისათვის სავსებით უზრუნველყოფილია.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

ამ.-კავკასიის რკ. გზების გამგეობასთან არსებულ სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის ბიუროს მიერ დამუშავებული გადამცემ ხაზის აგების პროექტი, როგორც თბილისში მიღებულ ცნობიდან სჩანს, გზათა კომისარიატის სამეცნიერო-ტეხნიკურ კომიტეტს დაუმტკიცებია.

პირველ ხანებში სურამის საუღელტეხილო უბანზე აგებული იქნება ერთმაგი გადამცემი ხაზი. შემდგომში, მოძრაობის განვითარების დროს და სხვადასხვაგვარ ატმოსფერულ გავლენათა დეტალურად შესწავლის შემდეგ, დამტკიცებულ პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მეორე გადამცემი ხაზის აგება.

მიმდინარე წელს უღელტეხილის სალექტროფიკაციო სამუშაობის საწარმოებლად გზათა კომისარიატის მიერ გადადებულია 2.200.000 მანეთი. მოსალოდნელია ამ თანხის გადიდება წელსვე სამ მილიონ მანეთამდე.

ამ თანხების ფარგლებში მიმდინარე წელს დამთავრდება გადამცემ ხაზის გაყვანა ზაჰესიდან რიონჰესამდე—180 კილომეტრის მანძილზე.

გადამცემ ხაზის ანძების დამზადების, ადგილზე მიტანის, დადგმის და შეღებვის სამუშაოების შესრულება მიენდო საქართველოს სალითონო ტრესტს.

მთელი ამ სამუშაოების ღირებულება ერთ მილიონ მანეთს აღემატება. (ამაში არ შედის რკინის ღირებულება). ანძების დასამზადებლად საქართველოს სალითონო ტრესტი დიდუბეში აწყობს სპეციალურ სახელოსნოს.

ანძებისათვის დაკვეთილ რკინის პირველი პარტია საკავშირო სალითონო სინდიკატის მიერ უკვე გამოგზავნილია.

როგორც სურამის უღელტეხილის სალექტროფიკაციო სამუშაოების უფროსმა ინჟ. გ. შახბუდაგოვმა განაცხადა, უღელტეხილის სალექტროფიკაციო სამუშაოები დაჩქარებული ტემპით იწარმოებს, ისე, რომ მთელი ეს სამუშაოები დამთავრებულ იქნება სამი წლის განმავლობაში.

წვევამდე სამხედრო მზადება

წვევამდე სამხედრო მზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმის განმტკიცებისა და წითელი არმიის საბრძოლო მომზადებისათვის.

ყველა მოქალაქე 16-ან—18 წლამდე ვალდებულია გაიაროს წვევამდე მზადება. ახალგაზრდობა წვევამდე მზადებაზე ითვისებს ელემენტარულ ცოდნას სამხედრო დარგიდან და ვითარდება ფიზიკურად.

წვევამდელთა სამხედრო მომზადებაში შედის შემდეგი საგნები: წესდების შესწავლა, სანიტარული განათლება, ფიზიკური მომზადება, ბრძოლის ტექნიკური საშუალებების შესწავლა (იარაღი, სასანგრე საქმე, სამხედრო ქიმია), სასროლო-ტაქტიკური მომზადება და პოლიტიკური საგნები.

წვევამდე სამხედრო მომზადება საქართველოში წელს იწარმოებს 5 დეკემბრიდან. მზადებაზე გაწვეული იქნებიან ახალგაზრდები, დაბადებულნი 1906 წელში. მზადება იწარმოებს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში იმეცადინებენ ის წვევამდელნი, რომელთაც გაიარეს მზადების პირველი წლის პროგრამა. ეს ჯგუფი დაიწყებს მეცადინეობას 5 დეკემბერს და დაასრულებს 5 იანვარს. მეორე ჯგუფში იმეცადინებენ წვევამდელნი,რომლებსაც ჯერ არ გაუვლიათ მზადება. მეორე ჯგუფის წვევამდელნი გაიწვევიან მზადებაზე 9 იანვრიდან 21 თებერვლამდე.

ამჟამად სამხედრო უწყება და დაინტერესებული სამოქალაქო ორგანიზაციები აწარმოებენ მუშაობას წვევამდე მზადების წარმატებით ჩასატარებლად. შედგენილია სამეცადინო პროგრამები, ადგილებს დაეგზავნათ სათანადო დირექტივები. სამაზრო სამხედრო კომისარიატები აწყობენ მზადების პუნქტებს.

წვევამდელნი მზადებას გაივლიან საცხოვრებელ ადგილების ახლო. პუნქტებთან მოწყობილ იქნება ღამის გასათევი ბინები. წვევამდელნი, გარდა იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს რომელიმე დაწესებულებიდან, ჩაირიცხებიან სახაზინო კვებაზე პუნქტთან.

მზადებაზე გასაწვევთა საექიმო შემოწმება დაიწყება ნოემბრის მეორე ნახევრიდან და გასტანს 1 დეკემბრამდე.

ქრონიკა

იტალიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლა

გუშინ საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ მიიღო ცნობა, რომ ამ დღეებში მოსკოვიდან თბილისში გამოემგზავრება იტალიის მუშათა დელეგაცია 18 კაცის შემადგენლობით. ახლო მომავალში თბილისს ესტუმრებიან ინგლისის, ამერიკის, ირლანდიის, ჩეხო-სლოვაკიის და იტალიის მუშათა დელეგაციები.

პროფმოძრაობის მუზეუმი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო საქ. რევოლიუციონურ მუზეუმთან მოაწყოს საქ. პროფმოძრაობის განყოფილება. კავშირებს დაევალა დაამზადონ მასალები განყოფილებისათვის.

დახმარება მუშათა უნივერსიტეტს და საუბნო პროფკავშირს

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მუშათა უნივერსიტეტს დახმარების სახით მისცა 3000 მანეთი.

თბილისის უბნის რკინის გზის კავშირს სტადიონის და სპორტდარბაზის ასაშენებლად მიეცა 5.000 მანეთი.

მუშაობაზე მოცდენისათვის

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, ის მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც თვეში სამჯერ მოსცდებიან სამუშაოს არა საპატიო მიზეზის გამო მოხსნილი იქნებიან სამსახურიდან.

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალსადენის ელექტროფიკაცია.** ამჟამად სწარმოებს მუშაობა ქალაქის წყალსადენის ზაჰესის ენერგიაზე გადასაყვანად. წყალსადენის ელექტროფიკაცია სავსებით დამთავრდება ორ თვეში.

◆ **ახალი სახლები.** თბილისის აღმასკომმა ნაძალადევში ორი ახალი სახლის ასაგებათ გადასდო 160.000 მან.

◆ **ტრამვაის დირექციამ** გადასწყვიტა საბჭოს ქუჩაზე ტრამვაის ხაზები, რომლებიც ამჟამად დაგებულია ქუჩის ნაპირებზე, გაიყვანოს შუა ქუჩაში.

◆ **მეტრიული სისტემა.** წყალსადენი წყალის აღრიცხვას უკვე შეუდგა მეტრიული სისტემით.

◆ **მიწათმოწყობა.** მაზრაში მიწათმოწყობის ჩასატარებლად თბილისის აღმასკომმა გადასდო 13.428 მან.

◆ **ჯანმრთელობის** განყოფილებას დაევალა მთავრობის ფურნეებში მომუშავეთა ჯანმრთელობის შემოწმება და ავადმყოფები მოხსნას სამუშაოდან განკურნებამდე.

◆ **ხიდი.** ორთაჭალაში დამთავრდა ხიდის შეკეთება. ხიდზე მიმოსვლა დაიწყო.

შრომის სახალხო კომისარიატში

◆ **შრომის დაცვა.** შრომის დაცვის განყოფილება შეუდგა წარმოებების გამოკვლევას შრომის პირობების დასადგენად.

◆ **საზოგადო სამუშაოები.** შრომის კომისარიატმა შეადგინა ზამთრის სეზონის განმავლობაში საზოგადო სამუშაოების მოწყობის გეგმა.

◆ **სამუშაო დღე.** შრომის კომისარიატმა გამოიმუშავა დებულება სამკურნალო-სანიტარულ და საბეითლო დაწესებულებებში სამუშაო დღის განსაზღვრის შესახებ. ამ დებულებით აღნიშნულ დაწესებულებებში სამუშაო დღე არ უნდა აღემატებოდეს 6—8 ს.

◆ **მემანქანე ქალთა** შრომის პირობების გასაუმჯობესებლად გამოყოფილი იქნა ცალკე კომისია.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

◆ **სტუდენტთა გასამხედროება.** ყოფ. სემინარიის შენობაში სახ. უნივერსიტეტის გამგეობა სტუდენტთა გასამხედროებისათვის აწყობს სპეციალურ აუდიტორიას.

◆ **მეზობელ რესპუბლიკების** უნივერსიტეტებთან მუდმივი კავშირის დასამყარებლად საქ. სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ აირჩია კომისია რექტორ თ. ღლონტის, პროფ. კეკელიძის და პროფ. შ. ნუცუბიძის შემადგენლობით.

◆ **მივლინება.** უნივერსიტეტმა ლენინგრადში და მოსკოვში სამეცნიერო მიზნით მიავლინა ფსიქოლოგიის კათედრასთან დატოვებული ა. ბოჭორიშვილი.

◆ **უნივერსიტეტთან დატოვებულებს** სახ. უნივ. გამგეობის დადგენილებით ეკრძალებათ სხვაგან მუშაობა მათი მეცნიერულ მუშაობის შეფერხების ასაცილებლად.

◆ **უნივერსიტეტთან საქტო დარბაზის** მოსაწყობად გადაიდო 1000 მან.

◆ **ხევის გამაგრება.** უნ. გამგეობამ დაადგინა გაამაგროს უნივერსიტეტის ეზოს წინ მდებარე ვარაზის ხევის ნაპირები.

◆ **ინდუსტრიალური სესხი.** სახ. უნ. გამგეობამ გადასწყვიტა ინდუსტრიალურ სესხზე ხელის მოსაწერათ ჩაატაროს კამპანია პედაგოგიურ და უნ. თანამშრომელთა შორის.

სხვადასხვა

◆ **შრომისა და სოციგიენის** მუზეუმის გახსნა გადაიდო 20 ნოემბრისათვის.

◆ **იუსტიციის სახ. კომისარიატის** საკანონმდებლო განყოფილებაში 19 ნოემბერს, დღის 12 საათზე დანიშნულია გაზეთების იურისკონსულტების მორიგი თათბირი.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ბაქოდან—ჩიქოვანს. ლენქორანიდან—კოსელს. აშხაბადიდან შულცს, ბათომიდან—ლულიანს.

შემთხვევები

ავტომობილის მსხვერპლი

გუშინ, საღამოს 9 საათზე, საბჭოს ქუჩაზე სახლი № 115-ის წინ (მე-11-ე კომისარიატი) „თელასის“ მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა ტ. ი. მამულაიშვილს და მძიმედ დაჭრა.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სისხლის სამართლის მილიციის რწმუნებული მ. ჭანია მორიგი გამომძიებელი მ. ნოზაძე და მე-11-ე სამილიციო რაიონის თანამშრომლები.

მამულაიშვილს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს კამოს საავადმყოფოში.

მამულაიშვილს ნაღრძობი აღმოაჩნდა ფეხები და დაზიანებული თავი.

კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ შოფერ სერგო ასრიევს ავტომობილი მიჰყავდა ჩქარა. დადასტურდა, რომ შოფერმა არ მისცა გამაფრთხილებელი სიგნალი.

ღამის 10 ნახევარ საათზე მამულაიშვილი გარდაიცვალა.

შოფერი ასრიევი დაპატიმრებულია.

მკვლელობა

გუშინ, საღამოს, თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ მიიღო ცნობა, რომ ალბულაღის რაიონში მოქ. არამ ასრაკიანმა მოჰკლა სოფ. გაგე-ხაჩინის მასწავლებელი ქალი თამარა ასრაკიანი და ამ უკანასკნელის ძმა არამ აზრამიანი.

მკვლელი დაპატიმრებულია.

მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით საპიროს ქუჩა № 35 16 ნოემბერს ქურდობისათვის შეიპყრეს მიკირტიჩ ბაღდასაროვი.

◆ **ტრამვაის ვაგონში** თავისუფლების მოედანზე აბგარ მანასისძე ედიგაროვს ამოაცალეს 139 მან.

◆ **ბოქლომის გატეხის** საშუალებით 16 ნოემ. გრიბოედოვის ქუჩა № 25 გაქურდეს ლუიზა ჩესვიზოვის ბინა. წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ **კომუნალურ ბანკში** 16 ნოემბერს ალექსანდრე მაღალაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე ფულით და სხვადასხვა საბუთები.

◆ **ჭერის ჩანგრევის** საშუალებით 16 ნოემბერს რიყის ქუჩა № 15 მარიამ ნიკოლოზის ასულ პატიევიჩის ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები.

◆ **ქურდობისათვის** 16 ნოემბ. შეიპყრეს მიხეილ ვასილისძე ლაკუჩოვი.

◆ **კარების შემტვრევის** საშუალებით 18 ნოემბერს პლეხ. გამზ. № 174 გაქურდეს ზურაბ მეტრეველის ბინა. წაიღეს ფული და რევოლვერი.

◆ **ამავე დღეს** ფეიერვერკერის ქუჩა № 4 პეტრე მელიქოვის ბინიდან მოიპარეს 180 მ. ნივთები.

◆ **სავაჭროს გაქურდვა.** 16 ნოემბერს კომინტერნის ქუჩა № 2 გაქურდეს დავით კარლინსკის სავაჭრო.

ბრძოლა ეპიდემიასთან

მოწაფეთა დაცვა ავადმყოფობისაგან

ქუნთრუშასა და დიფტერიტის ეპიდემიის უმთავრეს გამავრცელებელ ბუდეებათ ითვლებიან მოზარდთა საკრებულო ადგილები, როგორიცაა სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვა. თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულ ბავშვთა დაცვის ქვე-განყოფილებაში შემდეგი აცნობეს ჩვენს თანამშრომელს ეპიდემიის გავრცელების მხრივ თბილისის სკოლებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ:

— თბილისის სკოლების მუშაობა განსაკუთრებულად ძნელ პირობებში მიმდინარეობს. სკოლების უმრავლესობა მოთავსებულია ისეთ შენობებში, სადაც სცხოვრობენ კერძო მდგმურები. ამით იქმნება ისეთი გარემოება, რომ სკოლა თუ გინდ დაცული იქნეს ეპიდემიის საფრთხისაგან (კარანტინი და სხვ.), კერძო მდგმურების საშუალებით ავადმყოფობა მაინც მოახერხებს სკოლის კედლებში შეჭრას.

ჯერ - ჯერობით თბილისის სკოლებში ეპიდემიის გავრცელების მხრივ მაინცა და მაინც არაა საშიში მდგომარეობა. ის სკოლები, სადაც ეპიდემიამ თავი იჩინა — უკვე დაიხურა დროებით, ზოგან კი შემოვიღეთ კარანტინი. საჭიროა მოსწავლეთა მშობლებმა ყურადღება მიაქციონ მათ ბავშვებს, სკოლიდან დაბრუნების შემდეგ არ გაუშვან ქუჩაში სათამაშოდ და თუ შეამჩნევენ რომ ბავშვები ავად გახდენ — გააფრთხილონ ამის შესახებ მეზობლები. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეპიდემიასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა მოქალაქეთა შეგნებული დამოკიდებულება ავადმყოფობასთან.

ვინაიდან ყველა სკოლების დახურვა, თუნდაც ორი კვირის ვადით, დიდ გავლენას მოახდენს სწავლების მსვლელობაზე, გადაწყვეტილია, რომ სკოლების ცალკე შენობებში გამოცხადებულ იქნეს ე. წ. ნაწილობრივი კარანტინი, რაც გულისხმობს ცალკე კლასების, ან სართულების დახურვას ორ - ორი კვირით.

გუშინ სასკოლო-სანიტარო განყოფილების განკარგულებით დაიხურა მე-22 შრომის სკოლა. სულ ამჟამად თბილისში დახურულია 5 სკოლა.

სასამართლო

ვაგონის „გან[illegible]ავად“

თბილისის სადგურში იდგა ვაგონი, დატვირთული სხვადასხვა ნივთებით. ვაგონის კარები დალუქული იყო და ლუქზე ბეჭედი ერტყა. რამოდენიმე დღე იდგა ვაგონი სადგურში განუტვირთავად. ალბად თავის რიგს უცდიდა, როგორც წესია.

ერთ მშვენიერ დღეს ვაგონების მეთვალყურემ შენიშნა, რომ ვაგონს „პლომბი“ ამძვრალი აქვს.

— ვინ აძრო „პლომბი“, ეხლავე ოქმი, ეხლავე დაინიშნოს ძიება, ბოროტმოქმედი შორს არ იქნება, დღეს დილით ვაგონი დაბეჭდილი იყო, აბა დაუძახეთ უფროსს, გაჩხრიკეთ ყველანი, ჰყვირის ვაგონების მეთვალყურე.

ხალხი შეიკრიბა. მოვიდა უფროსი. არის ერთი მითქმა-მოთქმა, ერთი ალიაქოთი. მოიტანეს სია იმ ნივთების, რომელიც ვაგონში ელაგა. მოიმარჯვეს საწერ-კალამი, სათანადო ოქმის შესადგენად. უფროსის განკარგულებით შეაღეს ვაგონის კარები.

და რას ხედავენ...

ვიღაც მოქალაქე ზის არხეინად, ხელში უჭირავს თუნუქის საჭრელი მაკრატელი და ღიღინებს: „ვოლგა, ვოლგა, მატ როდნაია“...

— თქვენ, ვინა ხართ მანდ?

— მე? კანტროლიორი....

— რაზედ შემოსულხართ, დაკეტილ და დალუქულ ვაგონში?

— სანამდე უნდა იდგეს ეს ვაგონი განუტვირთავად. იცით თუ არა თქვენ, რომ აქ „თავშეუნახავი“ საქონელიც არის?—რიხით ლაპარაკობს მოქალაქე?

ამ დროს ერთ-ერთმა რკინისგზელმა შენიშნა იქვე ტომარი, რომელიც მოქალაქეს სხვადასხვა ნივთებით გაევსო.

ჰკა მაგას! ქურდია... არ გაუშვათ..

მოქალაქემ მოიმარჯვა მაკრატელი, მაგრამ მაკრატელი ყოველთვის როდი სჭრის!

მოქალაქე დააპატიმრეს. ის აღმოჩნდა ვინმე ვასილ ნიკიშევი, რომელსაც ფარულად უნდოდა ვაგონის „განტვირთვა“.

საქმე გაირჩევა მოკლე ხანში.

გ.

ადამიანი მხეცი

ახალგაზრდა ქალი იყო ელენე პეტაშვილი. ცხოვრობდა სოფელ უდაში, 18 ვერსის დაშორებით ახალციხიდან. ღარიბი გლეხის ოჯახში აღიზარდა ელენე. ჰასაკში შესვლისას მშობლებმა ის მიათხოვეს ამავე სოფლის მცხოვრებს თომა სიმონისძე ბალახაშვილს.

ქმარი გამოდგა უდიერი, უხეში. ტლანქი სულთამხუთავად თავზე ადგა ცოლს ბალახაშვილი. ახალგაზრდა ქალმა ვერ გაუძლო ასეთ მოპყრობას, განშორდა ქმარს და მშობლებს დაუბრუნდა. გავიდა დრო და შემდეგ მოხდა საზიზღარი ამბავი, რომელსაც მოგიყვებათ თვითონ ბალახაშვილი.

„მე გადავწყვიტე ელენეს მოკვლა და ხელსაყრელ მომენტს ვეძებდი. მან მიმატოვა, მომჭრა, შეურაცყოფა ვერ ავიტანე. ივლისის დღე იყო. დავინახე ელენე ცხენებს ერეკებოდა ჭვავით დათესილ ყანიდან. ყანის ნაპირას ჩავიმალე ბალახებში. როდესაც ელენე ჭვავის ყანამ დაფარა, მე გავშალე მომზადებული დანა და დავედევნე. დავეწიე, წავავლე ხელი მკლავში, შემოვაბრუნე და გულში მაგრად ჩავეცი დანა. „ვაი დედააა“—დაიძახა მან და პირქვე დაეცა. არავინ იყო მახლობლად. პირქვე დაცემულს ზურგში ჩავარტყი მეორედ დანა. ქალი სიმწარისაგან გადატრიალდა, ფერდობი ადგილი იყო, ქალი დაგორდა და დაეშვა თავდაღმართისაკენ. მე მივსდევდი და წამ და უწუმ ურტყამდი დანას. როდესაც დავრწმუნდი, რომ მკვდარი იყო, სიამოვნებით ყელი გამოვსჭერი“.

ასე ლაპარაკობს გადაგვარებული, მხეცი ადამიანი დაკითხვის დროს.

— მე დამცინოდენ, ცოლმა მიგატოვა, „კაცობა“ არ გაქვსო.—დასძენს ბალახაშვილი.

ექსპერტიზის დასკვნით ბალახაშვილი იმპოტენტია. საქმე მალე გაირჩევა.

დასასვენებელი დღეები

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით 1928 წლისათვის უქმე დღეებათ გამოცხადებულია: 1 იანვარი—ახალი წელი, 22 იანვარი ლენინის ხსოვნის დღე; 25 თებერვალი—საქართველოს გასაბჭოების დღე 12 მარტი—თვითმპყრობელობის დამხობის დღე; 18 მარტი—პარიზის კომუნის დღე; 1 მაისი—მუშათა საერთაშორისო დღე; 20 სექტემბერი—26 კომუნარების დღე; 7 ნოემბერი—ოქტომბრის რევოლიუციის დღე; ამას გარდა განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეებათ გამოცხადებულია: 19 იანვარი, 16 აპრილი, 2 ივლისი, 23 ივლისი; 20 აგვისტო, 8 ნოემბერი.

უქმე დღეების წინა დღეებში სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით; ხოლო დასასვენებელ დღეების წინა დღეებში მუშაობა სწარმოებს ჩვეულებრივი დროის განმავლობაში. უქმე და დასასვენებელ დღეებში მუშაობა არ შეიძლება შეწყდეს შემდეგ წარმოებებში: წყალსადენი, ტელეფონი, ელექტროსადგურები, საავადმყოფოები, აფთიაქები, ტელეგრაფი და აგრეთვე ისეთ დაწესებულებებში, სადაც მუშაობა არ შეიძლება შეჩერდეს წარმოების განსაკუთრებული ხასიათის გამო. აღნიშნულ წარმოებებში მომუშავეთ უქმე და დასასვენებელ დღეებში მუშაობისათვის ეძლევათ ორმაგი გასამრჯელო, ზოგ შემთხვევაში მეტიც. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მუშა-მოსამსახურე მოისურვებს უქმე-დასასვენებელ დღეებში მუშაობის ნაცვლად სხვა დროს დასვენებას, მაშინ მას არ მიეცემათ ზედმეტი გასამრჯელო.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა
„მეფის საცოლე“

რიმსკი - კორსაკოვის ყველა ოპერების შინაარსი, სადაც ის ლეგენდარულ და ზღაპრულ ეპოსიდან გადადის ისტორიის სფეროში. შეიცავს იოანე მრისხანეს ეპოქას და კომპოზიტორიც თავის ოპერების მუსიკალურ ილიუსტრაციაში გვაძლევს ამ ეპოქის ზნე-ჩვეულებათა სურათს. ამ ოპერაში ორკესტრს პირველი ადგილი აქვს დათმობილი. ოპერა „მეფის საცოლე“ მიმდინარე სეზონში დადგა მელიქ - ფაშაევმა. ის ყურადღებით მოეპყრო ამ ოპერის მუსიკალურ ნაწილის შესრულებას. სჩანს, რომ ის კარგად იცნობს პარტიტურას.

მშვენივრად იქნა შესრულებული უვერტიურა, რომელიც დაწერილია დამოუკიდებელ სიმფონიური ნაწარმოების სახით. უვერტიურის ორივე თემა მეტად ხმოვანია, ისმის გარკვევით და ნკაფიოდ. ძლიერ კარგათ იქნა შესრულებული მეორე აქტის ინტერმეცო. ყველა ძირითადი თემები და განსაკუთრებით ის თემა, რომელიც ორკესტრით გვიხატავს დრამის კვანძს, დეტალურად არის გამოყოფილი. კარგია აკომპანიმენტი და ორკესტრი დინამიურია. მუსიკალურ პერიოდებში საჭიროა მეტი მხატვრულობის დაცვა. მეორე მოქმედებაში გუნდი არ არის შეწყობილი ორკესტრთან. კარგია მეორე აქტის კვარტეტი, მესამე აქტის სექსტეტი (6 კაცის ერთდროული მღერა) და მეორე აქტის გუნდი. მესამე აქტში ორკესტრი ცოტათი აგვიანებს შესავალის დაწყებას (გრიაზნოის მიმართვა მართასადმი).

მარკოვამ მოგვცა მართას პოეტური სახე. მას ზედმიწევნით აქვს შეთვისებული პარტიის დრამატიული მხარე. მისი სიმღერა მგრძნობიარეა, განსაკუთრებით ჭკუიდან შერყევის სცენაში. მეორე აქტის არიოზოს პირველი ნაწილი შესრულებულ უნდა იქნეს ლირიული ტონით, ხოლო მეორე ნაწილი კი უფრო ცოცხლად. ჭკუიდან შერყევის სცენაში არ ვარგა სიმღერის ასეთი ხმოვანობა, საჭიროა მეტი ნიუანსები.

მშვენიერია ლიუბაშას პარტიაში ვოლჩანეცკაია. დრამატიული და ვოკალური ნაწილი კარგათ აქვს დამუშავებული. ხმა კარგათ ისმის მთელი პარტიის განმავლობაში. პირველი აქტის სიმღერაში, რომელიც სრულდება უაკომპანიმენტოთ, ზედმიწევნით სწორად არის დაცული ინტონაცია. აქ ბევრია განცდა. სცენაში იოანე მრისხანესთან სასურველია მეტი ტემპერამენტი. მეორე აქტის მონოლოგი გრძნობით არის შესრულებული. ცოცხალია სცენა ბომელისთან.

მეტად ძნელია დომნა საბუროვას (მეფის მაჭანკალი) პარტია, მიუხედავათ ამ პარტიის ეპიზოდიურობისა. აქ საჭიროა მოთხრობითი დეკლამაციური სიმღერა. მთელი პარტია უაღრესად დამახასიათებელია. პარტიის შემსრულებელმა ახალგაზრდა მომღერალმა ქალმა ხუმარ[illegible] გამოიჩინა მუსიკალობა, დახვეწილი რიტმი, ფართე დიაპაზონის ხმა, მაგრამ სცენიურათ ვერ შექმნა დომნა საბუროვას სახე. სჩანს სცენიური გამოუცდელობა.

გრიაზნოის მხატვრულ სახეს იძლევა ს. ინაშვილი. მსახიობმა გრძნობით შეასრულა პირველი მონოლოგი, ცოცხლად ჩაატარა მესამე აქტი და განსაკუთრებით კარგი იყო მეოთხე აქტის ფინალში (მონანიება). აქ სიმღერაში ბევრია ტემპერამენტი. ეპოქის დამახასიათებელია გრიმი და მთელი გარეგნობა.

ზედმიწევნით მუსიკალურად ასრულებს დუნიაშას პარტიას მაყაშვილი.

ფროლოვი ვერ იძლევა მეფის მკურნალის ბომელის სახეს. აქ გამოყოფილ უნდა იქნას ბომელის ცბიერება, პატივმოყვარეობა და დიპლომატიურობა.

პირველი აქტის არიოზოსა და მესამე აქტის რომანსში მშვენივრად და მუსიკალურად ისმის კრუზოს ხმა.

სობაკინის დამახასიათებელ სახეს იძლევა ლუბენცოვი, რომელმაც მუსიკალურად შეასრულა მეოთხე აქტის არია.

გუნდი კარგათ მღერის მარტო მეორე აქტში, ხოლო მესამეში ეტყობა გაუბედაობა. სუსტია რუსული ცეკვის ბალეტი.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

თეატრები მუშებისათვის

პროფკავშირის წევრების თეატრებში დასწრების გაადვილების მიზნით, საქ. პ. კ. ს. კულტგანყოფილების მიერ დაწესებულია მუშათა ზოლი თბილისის შემდეგ თეატრებში: სახელმწიფო ოპერაში, ქართულ აკადემიურ დრამაში და თბილისის მუშათა თეატრის რუსულ - ქართულ სექტორში.

აღნიშნულ თეატრებში პროფკავშირის წევრებს ბილეთები ეძლევათ 50 პროცენტით დაკლებულ ფასებში. ბილეთების გაყიდვას აწარმოებს კულტგანყოფილებასთან არსებული მუშათა ზოლი. თბილისის თეატრალური სეზონის გახსნიდან მუშათა ზოლის მიერ გაყიდულია 6.540 ბილეთი. აქედან თბილისის მუშათა თეატრზე მოდის 1.440, სახელმწიფო ოპერაზე — 5.100.

ჯერ-ჯერობით ზოლი ბილეთებს ყიდის სახ. ოპერაში და თბ. მუშ. თეატრში შესასვლელად. ახლო ხანში ის შეუდგება აგრეთვე ქართულ აკადემიურ დრამასთან და სომხურ - თურქულ თეატრების ბილეთების გაყიდვას.

მუშათა თეატრის ქართული სექტორი

მუშათა თეატრის ქართული სექტორის სეზონის გახსნა მოხდება ოთხშაბათს, 23 ნოემბერს. სეზონი იხსნება გ. ერისთავის „გაყრა“-თი. დადგმა რეჟ. ახსაბაძის.

◆ **სუმბათაშვილ-იუჟინის** ხსოვნის აღსანიშნავად მუშათა თეატრში (ყოფ. სახ. სახლი) რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა „ჯენტლმენი“.

◆ **მუშა-მოსამსახურეებისათვის** დაკლებულ ფასებში დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინი“.

◆ **პროფ. პ. მელიქიშვილის სურათი.** სახ. უნივერსიტეტმა მხატვარ ბ. ზებუთაშვილ-გაბუნიასაგან შეიძინა განსვენებულ პროფ. პ. მელიქიშვილის სურათი.

◆ **მხატვარ ტულმაჩევსკის გამოფენა.** მომავალ კვირაში თბილისში გაიხსნება მხატვარ ტულმაჩევსკის სურათების გამოფენა. უმთავრესად გამოფენილი იქნება ძველი ქართული კედლის მხატვრობის ასლები.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება თურქული წარმოდგენა.

◆ **მუშათა ახალ კლუბში** დღეს ადგილობრივ დრამატიული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „სხვადასხვა გზით“.

დღეს კინოებში

— აპოლოში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— არფასტოში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— სოლეიში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— მინიონში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— პალასში—„დეკაბრისტები“.
— დარბაზში—„გამცემი“.

კინო

„იბრაგიმ და გოდერძი“
საქართველოს სახკინმრეწვი

დადგმა შ. ბერიშვილის,
ოპერატორი პოლიკევიჩი.

საბჭოთა კინო წარმოების მიზანია: შეუფარდოს კლასიური იდეოლოგია პოლიტ-განმანათლებელ, კომერციულ და მხატვრულ ინტერესებს.

ჩვენი სახკინმრეწვის უკანასკნელი დადგმები-კი ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენ საერთოდ საკავშირო კინო წარმოების განვითარებას.

დამარცხებულ „ამოკის“ შემდეგ მოველოდით უფრო დამუშავებულ სურათს, ვიდრე „იბრაგიმ და გოდერძი“ არის. მიუხედავათ ამისა. რეჟისორ ბერიშვილის ეს პირველი დადგმა ხელსაკრავი არ არის.

ზოგიერთ ეპიზოდების მნიშვნელოვან დამუშავებას მარტივი სცენარის „ლიტერატურული“ ფაბულა აფუჭებს.

ცნობილია, რომ ჩვეულებრივი თვისება იყო ყველა მებატონესათვის სხვისი ლამაზი ცოლების და საცოლოების მოტაცება და მისაკუთრება. ზაქათალის ომარ-ხანიც ასე იქცევა, მაგრამ ჰოყმე გოდერძი საცოლეს უბრძოლველად არ უთმობს. რამოდენიმეჯერ სწარმოებს ქალის გატაცება-გამოტაცება. ეკრანზე ვითარდება „მაინრიდოვშჩინა“ და დადევნების ტრადიცია. ერთიცა მეორეც საბჭოთა კინო წარმოების მიერ უარყოფილია და არც საჭირო იყო ამ „ამერიკანიზმის“ აღდგენა. ამის მიზეზია, რომ სურათში მთავარი იკარგება და მის ადგილს, მაყურებლის შეგნებაში, იჭერს ორი მესაკუთრის ბრძოლა ქალის გარშემო.

ასეთ იდეოლოგიას ვერც ხალხის აჯანყება იმართლებს და ომარ ხანისადმი შურისძიების სცენები მოგვაგონებს „ღალატის“, „სამშობლოს“ და „და-ძმის“ სცენებს.

აქტიორების თამაშში არ სჩანს სახე, რომელიც შეიძლოს მაყურებელში გამოიწვიოს აქტიური განცდა.

ომარ-ხანი (კახიძე), როგორც საერთოდ ყველა ხანი და თავადი, ბევრად უფრო მოქნილად, ჭკვიანად და საშიშ ადამიანად გვყავს წარმოდგენილი, ვიდრე ეკრანზეა.

თუ რა მავნეა თეატრალური შტამპი კინოს აქტიორისათვის,—ამ სურათში ვხედავთ. საჭიროა მეტი პატივისცემა კინოსადმი.

ნაზაროვა და ლ. ყიფიანი აღსანიშნავია როგორც გამოსადეგი მასალა კინოსათვის.

რეჟ. ბერიშვილის თამამი ცდა, რომ კინოში გამოიყენოს ირონია—სადაო პრობლემას ეხება და ერთგვარ ინტერესსაც იწვევს.

განათების ეფექტები კარგათ არის გამოყენებული.

ყოველ კადრს ეტყობა დახელოვნებულ და გამოცდილ ოპერატორის ხელი.

მონტაჟის თანამიმდევრობა მეტ დაკვირვებას და მხატვრულ თვალს მოითხოვს.

საერთოდ ამ სურათის ბაზარზე გამოშვება ჩვენს სახკინმრეწვს გამარჯვებათ ვერ ჩაეთვლება, მაგრამ რეჟისორის მუშაობას კი რამოდენიმედ დადებითად ახასიათებს.

ბ. გ—ნი.

რკინისგზეზე

კაზანცევის მუხრუჭების ნაწილები

იაროსლავის და მოსკოვის მუხრუჭების დამამზადებელი ქარხნები, კიევის ქარხანა „ლენ-ნურის სამჭედლო“ და ლენინგრადის რეზინის ტრესტის ქარხანა, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე აგზავნის კაზანცევის მუხრუჭების სხვადასხვა ნაწილებს, მოძრავ საშუალებათა მოწყობისათვის.

ინჟ. ჩეხოვსკის დეპეშა

გზათა სახალხო კომისარიატის ელექტროტეხნიკური სამმართველოს უფროსი ინჟ. ჩეხოვსკი, რომელიც ამ ორი დღის წინად ჩამოვიდა თბილისში, გაეცნო სურამის საუღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციო სამუშაოებს.

ამ სამუშაოების გაცნობის შემდეგ ინჟ. ჩეხოვსკიმ გზათა კომისარიატს გაუგზავნა დეპეშა რომლითაც იგი ითხოვს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის შესახებ ზოგიერთ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ საკითხების დროზე გადაწყვეტას.

ინჟ. ჩეხოვსკი თბილისიდან გაემგზავრა ბათომში.

რა გაკეთდა ლენინაკანში

რკინის გზის უწყება ფართო საამშენებლო მუშაობას ეწევა ლენინაკანში.

მიწისძვრის შემდეგ იქ აშენებულია ათი სახლი—1460 კ. მეტრის საერთო სივრცით. თითეულ სახლთან აგებულია სამზარეულოები, წყალსადენები და ფარდულები. ეს სამუშაოები დაჯდა—150.000 მანეთი.

ამასთანავე აშენებულია 15 ქვის თითო სართულიანი სახლები. თითო სახლი შესდგება ოთხ-ოთხი ბინისაგან. ამ სახლების ღირებულება 330.000 მანეთს უდრის.

წინასწარი გამოანგარიშებით, გზის უწყებას ლენინაკანის აღმშენებლობაზე დახარჯული აქვს 510.000 მან.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 18 ნოემბერი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი — რუსულ და ქართულ ენებზე.

კომკავშირელთა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“.

მოხსენება: ტრანსპორტის მიღწევები ამიერკავკასიაში — თურქულ ენაზე.

რადიო - მიღწევები — რუსულ ენაზე.

ინდუსტრიალიზაციის სესხი — მოხსენება რუსულ და ქართულ ენებზე.

ოპერის შინაარსის განმარტება.

ოპერის ტრანსლიაცია.

ტეხნიკური კონსულტაცია — რუსულ ენაზე.

ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე.

იურიდიული დახმარება

სოფ. მეტეხის მცხოვრებს, ქვრივს ბაბო მაღალაშვილს

პ ა ს უ ხ ი

თუ თქვენი გერები სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ სხვაგან, არა საპატიო მიზეზით (საპატიო მიზეზად კი ითვლება 1. სამხედრო სამსახური, 2. მოწაფეობა და 3. მუშაობა ამორჩევით თანამდებობაზე პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ხაზით) არ ამუშავებდენ საკუთარი შრომით მიწას და არ უწევდენ რაიმე ფულად დახმარებას კომლის საერთო მეურნეობას, მაშინ ისინი მოკლებული არიან ქვრივ-ობლის საერთო მიწების და ქონების სარგებლობის უფლებებს, მიწის კოდექსის მუხ. 13 და 16-ის თანახმად.

პირიქით, თქვენ კი, თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 40-ის და მასთან დართული შენიშვნისა ითვლებით კომლის სრულუფლებიან წევრად,—კომლის ძირითად წევრებთან თანაბრად, და თქვენ გერებს არა აქვთ არავითარი უფლება თქვენ გაგაგდონ თქვენი ქმრის სახლკარიდან.

გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ საადგილ-მამულო სასამართლო-კოლეგიას, რომელიც დაიცავს ყველა თქვენ კანონიერ უფლებებს და ალაგმავს მოძალადეებს. საბჭოთა ქვეყანაში სასტიკად ისჯებიან [illegible] მშრომელი მეურნის ყველა დამჩაგვრელები.

პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. ვ. ა. ჯანიაშვილს გამოცხადდეს დღეს, 18 ნოემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 54) ამხ. კვირიკაძესთან.

დღეს, 18 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონ. ფაკ. საბჭოს ფრაქციის წევრთა კრება. სავალდებულოა დაუგვიანებლად დასწრონ: ამხ. ბერიშვილი, გეგენავა, კალანდარიშვილი, მელიქაძე, მონიავა, პაპავა, ქანთარია, ბარამიძე, ჭელიძე და აგრეთვე სულაქველიძე.

ღრმა მწუხარებაში მყოფი დედ-მამა გიორგი და ელენე ქინქლაძეები ქალიშვილით მაროთი დასტირიან და აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 15 ნოემბერს ქ. გორის წით. ჯვრის საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა, უნივერსიტეტ ახალ დამთავრებული ქალიშვილი

ეკატერინე (კატუშა) ქინქლაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ა. წ. 20 ნოემბერს, დ. სუფსაში. 509

მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლები ვალიკო ცინცაძე, აკაკი ნოზაძე და მირონ ქოჩიაშვილი გამოსთქვამენ დიდ მწუხარებას მათი საყვარელი და დაუვიწყარი ამხანაგის, ამავე სკოლის მასწავლებლის

ეკატერინე (კატუშა) ქინქლაძის

გარდაცვალების გამო, რომლის დაკრძალვა მოხდება 20 ნოემბერს, დ. სუფსაში, (გურია). 509

უაღრესად დამწუხრებულნი და სამუდამოდ გულმოკლულნი მშობლები: დედა ეფროსინე, მამა ევგენი, ძმა ილიკო გაბელიები; ქმარი იოსები, შვილი ბუთული იგივე გიორგი ანთელავები, ბიძა არხიპო, დეიდები: პელო და მარია კიზირიები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 20 ნოემბერს სრულდება 1 წელიწადი რაც არა გვყავს ჩვენი საყვარელი, სასიქადულო და ოჯახის სიამაყე კბილის ექიმი

ზინაიდა გაბელია-ანთელავასი

რომლის ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება 20 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ფოთში ადგილობრივ ნახუტრის სასაფლაოზე. ნ. 214

ღრმად დამწუხრებულნი შვილი მარიამ, ძმა დავით, რძლები სოფიო და ნინა, ძმისშვილები: პეტია და ალექსანდრე მიმაიაშვილი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა

ვასილ ივანეს-ძე მინდიევი

დაკრძალვა 16 ნოემბერს, ლოზოვაია პავლოვკაში (დონბასი). ნ. 216

მე-46-ე „წარკოოპი“-ს გაერთიანებული კომუჯრედის წევრები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ ა. წ. 15 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ამხანაგი, კომუჯრედის წევრი

ილია ალექსანდრეს-ძე
გოგუელიძე

დაკრძალვა მოხდება დღეს, 18 ნოემბერს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან (პატარა ვანქის ქ. № 2), ნაშუადღევის 3½ საათზე. 505

სამუდამოთ გულდათუთქულნი მშობლები ბესარიონ და ტერეზი, ძმა სერგო, და ვერა, ბიძები: ივანე და ონისიმე, მამიდა ტასია, ბიძაშვილები: პავლე, იოსები, მაშიკო, ვანო, ზაქარო, ალექსანდრე და სოფიო, სიძეები ჟორა ახობაძე, მელიტონ გიგიბერიშვილი და აპალონ რაზმაძე, რძლები ტერეზი, ლეონინე, ნატაშა, ოლია და ოლღა კომახიძეებისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ძვირფას, დაუვიწყარ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის

კოწია (კონსტანტინე) ბესარიონის-ძე
კომახიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო 20 ნოემბერს, დილით კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე, სოფ. საჭილაოში ნამწერაულის ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 232

ღრმად დამწუხრებული დედა-მამა: ალექსანდრა და მიხაკო, შვილები: ლიდა, იერემია და ელენა, ბიძა ილია კორძახია ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი თბ. მედიკური ტეხნიკუმის მე-2 კურსის მოწაფე

იულია მიხეილის ასული
შილაკაძე

დაკრძალვა შაბათს, 19 ნოემბერს, საღამოს 4 საათზე, ს. ჯიქთუბანში. 511

სახელმწიფო ოპერა

დღეს, პარასკევს, 18 ნოემბერს,

ევგენი ონეგინი

მონაწ.: მარკოვა, პანტელეევა, მაჭაშვილი კულაგინი, ვენაძე, მეხნიაევი.

დირიჟორობს ა. მელიქ-ფაშაევი

შაბათს, 19 ნოემბერს, აიდა, კვირას, 20 ნოემბერს სადკო.

მუშათა სალაროში და სახელმწ. ოპერის სალაროში 18 ნოემბრისათვის აღებული ბილეთები გამოდგება მხოლოდ 20 ნოემბერს. 20 ნოემბრისათვის აღებული ბილეთები გამოდგება 18 ნოემბერს.

ნ. 227

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

დღეს და ყოველდღე საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი

„იბრაგიმ და გოდერძი“

8 ნაწილად. დადგმა რეჟისორ შაქრო ბერიშვილის, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი, მთავარ როლებში: ლ. ყიფიანი, ი. ნაზარაშვილი, კახიძე, ძნელაძე, გვარაძე, კავსაძე, სვანი, ლვამიჩავა, კარუხნიშვილი.

პირველი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.

უკანასკნელად თბილისში სეზონის საუკეთესო სურათი „გ ა მ ც ე მ ი“ დადგმა ა. როომის.

0—12 ნ. 1388

ანონსი: მალე გრანდიოზული სურათი „პ ო ე ტ ი და მ ე ფ ე“

ცირკი „კოლოს“ ტელ. 16—67

პარასკევს, 18 ნოემბერს, სანახაობა 3 განყოფილებით, 14 რჩეული ნომრები. ჩინელების ჯგუფი- ლიუ-კუმ-ხაის უკანასკნელი გამოსვლა.

დამსახურებული არტ. ძმ. ტანტეების პირველი ციკლის რეპერტუარის უკანასკნელი დღე.

„5 მეარღნე“ მომღერლები თავიანთ სევდაზე

კვირას, 20 ნოემბერს, დილით, — სანახაობა ბავშვებისათვის

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებული გროდზინსკი. ადმინისტრატ. ტადე.

ნ. 231 1—1

ცეკავშირი ჰყიდის

ქვემოთ აღნიშნულ მისდამი კუთვნილ სახლებს, მდებარეს ქალაქ თბილისში:

1) ორ სართულიანი აგურის სახლი, მდებარე მეშვიდე სამილიციო უბანში, ზორობაშის ქუჩაზე, № 37.

2) ერთ სართულიანი აგურის სახლი, დახურული კრამიტით, მდებარე მეშვიდე სამილიციო უბანში, ხოჯევანის ქუჩაზე, № 25.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ, როგორც ამ სახლების ფასს, ისე სხვა ყოველივე ამ ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ პირობებს ცეკავშირის კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე.

500 გამგეობა.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი

ს. ი. ვოლოხი

ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 25—

საქართველოს ფინსახკომი

აცხადებს ფასეულთა ტრიალზე გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოდ, რომ საკავშირო ფინსახკომის 1927 წლის 24 სექტემბრის დადგენილების თანახმად, აღნიშნული გადასახადის გადახდა 1927 | 28 საბ. წელში დაწესებულია შემდეგნაირად: 1) საერთო წესით დასაბეგრავი საწარმოონი იხდიან ფასეულთა ტრიალზე გადასახადის ანგარიშში ავანსის სახით განაკვეთებს ორ თანასწორ ნაწილებით 1927 წ. 25 ნოემბერს და 31 დეკემბერს, ხოლო საბოლოოდ გამოანგარიშებულ გადასახადის და ავანსის შორის განსხვავება გადახდილი უნდა იქნეს თანასწორ ნაწილებით 1928 წლ. 30 აპრილს და 15 აგვისტოს; 2) ავანსი გადასახადის ანგარიშში გამოიანგარიშება იმ ბრუნვიდან, რომელიც საფუძვლად დაედო 1926 | 27 წლ. სათანაბრო გადასახადს და 3) არა უგვიანეს ა | წ. 15 ნოემბრისა საერთო წესით დასაბეგრ საწარმოოთა მფლობელთ დაეგზავნებათ უწყებები გადასახდელ ავანსის რაოდენობის აღნიშვნით; უწყებების მიუღებლობა არ ანთავისუფლებს გადამხდელთ ავანსის ვადაში შეუტანლობის პასუხისმგებლობისაგან.

ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება სათანადო რაიონის პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორებთან.

საქართ. ფინანსთა სახალხო კომისარი მგალობლიშვილი.

საგადასახადო სამმართველოს უფროსი ბეჟირგანიშვილი.

ნ. 235

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტი

ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ელსმენი 10—90

მიიღება ფსიქიანი ავადმყოფები

წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეთებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.

ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში

ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი

25—1 ქვ. 288

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 21 ნოემბერს 1927 წ. დილის 10 საათზე ადგილობრ. ქ. ქუთაისში საბჭოთა ქუჩაზე მთავრობის დარაბის № 10 წინ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, გაიყიდება: იორდანე იესესძე იობიძის ქონება, აწერილი 24 აგვისტოს 1927 წ. 1) 15 ფუთი თეთრი ღვინო პირველი ხარისხისა სამი ტიკით, დაფასებული 90 მანეთი, 2) ორი ნახმარი ხუთ-ხუთ ფუთიანი ტიკი, დაფასებული 20 მან., 3) ორი კასრი დაფასებული 10 მანეთი და სხვ. სიმონ ჩიხლაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება დაფასებული თანხიდან.

ნ. 226

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება აცხადებს

კონკურსს შემდეგ საშტატო თანამდებობაზე.

1. კბილის ამბულატორიისათვის: 1) სამი ორდინატორის თანამდებობაზე, თვიური ჯამაგირი 82 მ., ბ) 6 უნცროსი ორდინატორისა, ჯამაგირი—66 მან.

2. ქალაქის 1-ლ საავადმყოფოს უროლოგიურ განყოფილების ორდინატორის თანამდებობაზე, თვიური ჯამაგირი—88 მან. და 3. მანგლისის საბავშვო სანატორიუმის გამგე-ექიმისა თვიურად—125 მან. და სრული კმაყოფა (ამ თანამდებობისათვის სტაჟი არა ნაკლებ 5 წლისა).

საკონკურსო კომისიის სხდომა მოხდება 25 ნოემბერს დღის 12 საათზე, ჯანმრთელობის განყოფილების შენობაში (სომხის ბაზარი № 4), რომელ რიცხვამდისაც კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველნი არდგენენ ჯანმრთ. განყოფილების სახელზე: განცხადებას, ცნობას სტაჟისას, კავშირის წევრობისა და „კურიკულუმ-ვიტე“-ს.

ნ. 233. თბ. ჯანმრთელობის განყოფილება.

კვირას 20 ნოემბერს დილის 10 საათზე, ტროცკის ქ. № 8, ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის შენობის ეზოში

მ ო ხ დ ე ბ ა

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიყიდება მაგიდები, ელექტრომოტორები 110 ვოლტ. 6 ცხ. ძალის და 220 ვ. 2,5 ცხ. ძ., სხვადასხვა ამპერაჟის ელექტროსაანგარიშებლები და სხვ. ნივთები.

საჯარო ვაჭრობის პირობები: ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა შემოიტანონ ნივთების შეფასებულ თანხის 10 პროცენტი უამისოდ არავინ არ იქნება დაშვებული საჯარო ვაჭრობაზე. ნ. 234

ქ. თბილისის შრომის სასამართ. აღმასრულებელი

გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 21 ნოემბერს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 4 ნეკრასოვის მოედანზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. მინა ბრეგვაძის მოძრავ ქონებას: მაგიდებს მარმარილოს ქვებით, ვენის სკამებს სამოვრებს, სპილენძის ქვაბებს და სხვას, შეფასებულს 200 მანეთად, სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 აგვისტოს 1927 წ. თარიღით, № 3079 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 229

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 21 ოქტომბ. 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 2 პუშკინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. იბრაგიმოვის და ბაღდასაროვის მოძრავ ქონებას: 41 ვენურ სკამებს, ოთხ ცალ ნარდს მარმარილოს ქვით, შეფასებულს 130 მანეთად გორელიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 5 ოქტომბ. 1927 წ. თარიღით, № 3747 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 228

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ს. ბოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში მე-3 ინტერნაციონალის ქუჩაზე სახლი № 64 დანიშნულია 28 ნოემბერს 1927 წ. დღით 12 საათზე საჯარო ვაჭრობა გრიგოლ ჯანუაშვილის ქონების: მაგიდის, საპირფარეშოს სარკით, სატანისამოსო შკაფის, ჯიბის საათის და სხვასი, შეფასებულს 83 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ფართლეულობის სავაჭროს ძიების დასაკმაყოფილებლად. ნ. 226

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში აზერბეიჯანის ქუჩაზე 1 შესახვევში სახლი № 1 დანიშნულია 28 ნოემბერს 1927 წ. დილის 10 საათზე იოსებ და პეტრე მიხეილისძენი მღებროვების ქონების: ერთ როიალის, შეფასებულს 250 მან. და ერთ ბუფეტის შკაფის ფიგურებით—100 მან. გაყიდვა. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ქუთაისის სამაზრო აღმასკომის 350 მან. ძიების დასაკმაყოფილებლად. ნ. 226

Судебный исполнитель пригородного района Тифлиса

К. ОДИШАРИЯ

Сим об'являет, что 27 ноября 1927 г. в с. Кесало будет продаваться: 2 буйвола, 2 коровы, 2 ковра и 400 пудов сена, принадлежащие Сулейману Гаджи али Огли—для удовлетворения Рубена Симонянца. Торг начнется с оценки. 499

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—20

ექიმი მეგრაბიანცი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ტლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

ექიმი

ვლ. ა. თოხაძე

გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან ბესიკის (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.

ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე

ექიმი ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—13

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები

ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

222—13—1

დაჰკარგა კავშირის წიგნაკი № 2988 ვალერიან ალექსის-ძე მხეიძის სახელზე, ჩ. გ. 510

დაჰკარგა პირადობის მოწმობა და რემედასის საწევრო წიგნაკი სოლომონ გიორგის-ძე სიხარულიძის სახელზე, ჩ. გ. 230

დაჰკარგა ხეზე მომუშავეთა კავშირის საწევ. წ. № 3453 და პირადობის უვადო წიგნაკი, გაცემული ნესტორ ფილიპეს-ძე მიქელაძის სახელზე, ჩ. გ. 503

დაჰკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 3087 და ჯარიდან მოცემული სამხედრო წიგნაკი ნიკოლოზ მელიტონის-ძე ჯმუხაძის სახელზე, ჩ. გ. 506

დაჰკარგა საწევრო წიგნაკი № 717 | 730 მიხეილ (მეთოდე) ქიქინაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 226

დაჰკარგა სენაკის დ | კ. წიგნაკი № 276 მასწავლებელ ივდითი ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. 498

დაჰკარგა კავშირის წიგნაკი № 202080 აშოთ აკოფოვის სახელზე, ჩ. გ. 502

დაჰკარგა მონადირეთა კავშირის ხაშურის რაიონისაგან მიღებული მოწმობა სურათით სანადირო თოფის № 112280 (ცენტრალური) ტარების შესახებ, რკინისგზის მე-5 უბნისაგან მოცემული ასაფეთქებელი მასალის მოწმობა და პირადობის მოწმობა, მიღებული ხარაგოულის აღმასკომისაგან გალაქტიონ კამკამიძის სახელზე, ჩ. გ. 501

დაჰკარგა შინამრეწველი ხელოსანთა საზოგადოების კავშირის წიგნაკი № 361, მუშათა კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 16018 გაცემული ავით ჩიქოვანის სახელზე, ჩ. გ. 434

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68